გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



www.ilori.ge

№127 (188) 12-19 ივლისი 2011 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდება “№1 რეფორმატორი” ქვეყანა – საქართველო!..

რას იფიქრებდა შესანიშნავი ქართველი მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე, რომ მისი მოთხრობის სათაური, ათწლეულების შემდეგ, საბედისწერო წინასწარმეტყველებად გადაექცეოდა საქართველოს.

ამას წინათ ერთი გაქსუებული, ბრიყვული სიფათის მქონე (სამწუხაროდ, მეგრული გვარისა) ბიზნესმენი, რომელსაც თბილისში საკუთარი ავტოსალონი გააჩნია, გახარებული უყვებოდა ტელემაყურებლებს, რომ ჩვენი ფირმა ფართოვდება და მალე ცენტრალურ ოფისს ქალაქ ქუთაისში გადავიტანთ, რაც კიდევ უფრო აამაღლებს ჩვენი კომპანიის ავტორიტეტსო!

მართლაც ბრიყვი უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთ საშინელებაზე გახარებულმა აუწყო ქართველებს. თუ რატომ, ახლავე აგიხსნით.

ჯერ ერთი, ჟურნალისტის შეკითხვაზე, რა გიყვარს ყველაზე მეტადო, უპასუხა: საათი და მობილური ტელეფონი, თან დაგვახარბა: ერთიც საუკეთესო მაქვს და მეორეცო.

დღევანდელ საქართველოში ქართველს რომ საათისა და მობილურის მეტი არაფერი ექნება სადარდელი, ის ბრიყვია, აბა ვინ არის?

აი, ასეთი ადამიანებიდან იწყება საქართველოს ტრაგედია!

რაც შეეხება, სააკაშვილის ინიციატივით სახელისუფლებო და კომერციული სტრუქტურების ასე ფაცხაფუცხით თბილისიდან დასავლეთ საქართველოს ქალაქებში გადატანა რომ დიდი საფრთხის შემცველია საქართველოთვის, ესეც ბრიყვის მეტმა ყველამ იცის.

რატომ არ შეიძლებოდა რომელიმე სახელისუფლებო ან სასამართლო სტრუქტურა გორში ან თელავში გადაეტანათ? განა ამ, ან აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებს ნაკლები ისტორია, ტრადიციები და ავტორიტეტი გააჩნიათ ქართველ ხალხში? ერთ დროს საქართველოს დედაქალაქი ხომ თელავი იყო, სადაც დიდ მეფე ერეკლეს ედგა ტახტი.

მაგრამ, მიხეილ სააკაშვილი ხომ მისი ამერიკელი “ბოსების” დაკვეთით მუშაობს – იქ უთხრეს, ქართველებს პასპორტებიდან ეროვნების და მამის სახელის გრაფა ამოუღეო, რაც “პირნათლად” შეასრულა! ახლა კი ცდილობს ქართველ ახალგაზრდებს საერთოდ დაავიწყოს თავიანთი ქართველობა და ჩვენი ისედაც დაწიხლულ-გაუბედურებული სამშობლო უცხო თესლის “საბაირამო” სივრცედ აქციოს.

უკვე შეინიშნება საქართველოში სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების მოზღვავება, რომლებიც იმ უცხოელ ინვესტორებს მოჰყვებიან შლეიფად, რომელთაც მტკიცე პირობა დადეს, რომ საქართველოში დახარჯული ინვესტიციებით აგებულ წარმოებებსა და სოფლის მეურნეობაში მხოლოდ ადგილობრივ კადრებს დაასაქმებდნენ. მაგრამ მათი სიტყვა და საქმე ძალზე შორს დგანან ერთმანეთისაგან და ამ მთავარი პირობის შეუსრულებლობისათვის მათ პასუხს არავინ სთხოვს!

რატომ გაუჩენენ ლუკმას გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართველებს, როცა მათი თანამემამულეები უარეს გასაჭირში იმყოფებიან.

სახელისუფლებო სტრუქტურების თბილისიდან ასე ხელერთპირად და დაუსაბუთებლად გატანა (არაფერს ვამბობ საამისოდ გაწეულ ვეებერთელა ხარჯებზე, რომელიც ბიუჯეტიდან უნდა დაფინანსდეს) იმის აშკარა მიმანიშნებელია, რომ ახლო მომავალში საქართველოს დედაქალაქი სხვაგან გადაინაცვლებს. განა სწორედ ეს არ გახლდათ სომხების ისტორიული ოცნება?

განა უეჭველი არ არის, რომ, დიდი დაწესებულებებისა და კომერციული ცენტრების დასავლეთ საქართველოში გადატანის შემდეგ, დედაქალაქის სტატუსჩამორთმეული თბილისი ნაკლებ კონტროლირებადი ქალაქი გახდება და იგი უმალ გაივსება არაქართული ეროვნების ხალხით!

განა ამიტომ არ შენდება თბილისში უამრავი საცხოვრებელი სახლი, რომელსაც უფულო ქართველები (სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მიზანდასახული მტრული საქმიანობის წყალობით საქონლის ხორციც კი რომ ვერ შეუძენიათ) ვერ იყიდიან და იგი ფულიან გადამთიელებს შერჩებათ! ამ გზით ისინი ვერაგულად დაეპატრონებიან ჯერ თბილისს, შემდეგ კი მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, აქედან გამომდინარე ყველა დამღუპველი შედეგით...

გაოგნებულია ქართული საზოგადოება იმ “ობიექტური კვლევის” მასალების მოსმენით, რომელსაც აშკარად ანგაჟირებული უცხოური საზოგადოებრივი ორგანიზაციები აჟღერებენ და საქართველოს მსოფლიოში ლამის №1 რეფორმატორ სახელმწიფოდ მოიხსენიებენ. გვაჩვენონ “ნაციონალთა” მიერ გატარებული თუნდაც ერთი რეფორმა, რომელიც სასიკეთო გამოდგა ქართველი ხალხისათვის და უკეთესობისკენ შეცვალა ჩვენი მოქალაქეების გაჭირვებული ყოფა. პირიქით რომ იყოს, მაშინ ნამდვილად დავიჯერებდით, რადგან სააკაშვილისა და მისი თანამდგომების რეფორმატორულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო აუტანელი და დუხჭირი გახადა ჩვენი დღევანდელობა. თუ ვინმეს რეფორმატორულ წიაღსვლებად მიაჩნია მრავალმილიონიანი ღირებულების მქონე უაზრო ხიდების, საპრეზიდენტო სასახლისა და რეზიდენციების მშენებლობა და სხვა, აშკარად გაუმართლებელი ხარჯების გაწევა, სხვა ამბავია, თორემ რეფორმა, რომელიც საკუთარი ხალხის ნებასურვილის საწინააღმდეგოდ მიმდინარეობს და კიდევ უფრო აღარიბებს მას, მტრული მოქმედება და შეგნებული გენოციდია და სხვა არაფერი.

სექტემბერში პენსიებს ოცი ლარით გავზრდითო, დაპირდნენ სასომიხდილ ხალხს და უკვე ივლისამდე სამომხმარებლო კალათის ღირებულება ორმოცდაათი ლარით გაზარდეს.

იქნებ ესაა რეფორმა?

ან იქნებ ის, რომ კონსტიტუციის მოთხოვნათა სრული უგულვებელყოფით გააუქმეს ანტიმონოპოლიური სამსახური და ქვეყანა გაქსუებულ ოლიგარქოკრატიას მიუგდეს საჯიჯგნად!

იქნებ იმას უთვლიან ამერიკელები რეფორმად, საკუთარ კონტიგენტს რომ ამცირებენ ავღანეთში და ქართულ კონტიგენტს რომ ზრდიან, რაც ხალხის სასაკლაოზე გარეკვის ტოლფასია?

იქნებ არჩევნების გაუთავებლად გაყალბებაა რეფორმა, ან ის, რომ ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაში მილიონობით ლარი დაახარჯა ხელისუფლებამ ცესკოს, ეს სიები კი კიდევ უფრო აბურდული, მკვდარი სულებით გადატვირთული და დაუზუსტებელია?

სპორტული მოედნები რომ ააგეს და ბავშვები რომ წამდაუწუმ იღუპებიან, უფროსების მიერ სპორტული ინვენტარის უსაფრთხოების ზომების დარღვევით დამონტაჟების გამო, ნუთუ ეს არის რეფორმა?

იქნებ განათლების ან ჯანდაცვის სისტემაში ჩატარდა მოსახლეობისათვის სარგებლობის მომტანი რეფორმები?

შეიძლება “ნაციონალთა” ამერიკელი და ევროპელი “ადმინისტრატორ-სუფლიორები” მოსახლეობისათვის კომუნალური ხარჯების უზომოდ გაბერვას მიიჩნევენ რეფორმად?

იქნებ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაა რეფორმა? (მართლაც „ჭკვიანები“ არიან ამერიკელები! ეს უკადრისი საქმე სომეხ სააკაშვილს რომ ჩააბარეს, რადგან კარგად იციან, რომ მართლმადიდებლობის დაუძინებელი მტრები სწორედ მონოფიზიტი სომხები არიან, რადგან ისინი ჯერ კიდევ ქრისტიანობის გარიჟრაჟზე წმინდა მამების მიერ აღიარებულ იქნენ ღვთისმგმობელებად და ერეტიკოსებად).

ჯერ არ გავმხდარვართ ევროკავშირის წევრები, და ეს აშკარად ხორცმეტი სტრუქტურა უკვე გვკარნახობს თავის ბოროტ ნებას – ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გიორგი ბარამიძე ამას წინათ გამოტყდა, რომ ხორცის ფასის გაძვირება ევროკავშირმა დაგვაძალაო. აი, ევროკავშირის წევრები რომ გავხდებით, გაძვირება და გაუსაძლისობა მერე ნახეთ – აქ ამბები დატრიალდება, საბერძნეთი მონაგონი იქნება!

იქნებ ეს არის რეფორმა?

იქნებ პოლიციელების მიერ ქალაქის ცენტრში უდანაშაულო ახალგაზრდების ჩახოცვა, ან სანდრო გირგვლიანის მხეცურად მოკვლაა რეფორმა?

ან იქნებ ის, რომ “ნაციონალები” ყოველნაირად ცდილობენ დაგვავიწყონ აფხაზეთი და სამაჩაბლო და საქმე ისე წარმოგვიდგინონ, რომ ჩვენთვის ყრუ ტკივილად ქცეული ეს მოურჩენელი იარა მხოლოდ რუსებისა და სხვა ქვეყნების პრობლემაა?

ასე გაგრძელდება მანამ, ვიდრე პოლიტიკური და ეკონომიკური პრესის ქვეშ მოყოლილი ქართველი ხალხი ძროხის მოთმინებით აიტანს ამგვარ ჩაგვრასა და დამცირებას!

მე იმ ქართველ ხალხზე მწყდება გული, რომელსაც პროტესტის განცდა ჩაუკლა “ნაციონალურმა” ხელისუფლებამ, გაუნადგურა სულიერება და რელიგიური მრწამსი, თვალწინ გაულახა სულიერი მოძღვარი, ავტომანქანით შეულეწა ეკლესიის კარიბჭე და არსებობის აუტანელი პირობები შეუქმნა, რის გამოც ქართველები უკანმოუხედავად გარბიან საქართველოდან...

რუსებს აქვთ ერთი გამოთქმა: “**На правах бедного родственника**”. ეს იმას ნიშნავს, რომ როცა შენთან გაღარიბებულ-გამათხოვრებული ნათესავი მოდის შემწეობის სათხოვრად და სხვაგან წასასვლელი არა აქვს, შეგიძლია ყველანაირ პირობაზე დაითანხმო იგი. ასე დაითანხმეს ამერიკელებმა, თავის დროზე, ედუარდ შევარდნაძე, იმაზე, რომ ზვიად გამსახურდიას განადგურებისა და საქართველოს პრეზიდენტის სკამის სანაცვლოდ იგი აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დათმობდა.

ასეც მოხდა, რაც ჩვენ უკვე არაერთგზის დავამტკიცეთ. შემდეგ კი, შევარდნაძის მიერ მოყვანილმა სააკაშვილმა თავის “გურუს” არ უღალატა და 2008 წლის პროვოკაციული ომის წამოწყებით იურიდიულად დაამტკიცა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საქართველოსაგან მოწყვეტა.

ჩვენ კი, მაშინ, იმის ნაცვლად, რომ ერის გამცემი და საქართველოს დამშლელი სააკაშვილი კინწისკვრით გაგვეგდო ქვეყნიდან, მის დაკრულზე ავცეკვდით და რუსთაველის პროსპექტზე ისეთი ჩარფუზანა დავაბით, თითქოს ომიც მოვიგეთ და ტერიტორიებიც ჩამოვაჭერით რუსეთს.

სწორედ ეს არის ჩვენი პოლიტიკური სიბეცე, ჩვენი ეროვნული ტრაგედია, რითაც მუდამ ბოროტად სარგებლობდა “ქართველთყლაპია” მტერი!

ახლა, მე მრცხვენია მათ მაგივრად, როცა რუსეთში ჩადიან ბურჯანაძეები, ოქრუაშვილები, გაჩეჩილაძეები, კიწმარიშვილები და სხვები, რომლებიც გუშინ რუსეთს უშვერი სიტყვებით აგინებდნენ. ხომ არ ჯობია, რომ ისინი ამერიკაში ჩავიდნენ, რადგან საქართველოს პრეზიდენტი „ინიშნება“ ამერიკის შეერთებულ შტატებში და არა რუსეთში. ამ პოლიტიკურმა პილიგრიმებმა კარგად იციან, რომ „ნაციონალების“ ზეობას დასასრული უდგას და ახლა რუსების ხელით ცდილობენ უიმედოდ დაკარგული პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას.

არაფერი გამოუვათ, რადგან მათ აღარც ამერიკელები ენდობიან და აღარც რუსები!

ამ ხელისუფლების „გადაშენების“ შემდეგ თვალნათლივ დავინახავთ “ნაციონალთა” რეფორმების დამღუპველ შედეგებს, რადგან სწორედ ისინი თესავენ ხალხში უიმედობის სინდრომს, რათა გაჭირვებით გათანგულ ადამიანებს არ მიეცეთ სასურველი პიროვნების ლიდერად დემოკრატიული წესით არჩევის საშუალება, საკუთარი ჯიბის ტელევიზიებით კი საქმეს ისე წარუდგენენ საზოგადოებას, თითქოს ქვეყანა აყვავების გზას ადგას!

უკეთესი არაფერი ენახოთ ცხოვრებაში!

ამიტომ, ჩვენ მტკიცედ უნდა გადავწყვიტოთ და ყველაფერი გავაკეთოთ საქართველოს სათავეში იმ უმწიკვლო ქართველი პოლიტიკოსის არჩევნების გზით მოსაყვანად, რომელსაც ერთნაირად მაღალი ავტორიტეტი ექნება როგორც ამერიკელებთან, ასევე რუსებთან და თუ საჭირო გახდება მაგიდაზეც დაურტყამს მუშტს ოპონენტებს. რომელსაც არასოდეს დაავიწყდება აფხაზეთი და სამაჩაბლო, რადგან საქართველო მიაჩნია არა გამდიდრების წყაროდ, არამედ იმ სამშობლოდ, რომელსაც ვერასდროს ვერაფერი შეუცვლის. ჩვენ გვჯერა, რომ ასეთი პოლიტიკოსი არის და იგი მალე გამოჩნდება ქართული პოლიტიკის ცისკიდურზე. და რაც მთავარია, იგი არასოდეს იტყვის, რომ საქართველოს ისტორია ჩემი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან იწყებაო.

ამას მხოლოდ ის არაქართველი თუ იტყვის, რომელსაც მსოფლიო საზოგადოების თვალში საქართველოს დამცრობა და მისი ისტორიის განადგურება სჭირდება!

სერგეი კრემლიოვი
ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი
4
თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

გური ოტობაია 11
შეროშიშე

ფინაპართა იდუმალი შფოთი
7

ზოგიერთ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ტერმინთა ეტიმოლოგია
9

სეპარატიზმის თეორეტიკოსი და უკანასკნელი მოჰიკანი
5

8 მანანა კობახიძე: „ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშების პოზიციით, მართლმადიდებლობა არის საქართველოს განვითარების შემაფერხებელი გარემოება“



ლალამი
3

# natoხტარის სასაკლაო და „Failed president of Georgia“

*„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი არნო ხიდირბეგიშვილი „ასავალ-დასავალთან“ საუბარში მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს იმ უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემებს, რომელთა არცოდნაც საზოგადოების პოლიტიკური სიბეცის მიზეზი შეიძლება გახდეს.*

**– ბატონო არნო, გთხოვთ, შეაფასოთ 26 მაისის შემდგომი პერიოდი, რადგან ხელისუფლების მიერ მოწყობილი სისხლიანი სასაკლაოს შემდეგ ჩვენი შეხვედრა არ შემდგარა...**

– ჩვენ ბოლოს **„ასავალ-დასავალის“** მკითხველს 22 მაისს ვესაუბრეთ, მას შემდეგ კი საქართველოში მართლაც მოხდა ბევრი ისეთი მოვლენა, რომლებიც მეტად სავალალო შედეგებს მოგვიტანს და რომელთაც კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ არშემდგარი ქვეყანა **(„Failed state“)** საქართველო კი არ არის, არამედ უშუალოდ საქართველოს ჰყავს არშემდგარი პრეზიდენტი **(„Failed president“)!** უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში თითქმის ყველა ჩემს პუბლიკაციაში ფიგურირებს ეს ფანტომასადქცეული მმართველი, რომლის ტელეეკრანზე გამოჩენისას მე უკვე ზუსტად ვიცი, რომელ **„გენიალურ აღმოჩენას“** გაახმიანებს მისი საინფორმაციო ღრუ.

ისიც ფაქტია, რომ განვლილ პერიოდში მე ყოველთვის ვცდილობდი, მეპოვა პრეზიდენტის არსებაში დადებითი შტრიხებიც, რათა ერთგვარად შემერიგებინა ეს უაღრესად ტრაგიკომიკური პიროვნება საკუთარ ხალხთან, მაგრამ ამაოდ... როგორც კი სააკაშვილის ქცევაში რაიმე ადამიანურის ძებნას ვიწყებდი, ის უმალ წარმოჩნდებოდა მორიგი არაადამიანური ქმედებით და იძულებულს მხდიდა, გამეკეთებინა ფრიად სამწუხარო დასკვნა: მიშა არ არის ადამიანი, ის მისტიკური და მარტოხელა შურისმაძიებელია, ერთგვარი ფანტომასი თავისი აურაცხელი ფობიითა და ილუზიით. ისე კი, ჯობს, შევეშვათ სააკაშვილზე საუბარს – ჩვენ, ძირძველი თბილისელები, წაქცეულებს არ ვურტყამთ!

**– კი მაგრამ, თქვენმა „წაქცეულმა“ თუ „მწოლიარემ“ 26 მაისს ასფალტზე წვიმასა და სისხლში მიმოფანტა თბილისელებიცა და არათბილისელებიც...**

– განა ეს არ არის კიდევ ერთი დასტური ჩემეული შეფასების? კაცი 7 წელია, პრეზიდენტია და ვერ გასცდა აჩემებულ ფორმულირებას, რომელსაც მექანიკურ თოჯინასავით იმეორებს: **„შევარდნაძე ცუდია, მე – კარგი! რუსეთი ცუდია, მე – კარგი!“** ამის კვალდაკვალ ცუდები ხდებიან გერმანია, იტალია, ისრაელი, საფრანგეთი, ვინაიდან ფანტომასის მსოფლგაგება პრიმიტიულ სტერეოტიპს ეფუძნება – ვინც არ არის სააკაშვილის მსახური, უბრალოდ, მისი მტერია და მეტი არაფერი!

**– სამაგიეროდ, საქართველო ალაგებს ურთიერთობებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან – არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან, თურქეთსა და ირანთან, ამ ორ უკანასკნელთან მოქმედებს უვიზო რეჟიმი...**

– ესეც ამერიკული სპეცსამსახურების პირდაპირი მითითებით მოხდა. აშშ და ირანი მტრები არიან, ამიტომაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ცდილობს, საქართველოს გავლით მოახდინოს ირანში **„კმარას“** ტიპის აქტივისტთა და ფინანსების ტრანზიტი იქაური ოპოზიციის მხარდასაჭერად და სახელმწიფო ჩინოვნიკთა მოსასყიდად, როგორც ეს ერთხელ უკვე იწვნია საქართველომ 2003 წელს. დიახ, ამერიკას სურს, ირანშიც დარგოს **„ვარდების რევოლუცია“** და ჩამოაგდოს მისთვის ეგზომ არასასურველი ახმადინეჯადი, და თუ ეს ყველაფერი **„ვარდების დარგვით“** არ მიიღწევა, მაშინ ამოქმედდება ლიბიური სცენარი – ფრთოსანი რაკეტებით...

რაც შეეხება 26 მაისს, იმ ღამით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე მერამდენედ გაწირა სააკაშვილი, რათა საკუთარი ხალხის სისხლით ხელებგათხვრილი პრეზიდენტისათვის მორიგი აუქციონი მოეწყო: ან აძლევ ხმას რუსეთის გაწევრებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, ისევე, როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლად ცნობას, ან არადა, ემშვიდობები შენთვის ეგზომ ძვირფას საპრეზიდენტო ტახტრევანს. დიახ, ზუსტად ამის გამო აშშ ჯერჯერობით (ხაზს ვუსვამთ – ჯერჯერობით) არ ითხოვს სააკაშვილის პასუხისგებაში მიცემას და არც რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას (როგორც ეს 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ მოხდა).

**– კი მაგრამ, სააკაშვილი მოაწერს ხელს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას?**

– განა სააკაშვილმა მედვედევ-სარკოზის შეთანხმების ფარგლებში უკვე არ გადადგა ეს ნაბიჯი?! თქვენც შეამჩნევდით, რომ საქართველოს ხელისუფლება უკვე აღარც კი სთხოვს რუსეთს ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჯარის გაყვანას მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა **„სარკომ“** და საქართველოში საფრანგეთის ელჩმა ფურნიემ სახალხოდ შეახსენეს სააკაშვილს ზემოხსენებული შეთანხმების შინაარსი და, იმავე დროს, ცხვირწინ აუფრიალეს ტალიავინის დასკვნის ძირითადი პუნქტები!

პროცესი, როგორც გორბაჩოვი იტყოდა, **„წავიდა!“** ასე რომ, ქართველი ექსპერტის ამასწინანდელი განცხადება – საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა უნდა ცნოსო – არის საცდელი ნაბიჯი, რომელიც ხელისუფლებამ სპეციალურად გადადგა საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად და იმავე საზოგადოების შესამზადებლად უკვე მიმდინარე წლის ბოლოსათვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ოფიციალური აღიარებისათვის! ამის არაპირდაპირი დასტურია საქართველოს საგარეო უწყების 27 ივნისის ნოტაც, რომელშიც ლაპარაკია ქართული მხარის მზადყოფნაზე რუსეთის ფედერაციასთან დიალოგის საწარმოებლად და 22 ივლისისათვის კიევში დაგეგმილი შეხვედრა საქართველოსა და რუსეთის პატრიარქებისა.

გვახსოვდეს: სააკაშვილი არ არის იდიოტი, რომ მას სიამოვნებას ჰგვრიდეს, უმწეო ფინიასავით **„უყეფოს“** 142-მილიონიან რუსეთს! მაგრამ მას პერიოდულად ურეკავენ ვაშინგტონიდან მაკ-კეინ-ლუგარ-გეიტსები და აშანტაჟებენ: რაღაც ზედმეტი სიმშვიდე და არხეინობაა საქართველოში... რატომ შეწყდა ოკუპანტების მისამართით მორიგი ბრალდებები და კრემლის ჯაშუშთა გეგმური დაპატიმრებები? ხომ არ მოგბეზრებია პრეზიდენტობა ან, იქნებ, ჩვენი დაფინანსება ამოგივიდა ყელში?! მართლაც ხომ არ გსურს დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში, თუ სტრასბურგის ან ჰააგის ნოსტალგია მოგეძალა?! და სააკაშვილიც – **„Failed president of Georgia“** – აკეთებს ყველაფერს, რასაც უბრძანებენ და აკეთებს ყველაზე უკეთ! ამიტომაც გახლავთ იგი დღემდე ამერიკის შეერთებული შტატების უალტერნატივო ნაცვალი საქართველოში, თუნდაც სააკაშვილი – ოდიოზური ფანტომასი და არა ალასანია ან თარგამაძე, შედარებითი ადეკვატურობითა და რესპექტაბელურობით. მაგრამ იმ დღეს, როცა მიშა წაუყრუებს ვაშინგტონელ **„ქორებს“** და გადადგამს თუნდაც ერთ ნაბიჯს საქართველოს სასიკეთოდ, მის ლიკვიდაციას **„ЦРУ“** მოახდენს და ამას **„ГРУ“**-ს დააბრალებს!

**– ბატონო არნო, გამოდის, რომ, ერთი მხრივ, აშშ ავალდებულებს სააკაშვილს, განახორციელოს „გადატვირთვის“ ოპერაცია როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობით, ისე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთში მიღებით, ხოლო, მეორე მხრივ, გეშავს იმავე საქართველოს პრეზიდენტს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ...**

– ყოველივე მეტად მარტივია:

1. ამერიკას სჭირდება მუდმივი ქაოსი კავკასიაში, რათა შეინარჩუნოს ამ რეგიონში დისლოკაციის მუდმივი სტატუსი. ამისათვის მისთვის ხელსაყრელია ახალი ომი ყარაბაღში, ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტების არსებობა და, ზოგადად, არასტაბილურობა რუსეთის სამხრეთში, რათა ხელი შეეშალოს პუტინს 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში და ჩაიშალოს 2014 წლის ოლიმპიური თამაშები. ამ მიზნის მისაღწევად ამერიკა კვლავ და კვლავ უნდა დარჩეს საქართველოში, რომელსაც, გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, ერგო ერთდროულად პლაცდარმისა და საკომანდო პუნქტის სტატუსი. ამიტომაც ეჯაჯგურებიან სააკაშვილს, გამუდმებით გააღიზიანოს **„რუსული დათვი“** ხან ჩერქეზთა გენოციდით, ხან – ჩრდილოკავკასიური ბანდდაჯგუფებებით, რისთვისაც შემოღებულ იქნა რუსეთის ფედერაციის ჩრდილო კავკასიის ფედერალური ოლქის მცხოვრებთათვის საქართველოსთან უვიზო მიმოსვლა, რამაც რეალურად გაამარტივა დივერსანტების გადაადგილება საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში და პირიქით (გაიხსენეთ ირანთან უვიზო მიმოსვლა, რის შესახებაც ჩვენ ცოტა ხნის წინათ ვსაუბრობდით). ფაქტია – ამ საქმისათვის აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საჭირო არ არის, რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მიღება და **„გადატვირთვის“** პოლიტიკა კი წარმოადგენს ობამას წინასაარჩევნო პოლიტიკის ნაწილს, რომელსაც ეწინააღმდეგებიან ზემოხსენებული **„ქორები“** და თვით სახელმწიფო მდივანი კლინტონიც კი.

2. რუსეთის ფედერაციას სჭირდება მშვიდობა და სტაბილურობა მთელ კავკასიაში – მისი სტრატეგიული ინტერესების ზონაში, რომელიც თავისუფალი იქნება ნატოს სტრატეგიული ინფრასტრუქტურის ელემენტებისაგან, ამის მიღწევა კი შეუძლებელია აღნიშნული რეგიონიდან აშშ-ის გამოდევნის გარეშე. ამიტომაც რუსეთი დაინტერესებულია ჩრდილოეთ კავკასიის სტაბილურობით, ყარაბაღის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტითა და საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენით.

3. ქართველ ხალხს სურს მშვიდობა და კეთილდღეობა საკუთარ სახლში, კერძოდ, კავკასიაში. ანუ ქართველ და რუს ხალხებს სურთ ერთი და იგივე. აი მთელი ეს სიბრძნე სიცრუისა.

**– კი მაგრამ, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი სამუდამოდ უნდა დავივიწყოთ?**

– გაგიმხელთ **„საშინელ საიდუმლოს“** – ფორმულას, როგორ დავაბრუნოთ აფხაზები და ოსები მოძმე ხალხთა ერთიან ოჯახში: საქართველო + რუსეთი = ერთიანი საქართველო (აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ერთად), ანუ საქართველოს შეერთება რუსეთთან თავისთავად გამოიწვევს საქართველოს შეერთებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან! განა რთული ფორმულაა? განა საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი არ ოცნებობს ადრინდელი ძმობის აღორძინებაზე რუსეთთან, არ ენატრება უვიზო რეჟიმი, სარფიანი ვაჭრობა და, საერთოდ, რუსები?

რუსულ-ქართული სტრატეგიული, კულტურული, ისტორიული და პოლიტიკური სივრცის აღდგენა – აი, ერთადერთი ხსნა საქართველოსთვის, რის შემდეგაც ჩვენკენ სტაბილურობით მოხიბლული აურაცხელი ევროპული, რუსული და, თუნდაც, ამერიკული ინვესტიცია დაიძვრება!

**– კონკრეტულად როგორ წარმოგიდგენიათ ეს პროცესი, ვის ხელშია ერთგვარი პოლიტიკური ჯადოს მოხსნის პრივილეგია?**

– საქართველოს აქვს უკანასკნელი ისტორიული შანსი – უახლოეს მომავალში გამოიყენოს პუტინის პრეზიდენტობა საქართველოს გასაერთიანებლად და ასაყვავებლად! ერთადერთი, ვისაც ხელეწიფება, იხსნას ქართველი ხალხი, მისი ისტორია, რელიგია და კულტურა, სწორედ ვლადიმერ ვლადიმერის ძე პუტინია – სიტყვისა და საქმის კაცი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მოღვაწე, რომელიც ბრწყინვალედ იცნობს და რომელსაც ჭეშმარიტად უყვარს საქართველო და ქართველები!

და როცა რუსეთის ხელისუფლების სათავეში მოვა პოლიტიკოსი, რომელმაც საბჭოთა კავშირის შესახებ მხოლოდ წიგნებით თუ იცის, ძალიან, ძალიან გვიან იქნება და ე.წ. ნაყოფია-ფიქჩერზის პროდუქცია ვეღარაფერს გვიშველის!

– ვგონებ, თქვენ მხედველობაში გაქვთ ჰოლივუდელი რეჟისორის – რენი ჰარლინის, გახმაურებული ფილმი „აგვისტოს 5 დღე“ და მის მთავარ პროდიუსერზე – ბიზნესმენ კობა ნაყოფიაზე მიუთითებთ...

– დიახ, მხედველობაში მაქვს სირცხვილი, სახელად **„აგვისტოს 5 დღე“**, რომლის პრემიერაც იმ კინოთეატრ **„რუსთაველში“** შედგა, რომელიც წინა დღეებში ერთ დიდ **„კონცლაგერად“** იყო ქცეული. და ამის შემდეგ აბსოლუტურად უცნობ სუბიექტს – კობა ნაყოფიას, ჰყოფნის თავხედობა, ტელევიზიით განაცხადოს, რომ ის აფხაზეთიდან დევნილია, ხოლო ვისაც ეს უნიჭო ფილმი არ მოეწონა, **„ჩვენი მტერია!“** სიტყვა **„ჩვენის“** ხმარებისას კობა ნაყოფია საკუთარ თავს საქართველოსთან აიგივებდა, რომლის სახელითაც ლაპარაკის უფლება მან 20 მილიონ ამერიკულ დოლარად იყიდა!

საინტერესოა, მთლიანობაში რამდენი მილიონი ამერიკული დოლარის მფლობელია ეს **„ლტოლვილი“**, თუ იგი პრეზიდენტ სააკაშვილის ბრძანებით ასეთი **„სიხარულით“** დაემშვიდობა ფილმის საპროდიუსეროდ გათვალისწინებულ 20 **„ლიმონს“**, რომელიც, უპრიანი იქნებოდა, ისევ და ისევ ასეულობით ათას ლტოლვილს დარიგებოდა?! მაგრამ მე მებრალება უდარდელი კობა, რომელიც იმდენად შეიჭრა როლში, რომ ვეღარ შეამჩნია, როგორ დაუფარა აბსოლუტურად მრგვალი თავით მზე სააკაშვილს. ამიტომაც გახსოვდეთ: მას პერმანენტულად მოწველიან არჩევნებამდე, ხოლო შემდეგ საქართველოდან გააქცევენ და ისიც ამჯერად ნამდვილი და სრულუფლებიანი ლტოლვილი გახდება!

**– კიდევ ერთი ბოლოდროინდელი მოვლენის შესახებ მინდა, გკითხოთ. საქმე ეხება ყოველთა სომეხთა კათოლიკოს გარეგინ მეორეს ვიზიტს საქართველოში და საქართველოს საპატრიარქოსთან ხელმოუწერელ კომუნიკეს...**

– დღეს, როდესაც თავად რომის პაპი ბენედიქტე XVI ურწმუნოებაში სდებს ბრალს დასავლეთს და მოუწოდებს ახალი გზის მოძიებას, ჩვენი პატრიარქი აიძულეს, მიეღო შერონ სტოუნი! რა გრძნობა უნდა დაეუფლოს მრევლს, როდესაც ვხედავთ ჩვენს მწყემსმთავარს, ქართველი ერის სულიერ მამას ცოდვილისა და სატანის გვერდით?! (დიახ, მე მხედველობაში მყავს პატრიარქი, შერონ სტოუნი და შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე თოფურიძე).

წარმოგიდგენიათ, სექსვარსკვლავი სტოუნი, რომელსაც შავი ლიმუზინი რეზიდენციის ეზოში, ლამის მთავარ კარიბჭესთან მიუგორეს, ისე ჩასკუპდა მანქანაში, რომ წესიერად არც კი გამომშვიდობებია 78 წლის პატრიარქს, რომელმაც აკანკალებული ხელით უსახსოვრა მას წმიდათაწმიდა ხატი (გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ შერონ სტოუნისათვის ეს ლიმუზინი რუსთაველის თეატრთან მიეყვანათ, როცა ბანკეტიდან გამოსული გალეშილი აქტრისა ბორძიკით დგამდა ნაბიჯებს და ლამის გაიშოტა კიდეც!)!..

აი, სად უნდა ვეძიოთ იმ სკანდალის მიზეზები, რომლითაც დასრულდა ყოველთა სომეხთა კათოლიკოსის ვიზიტი. თუ საქართველოს ხელისუფალნი თავად არ სცემენ პატივს საქართველოს პატრიარქს, რაღა უნდა მოსთხოვო ყოველთა სომეხთა კათოლიკოსს, რომელიც მთელი მსოფლიოს სომხობის სულიერი მამაა და პატარა სომხეთის პრეზიდენტზე გაცილებით მაღალი ანგის ფიგურას წარმოადგენს?!

დანარჩენი დეტალები კი, დაე, **„კომისარმა ჟუჟმა“** გაგაცნოთ, რომელიც რეზო ამაშუკელმა რუსთაველის თეატრში გამართულ პოეზიის საღამოზე ასე წარმოადგინა: **„ისტორია იცნობს ვან გოგს, ვან დეიკს, ვან ბეთჰოვენს, ვან კლიბერნს და ვან ბაიბურთს!“** ჰოდა, ჰკითხეთ ამ უკანასკნელს, ამავე დროს, სააკაშვილის მრჩეველს, რა იყო გარეგინ მეორეს საქართველოში ვიზიტის ნამდვილი მიზეზი და სინამდვილეში რატომ არ მოაწერა ხელი კომუნიკეს? დაე, ვან ბაიბურთმა პირდაპირ გვიპასუხოს – ვინ იყო მტყუანი – ილია მეორე თუ გარეგინ მეორე? გვითხრას ისიც, უნდა დაუთმოს თუ არა საქართველომ სომხეთს 6 ეკლესია და დაუშვას სომხური ეპარქიის ოფიციალური იურიდიული სტატუსი? და თუ ამაზე ვანმა არ უპასუხა, ნუ დაუკავშირდებით ვანესა მეის, მე მესტუმრეთ საქინფორმში და ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვებით.

**– და ბოლო კითხვა: ავღანეთში დაიღუპა კიდევ ერთი ქართველი ჯარისკაცი, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, 2012 წლამდე სრულად გამოიყვანოს იქიდან ამერიკული არმია (ასეთივე გადაწყვეტილება აშშ-ის კვალდაკვალ საფრანგეთმა, ესპანეთმა და სხვა ქვეყნებმაც მიიღეს), საქართველო აპირებს, მომავალი წლისათვის კიდევ ერთი ბატალიონი გაამწესოს ავღანეთში და ამით გააორმაგოს ნატოს ოპერაციებში ჩვენი მონაწილეობა.**

– ორიოდე კვირის წინათ მთავრობამ გამოსცა კანონი, რომელიც უკრძალავს მოსახლეობას, ხორცის შემდგომი გაყიდვის მიზნით საშინაო პირობებში დაკლას საქონელი. ექსკლუზივი ამ სფეროში ამჯერად ეკუთვნის მხოლოდ ნატახტარის სასაკლაოს, სადაც მეპატრონემ ცოცხალი საქონელი თავად უნდა მიიყვანოს და ხორციც თავად უნდა მიიღოს. ბუნებრივია, ამან მნიშვნელოვნად გაზარდა ძროხის ხორცის ფასი და საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაკარგა საქონლის ხორცის ჭამის უფლებაც!

პირდაპირ ვიტყვი:

ჩემთვის უკვე ამაზრზენია იმ ქვეყნის პრეზიდენტის კრიტიკა, სადაც დავიბადე და მოვკვდები, მე არ ვცნობ დემოკრატიას, რომლის დროსაც საქონლის ხორცი 21-ე საუკუნეში ფუფუნების საგანია, ჩემთვის საძულველია ხელისუფლება, რომელიც შეუძლებელს ხდის, რომ მოქალაქეებმა **„ასკოფენის“** გარდა, სხვა მედიკამენტიც იყიდონ.

მე გული მერევა მმართველი პარტიის იმპოტენციაზე, რომელმაც დაჩრდილა თვით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ახალგაზრდა ქართველებს საზარბაზნე ხორცად **„NATOხტარის“** სასაკლაოზე აგზავნის!

დიახ, NATOხტარის სასაკლაოზე, შორეულ ავღანეთში, სხვისი ინტერესებისათვის გაჩაღებულ დანაშაულებრივ ომში, მითუმეტეს, მაშინ, როდესაც ეს სხვები თავადვე მოეთრევიან იქიდან!

და ვთქვათ ახლა პირდაპირ და გულახდილად: ამაში დამნაშავე არც ფანტომასია, არც ბასი და არც კონტრაბასი; უფრო მეტიც, ასევე არ არის დამნაშავე ბებერი კომისარი ვანი, ამაში ჩვენ ყველანი ვართ დამნაშავე, მთელი ქართველობა, მინდა მჯეროდეს, რომ ჯერ ისევ ხალხად წოდებული!!!

ესაუბრა ნონა ბენდელიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლაღამი

**(სვანურ მოტივებს გთავაზობთ ბატონ ზაურ ფიფიას** წიგნიდან **"ჩანახატები სიმღერისათვის "სვანეთი")**

ორღობეებს უკვე შეეპარა შავნაბადა საღამო. ცაზე რიგრიგობით აბრდღვიალდნენ ვარსკვლავები და ლაილას მწვერვალზე იმსხვრევა, სადღაც, უშბის იქით ჩაგორებული მზის უკანასკნელი სხივები.

ლურგიმზე ჩამომჯდარა პატარა მედული. სიჩუმეა ლაღამში.

მაქსიმე გვარლიანს რომ ჰკითხო, ლაღამისნაირი სოფელი ქვეყანაზე არ არის. რად გინდა რომ შეედავო, განა სადავოა რამე? შენ შენსას იტყვი, ის თავისას გეტყვის და, შენ რომ გგონია, საქმე ამით დამთავრდაო, მაშინ მოუხსნის გუდას თავს ეს სიტყვაუთქმელი კაცი და ბოლოს შენც რწმუნდები, რომ სწორია ბატონი მაქსიმე. აბა, პირდაპირ რომ კოშკია, კეთილი ინებე და შეიარე მასში, — იქ მიხეილ ხერგიანი ცხოვრობს, ჩხუმლიანი. ხო, ცხოვრობს! ხომ არ გეგონათ სხვანაირად ვიტყოდი? — მიხეილ ხერგიანი ცხოვრობს! გაბედე და თქვი, არაო. იქ დღესაც მღერის თავის სიმღერას **"კლდის ვეფხვი"** და სიმღერა ხომ არასოდეს კვდება.

მე დღეს ვიყავი იმ კოშკში და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ მიხეილ ხერგიანი ერთადერთია ქვეყნად, ისევე, როგორც ლაღამია ერთადერთი.

ამიტომაც გამოვეპარე უბრალო ხმებს და დავბორიალებ, ახლა, ლაღამის ბილიკებზე.

მხოლოდ ეზოდან გამოსვლისას მომადევნა პატარა მედულიმ:

— იმთესხრი ბუბა, იმთესხრი? (საით მიდიხარ, ბიძია? — სვანური).

— იქით, მაღლა ავდივარ, მედო, მაღლა! — და ეს **"მაღლა"** სადამდე მიდის ნეტავ? არა, მე მედულისათვის არ დამისვამს ეს კითხვა, ისე, ჩემთვის ვთქვი გულში და, ეტყობა თვითონაც ვერ გავცემ პასუხს. ანდა რა პასუხი უნდა გასცე ფიქრებს, რომლებიც გინდა თუ არა, მაინც მიგაქროლებენ ცნობისმოყვარეობითა და რომანტიკით აღსავსე ქარაფებისაკენ.

დღეს მაცხოვრის ეკლესიის ეზოში ერთი ამბავი ატყდა: — იშვიათად, რომ ვინმე ჩამოსულს, თუნდაც, ოდნავ აეწიოს საჯილდაო ქვა პირველსავე ცდაზე და, როდესაც ამას, როგორღაც ვახერხებ, უხუცესი ლაღამელი, გერმანე ხოჯელანი ბაუჩი მარგიანს გოცებული შესცქერის.

— ვინ არის, მარე, ეს შენი სტუმარი?

ბაუჩი იღიმება და თანდათან გროვდება სოფლის ახალგაზრდობა. ორღობეებიდან ერთი-ერთმანეთის მიყოლებით გამოდიან მთის ჰაერივით წმინდა ცირები და ჭაბუკები. ცირები ძელსკამებზე სხდებიან. ჭაბუკები სვიფის ქვის გარშემო გროვდებიან და იწყება **"ჯგვიბ"** — შეჯახება!

— შეხედე, დინა, შეხედე! — ყველაზე მორცხვი ცირებიც ვერ მალავენ აღტაცებას და გახვითქული ვაჟები ჯილდაობენ ლაღამში. თამაზ რატიანს მკერდამდე ააქვს ქვა. სექტემბრის მზეზე ტრიალებენ ჯანმაგარი კუნთები და გამარჯვების სურვილი აოკებს ყველაფერს. საჯილდაო ქვა ოთხნაირი მიდგომით უნდა ასწიო, ამას ყველა როდი ახერხებს, სვიფის ქვაზე ახტომა ყველას როდი ძალუძს, ეს რჩეულთა ხვედრია. ზოგი, შეკრული წარბებით შორდება მას, ზოგს კი, თვალები უბრდღვიალებთ და მაცხოვრის ეკლესიის ეზოში ითელება ბალახი, რომელსაც ლამის არის დაუფარავს სვიფისა და საჯილდაო ქვები. **"სვიფს"** ჭიდაობა ცვლის. ჭიდაობას ისევ **"საჯილდაო"** და გერმანე ხოჯელანი სინანულით ამბობს:

— დიდი ხანია არ გამოვსულვარ ამ ეზოში, დაგვავიწყდა **"ჯგვიბ"**.

დღეს მხოლოდ გახსენება იყო **"ჯგვიბისა"**.

ნამდვილი **"ჯგვიბ"** კი, ზამთარში იცოდნენ ლაღამში და მას მოსავლის დღესასწაულს უწოდებდა ხალხი. წინასწარ მომზადებული ყინულის კვადრებიდან ააგებდნენ კოშკს. კოშკის თავზე ჯვარს დაამაგრებდნენ და მის ჩამოხსნაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მთელი სვანეთის ვაჟკაცები, იყო ტყვიის სროლა, ცეკვა-სიმღერა და, რაც მთავარია:

**"...აქ მოსისხლე მტრებიც რომ შეხვდნენ და დაეჭიდონ ერთმანეთს, იმათი პაექრობა მხოლოდ ამხანაგური დავა იქნება. ხოლო, ვინც ამ კანონს არ დაიცავს, სხვას აწყენინებს და სხვისგან ეწყინება, აურზაურს ატეხავს და საერთო მხიარულებას ჩაშლის, სამუდამოდ მოიკვეთება სოფლიდან".** (მ. ხერგიანი — **"კლდის ვეფხვი"**).

ზაფხულში თიბვის დაწყების წინ კი, **"ახანახას"** ზეიმობდნენ სვანეთში. სათიბის თავს, წმიდა ხის ძირას, იყრიდა თავს გვარი. ილეოდა **"არაყი"** და ერთმანეთს ულოცავდნენ სვანებისათვის დიდი ამბის, თიბვის დაწყებას. ნაშუადღევს თავგამოდებით იცავდა ყოველი გვარი თავის სახელს ჭიდაობაში, სვრელის გატანაში, ცეკვაში, სიმღერაში; ერთმანეთს ენაცვლებოდნენ **"ლილეო"** და **"კვირია"**, **"ფერხული"** და **"ცერული"**, და სწორედ **"ახანახას"** ფინალი იყო **"ჯგვიბ"**, — შრომით გაკაჟებულ სულს ხალისითა და ჩაუქობით იმდიდრებდა ხალხი.

...ახლა კი, საოცარი სიმშვიდეა ეკლესიის ეზოში. ვდგევარ და ყურს ვუგდებ ღამის მყუდროებას, რომელსაც მხოლოდ შუადღისას გათელილი ბალახის გაზმორება ურღვევს სიმშვიდეს. თვალწინ მიდგას თამაზ რატიანი, დღევანდელი დღის გმირი, ისევ ოფლში იღვრებიან ჯეელები და ძელსკამზე ჩამომსხდარი, მორცხვი ცირები მკერდში ვერ იტევენ სათქმელს.

**"შეხედე, დინა, შეხედე!"**

...მაგრამ ეს ყველაფერი წამიერი გაელვებაა სურვილისა და მეტი არაფერი. უკვე დიდი ხანია არ ეწყობა სვანეთში **"ჯგვიბ"** თუ **"ახანახა"**, უკვე დიდი ხანია არ ისმის გამარჯვებულის ყიჟინა და თუ, თამაზ რატიანის მეტმა ვერ ასწია საჯილდაო ქვა, ეს ამ მივიწყების ბრალია.

საქართველოს ყველა კუთხეში ოდითგან ჰქონდათ ადამიანებს სადღესასწაულო თარიღები, ღმერთების სადიდებელი. ქართველები ზეიმობდნენ დოლის, რთველის, თიბვის დაწყებას, საძირკვლის ჩაყრას და ამით ხალისი შეჰქონდათ შრომაში. შეიძლება **"ჯგვიბიში"** და **"ახანახაში"** მართლაც ერია **"ველური"** ელემენტები, მაგრამ მათი სულ მცირე გადაკეთება მოგვცემდა ბრწყინვალე თანამედროვე დღესასწაულს, სადაც საფუძველჩაყრილი სპორტული შეჯიბრება გადაიზრდებოდა შრომით შეჯიბრებაში, მაგრამ ბევრგან რატომღაც, ავ-კარგიანობის განურჩევლად, ზურგი შევაქციეთ მათ. არც შევეცადეთ შეგვეხამებინა ისინი დღევანდელობისათვის. არადა, ესეც ხომ ისტორიაა ერისა, რომლის ნაფუძვარზე შენდება ახალი ისტორია?

აკადემიკოს **ნიკო კეცხოველის** სიტყვები მახსენდება: — **"მე სოფლად ტრადიციული დღეობების წინააღმდეგი არავითარ შემთხვევაში არა ვარ! დღეობა, რომელიც იყო ჩვენში უნდ არსებობდეს, მაგრამ არა იმ სახით, რა სახითაც დღეს გვაქვს, როგორც გადმონაშთი. ამ საქმეზე დაფიქრება გვმართებს! ყოველგვარი უცნაურობების გარეშე, მარტივად უნდა შევხედოთ ამ საქმეს, მაგრამ, ამავე დროს, სიღრმე არ უნდა აკლდეს მას და მივცეთ სილამაზე, დავუბრუნოთ სილამაზე ჩვენს ლამაზ სოფელს, ჩამოვაცილოთ თუა რამე დამახინჯებული, ყოველგვარი სიმახინჯე, და გავაბრწყინოთ იმავე სილამაზით, როგორადაც იგი დღევანდელობას შეეფერება".**

ამ სიტყვებით ბრძენკაცმა ჩვენი რესპუბლიკის მილიონობით ტელემაყურებელს მიმართა.

**"მურყვამთა შორის დაიარება ნახევარი მთვარე.**

**მურყვამში მედულის სძინავს, რომელიც, ვიცი, ალიონზე დამადგება თავს და კიდევ ერთხელ შემეკითხება:**

**— "იმთესხრი, ბუბა, იმთესხრი?"**

მე კი, ისევ ავუყვები ჰაწვალის ველს, ყურს დავუგდებ ნაძვების სუნთქვას და ყოველ ჩანჩქერთან გავიხსენებ ანზორ ჯაფარიძეს. ნაძვს ჩაფრენილი კოდალას **"კიდ-კიდ"** გამიბზარავს გულს და წელში მოხრილი ფიჭვები დააბეჩავებენ ტყეს.

მერე, ისევ ჩამოვალ დაბლა და, სანამ ლაღამს ვეწვეოდე, გავიხსენებ დიმიტრი მარგიანის მონაყოლ ლეგენდას: — უხსოვარ დროში ვიღაც გოშთელიანმა ტყე გაკაფა, სარწყავებისთვის წყალსაცავი მოაწყო, მერე გასკდა წყალსაცავი და წალეკა სოფელი. ამ სოფელს ახლა ლანჩვალი ჰქვია,— წანალეკი. მეზობელ სოფელში ატირდა დაღუპულთა ჭირისუფალი,— ახლა ლაგუნიაში ჰქვია ამ სოფელს,— ნატირალი ადგილი.

**"გამოვივლი ლანჩვალსა და ლაგუნიაშს და ვიტყვი: — "სვანეთში მოჭრა კი არა, შველა უნდა ტყეს!"**

მანამდე კი, იოსელიანების ჩამონგრეული კოშკიდან გადავყურებ ლაღამს და ხმამაღლა ვიმეორებ კლდეებთან უპირველესი მოჯილდავის, ჩხუმლიანის სიტყვებს:

**"...როცა მეკითხებიან ხოლმე, ცალ თითზე როგორ იმაგრებ თავსო, მაშინათვე საჯილდაო ქვა წარმომიდგება თვალწინ, მერე თეთრი მოხუცის ზღაპრის გმირების, ბეთქილისა და ჩოლრას მამაცობა გამახსენდება და კიდევ, ზამთრობით იმავე მაცხოვრის ეზოში ჩატარებული დიდი ჯგვიბის დღესასწაული..."** (მ. ხერგიანი — **"კლდის ვეფხვი"**).

უკვე ცრის და იცრიცება ღამე. სძინავს ლაღამს.

# ფიქრები ვოვა ვეკუაზე და 1989 წლის 15-16 ივლისის აფხაზურ-ქართულ ტრაგედიაზე

ახლოვდება 15-16 ივლისი. 22 წელი გასულა ქართულ-აფხაზური ტრაგედიიდან. ფიქრებით ხშირად ვუბრუნდები იმ დღეებს და საკუთარ თავს ვეკითხები: შეგვეძლო თუ არა ამ ორი მოძმე ერის შვილებს იმ უბედურების თავიდან აცილება? ალბათ შეგვეძლო, მაგრამ, როგორც სჩანს, ამას ორივე მხარემ დავაკელით ძალისხმევა, ვერაფრით შევუშალეთ ხელი იმას, რამაც საბოლოოდ დიდ და საბედისწერო კონფლიქტამდე მიგვიყვანა. რაღაცნაირად მოჯადოებულ წრეში აღმოვჩნდით თითქოს, მაშინ... თუმცა, მაინც იყო რაღაც მცდელობა იქითა მხრიდანაც, ვაი, რომ უშედეგოდ... ახლა, როცა ამაზე ვფიქრობ, მუდმივად ვოვა მიდგას თვალწინ. ვოვა ვეკუა — რაინდი კაცი და ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერი გასული საუკუნის 80-იანი წლების აფხაზეთში. მახსენდება ის გიჟური, ავადმყოფური უწყებრივი დაპირისპირება, გახლეჩილი თეატრი, გახლეჩილი უნივერსიტეტი, გახლეჩილი საფეხბურთო გუნდიც კი... მახსენდება პერმანენტული პროვოკაციები, პროვოკაციები, პროვოკაციები... და, ეს, რაღა თქმა უნდა, იყო დანაშაული! დანაშაული — ჩადენილი ორივე ხალხის წინაშე! დანაშაული, რომელშიც ბრალი მიგვიძღვის ორივე მხარეს!

ეს იყო ცოდვა, რის გამო, ახლა, მეც მიპყრობს ტკივილისა და სინანულის განცდა... რა თქმა უნდა, ასევე მახსენდება ვიღაც მესამე თუ მეოთხე ძალის უშნოდ ფათური ქართულ-აფხაზურ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობაში და ბოლოს, როგორც სავალალო შედეგი — ლამის უსაშველოდ გაბზარული ძმობა ამ ორი მოძმე ხალხისა...

წეღან ვოვა ვახსენე — სულგანათლებული ვოვა და აქ როგორ შეიძლება არ გამახსენდეს უნივერსიტეტის გაყოფის წინა პერიოდი, რასაც მერე მოჰყვა 1989 წლის 15-16 ივლისის უბედურებაც. მახსოვს, სოხუმის პირველ საშუალო სკოლაში ვიყავით ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები სათათბიროდ შეკრებილები, როცა ვიღაცამ შეგვატყობინა: ქართული თეატრის შენობასთან ქართველი სტუდენტების ჯგუფი მჯდომარე აქციის დაწყებას აპირებს უნივერსიტეტის გაყოფის მოთხოვნითო. ვოვა ვეკუამ, თემურ ლორთქიფანიძემ და მე უმალ დავტოვეთ სკოლის შენობა და გავემართეთ აქციის ორგანიზატორებთან სასაუბროდ. თუმცა, ესეც უნდა ითქვას: აქციის რეალური ორგანიზატორები იყვნენ არა სტუდენტები, არამედ მათ ზურგს უკან მოკალათებული ზოგი ლექტორი და ეროვნული მოძრაობის ვაი-წარმომადგენელი. თითქმის ერთი საათის განმავლობაში ვეხვეწებოდით ვოვა, თემური და მე იმ სტუდენტებს, თავი შეეკავებინათ აქციის ჩატარებისაგან. ვუხსნიდით მათ, რომ ეს უკიდურესად გაამწვავებდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს, რაც შეიძლებოდა ეთნოკონფლიქტში და საშინელ ტრაგედიაში გადაზრდილიყო.

ამაოდ!

ეგზალტირებულები იყვნენ და არ დაგვიჯერეს! ვერ დავარწმუნეთ მავანთა მიერ შეგულიანებული, ჯერ კიდევ უმწიფარი და პოლიტიკაში ჩაუხედავი გოგო-ბიჭები და შედეგმაც არ დააყოვნა — რამდენიმე დღის შემდეგ ვოვა ვეკუას, გამძვინვარებულმა ბრბომ, ლურსმიანი ჯოხის ცემით ამოხადა სული — ვოვა გრძნობაზე მოუსვლელად გარდაიცვალა სოხუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. სამწუხაროდ, მან თან გაიყოლია მამულზე დარდი...

ვოვა სრულიად საქართველოს დიდებაზე მეოცნებე იყო, მაგრამ სამეგრელოს ტკივილს ძალიან განიცდიდა და ზოგჯერ იტყოდა: **"ჩქინი საბრალო სამარგალოს მუ ოხვარ, ჯიმალეფი!.."** აი, ამიტომაც იყო ის განსაკუთრებული, განსხვავებული მოვლენა ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაში და თუნდაც ამიტომ იცოცხლებს ის ყველა ნამდვილი კოლხ-იბერი მამულიშვილის ხსოვნაში...

ფიქრები გამექცა. კვლავ ის უგუნური მინდა გავიხსენო, ისინი, ეროვნული მოძრაობის უკეთილშობილესი და უწესიერესი ლიდერი რომ შეიწირეს, თვითონ კი, სულ რამდენიმე კვირის შემდეგ საგამოცდო კომისიებში მოკალათებულებმა, აბიტურიენტთა მშობლებისაგან უნამუსოდ ფულები ხვეტეს! და ეს მაშინ, როცა ვოვას სისხლი ჯერ კიდევ აჩნდა მიწას.

ნურავინ იფიქრებს, რომ ზედმეტად მკაცრად განვსჯი მავანთ. არა! ისიც ვიცი — იმ ლექტორებში და სტუდენტებში იყვნენ უმწიკვლო ადამიანებიც...

მე კი, კვლავ ვოვაზე ვფიქრობ. ვფიქრობ მაშინ ზვარაკად შეწირულ სხვა ქართველებზე. დაღუპულ აფხაზებზეც ვფიქრობ, ისინი ხომ ჩვენი ძმები იყვნენ, ჩვენი გვარისშვილები...

ოცდაორი წელი გასულა მას შემდეგ. ოცდაორი ტრაგიკული წელი. ვოვასთან ვბრუნდები კვლავ და ახლაც თვალწინ მიდგას მიტინგზე ამაყად მდგარი ვოვა ვეკუა. ყურში ჩამესმის მისი სიტყვები: **"ჩვენ მაინც ვიპოვით გზას აფხაზთა გულებისაკენ"...**

მჯერა, ვოვა! ასეც იქნება!

ისიც მჯერა, რომ შენ პირნათელი და ვალმოხდილი მიუხველ მამა-პაპათ!

ისიც ნამდვილად მჯერა, ტანჯულო ძმაო, რომ შენი საფიცარი სამშობლო აუცილებლად გახდება თავისუფალი, ქრისტიანული, მთლიანი და აყვავებული!.. აი, მაშინ კი, ის თეთრი რაში, შენი სათაყვანებელი წმინდა გიორგის თეთრი რაში შენს საფლავთან ჩამოიქროლებს და ჩვენც შევძახებთ: ვოვა, აღსრულდა!

**ზურაბ კვარაცხელია**

**1989 წლის 15-16 ივლისს შესრულდება 22 წელი იმ ავბედითი დღიდან, როცა დაიღუპა 21 ადამიანი, მათ შორის ორი არასრულწლოვანი:**

**ქართველები:**

**ვლადიმერ (ვოვა) ვეკუა — სოხუმი;**
**რამინ ჩოჩია — სოხუმი;**
**კოტე მიქაძე — სოხუმი;**
**გივი ლობჟანიძე — სოხუმი;**
**ნური შამათავა — გალი, ოქუმი;**
**რევაზ ეხვაია — გალი, ნაბაკევი;**
**ველოდი ბასილაია — ოჩამჩირე;**
**მახუტ დარსალია — გულრიფში;**
**ონერ შენგელია — ზუგდიდი;**
**ზაზა ჯვარელია — სენაკი, ნოსირი;**
**რამაზ მღებრიშვილი — თბილისი;**
**ამირან კაპანაძე — ზესტაფონი;**
**ვიქტორ ახვლედიანი — ცაგერი, ტვიში;**
**ირაკლი სანაია (ბავშვი) — სოხუმი;**
**ლია სართანია (ბავშვი) — სოხუმი.**

**აფხაზები:**

**ალბერტ კობახია;**
**ბესლან ჩქოტუა;**
**ალექსი კოღონია;**
**ივანე ლასურია და ნური ლასურია** (ძმები);
**სართანია** (სახელი ჩვენთვის უცნობია).

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები!**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სერგეი კრემლიოვი

# ბერია XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი

მოსკოვი მყარად და საიმედოდ იყო დაცული – ყველაფერი ეს საათების განმავლობაში არ შექმნილა! მოსკოვის საჰაერო დაცვის სისტემა ყალიბდებოდა თანდათან, მეთოდურად, წრიული პერიმეტრით. გარე დაცვის ზღუდეები ქალაქიდან თითქმის 200-250 კილომეტრზე იყო გატანილი, რაც საშუალებას აძლევდა გამანადგურებელ ავიაციას, რომ მტერს მოსკოვიდან შორს დახვედროდა, საბჭოთა საზენიტო არტილერია კი მტრის შემოღწეულ ძალებს ქალაქიდან 19-26 კილომეტრში უმკლავდებოდა. უკანასკნელ ზონაში საბჭოთა გამანადგურებლებს შესვლა ეკრძალებოდათ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მტრის თვითმფრინავებს გამოედევნებოდნენ, საზენიტო ქვემეხების მოქმედების ზონიდან.

როგორც ხედავთ, სტალინი მინც ყოყმანობდა, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვის საჰაერო თავდაცვა უნაკლოდ მუშაობდა – მოსკოვის პირველივე საავიაციო შეტევისას, 22 ივლისს, გერმანელებმა დაჰკარგეს 12 თვითმფრინავი, რომლებიც საჰაერო დაცვის გამანადგურებლებმა ჩამოყარეს, 10 თვითმფრინავი კი მეზენიტეებმა ჩამოაგდეს. მხოლოდ ცალკეულმა ბომბდამშენებმა მიაღწიეს მოსკოვამდე. ამასთან, საჰაერო თავდაცვის პირველი კორპუსის საზენიტო არტილერიის ქვედანაყოფებმა დახარჯეს 29 ათასი მსხვილი კალიბრის ჭურვი და 130 ათასი ტყვიამფრქვევის ტყვია.

სულ, ორი თვის განმავლობაში, მტრის მოგერიებისას ჩვენს მიერ დახარჯული იქნა 471 ათასი ჭურვი. საშუალოდ, თითოეულ ჩამოგდებულ თვითმფრინავზე მოდიოდა 2.775 ჭურვი. საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა ჩამოგდებული მტრის თვითმფრინავი.

როგორც უკვე აღვნიშნე, საჰაერო თავდაცვის სისტემა ასევე აღჭურვილი იყო რადიოსალოკაციო სადგურებით. აი, ამ სადგურების გამოყენების შედეგად ჭურვების ხარჯმა თითოეულ ჩამოგდებულ თვითმფრინავზე შეადგინა 98 ჭურვი. ერთი ჭურვის ღირებულება კი, მაშინ, ორი წყვილი ქრომის ჩექმის ღირებულების ტოლი გახლდათ!

მტერმა რომ მოსკოვიდან დაიხია, დედაქალაქის დაცვის სისტემა მაინც არ შესუსტებულა. სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის 1942 წლის 5 აპრილის დადგენილებით შეიქმნა საჰაერო თავდაცვის მოსკოვის ფრონტი, რომელიც 1943 წელს გარდაიქმნა მოსკოვის საჰაერო თავდაცვის საგანგებო არმიად. ამან მტრის თვითმფრინავების მოსკოვამდე მოღწევის თეორიული შანსიც კი გამორიცხა.

ეს, რაც შეეხება გერმანულ ავიათავდასხმებს... მაგრამ სტალინმა ომის დამთავრებისთანავე კვლავ აქტუალური გახადა მოსკოვის საჰაერო თავდაცვის სისტემის ქმედითუნარიანობა. მას შემდეგ, რაც ამერიკამ ატომური იარაღი შექმნა, ამ საკითხმა კვლავ წინა პლანზე წამოიწია. თუნდაც ერთ შემოხეტიალებულ თვითმფრინავს შეეძლო მოსკოვი ჰიროსიმად ექცია!

ამ **"წინასიტყვაობის"** შემდეგ შეიძლება თხრობა გავაგრძელოთ...

აქ მე ფაქტობრივად ვეყრდნობი კონკრეტულ პირთა მონათხრობებს, თუნდაც ისეთი კომპეტენტური ექსპერტისა, როგორიცაა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე პავლეს ძე რეუტოვი. რადიოლოკაციის ამ დიდმა სპეციალისტმა, 1950 წელს, ნ.ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო იმ №1 საკონსტრუქტორო ბიუროში, რომელმაც საფუძველი დაუდო მოსკოვის თანამედროვე საჰაერო დაცვის სისტემას.

იგი იხსენებს №1 საკონსტრუქტორო ბიუროს დამფუძნებლის, ასევე დიდი მეცნიერისა და რადიოტექნიკის კონსტრუქტორის, გენერალ-მაიორ პავლე ნიკოლოზის ძე კუქსენკოს მონათხრობს იმის თაობაზე, რომ 1950 წლის ერთ საღამოს, კუქსენკო სტალინმა დაიბარა და აცნობა, რომ მტრის უკანასკნელი თვითმფრინავი მოსკოვის ცაზე გამოჩნდა 1942 წლის 10 ივლისს და ეს იყო მარტოსული მზვერავი თვითმფრინავი. ამის შემდეგ სტალინმა მას უთხრა, რომ ახლა მოსკოვის იმგვარი საჰაერო დაცვის სისტემა უნდა შეიქმნას, რომელიც ყოველმხრივი (**"ვარსკლავური ომის"**) მასიური შემოტევის შემთხვევაშიც კი არ გაატარებს არცერთ თვითმფრინავს, რომელსაც ძალუძს ატომური ბომბის ტრანსპორტირება.

სტალინის შეკითხვაზე – თუ როგორი უნდა იყოს საჰაერო თავდაცვის ამგვარი სისტემა, კუქსოვმა უპასუხა, რომ სისტემა უნდა აიგოს რადიოლოკაციისა და მართვადი რაკეტების **"მიწა-ჰაერი"** და **"ჰაერი-ჰაერი"** ურთიერთშეწყვილების გზით.

რეუტოვის აზრით სტალინი იმიტომ გამოკითხავდა კუქსოვს ასე დაწვრილებით ყველაფერს, რომ ეს პრობლემა მისთვის საკმაოდ ახალი იყო. ჩემის აზრით კი, სტალინი, თავისებურ გამოცდას უწყობდა ორმოცდათორმეტი წლის სპეციალისტს, რადგან ბელადმა ჯერ კიდევ ომის წლებიდან კარგად იცოდა რადიოლოკაციის მნიშვნელობა, თუნდა მისი ადმირალ აქსელ ივანეს ძე ბერგთან (მამა შვედი ჰყავდა, დედა – იტალიელი, თავად ბერგი კი წმინდა წყლის რუსაკი გახლდათ) საუბრის შემდეგ.

მკითხველის გასაცნობიერებლად, რომ **"ტოტალიტარულ დროში"** ჩვენ ხის კოვზებით არ მივირთმევდით სალაფავს, აღვნიშნავ, რომ პირველი სერიული საბორტო რადიოლოკაციური სადგური **"გნეის-2"**, რომელიც 1942 წელს შეიმუშავა ვ.ვ. ტიხომიროვმა, დამონტაჟებულ იქნა მტრის აღმომჩენ ბომბდამშენ **Пе-2**-ზე. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტთან კი რადიოსალოკაციო საბჭო 1943 წლის ივლისში ჩამოყალიბდა და მისი თავმჯდომარის მოადგილე გახდა აქსელ ბერგი. თავმჯდომარე, სხვათა შორის, იყო გიორგი მალენკოვი, მაგრამ ამ კომპეტენტურმა **"ტექნოკრატმა-მმართველმა"** თავი დიდად ვერც აქ გამოიჩინა. ბოლოს და ბოლოს, რადიოლოკაციას, როგორც უმაღლესი ხელისუფლების დაინტერესებულმა პირმა, ბერიამ გაუწია მხარდაჭერა.

კუქსენკო კი, დიდი სამამულო ომის დროს, კაპიტნის ჩინით იყო სსრკ შინსახკომის ერთ-ერთი ნომრიანი რადიოტექნიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი ინჟინერი, და ამიტომ, ბერია მას უეჭველად იცნობდა. 1947 წელს, 51 წლის ასაკში (დაიბადა 1896-ში, გარდაიცვალა 1980-ში), პავლე ნიკოლოზის ძე გახდა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, მანამდე ერთი წლით ადრე კი გახდა სტალინური პრემიის ლაურეატი, ბომბდამშენებზე ახალი სამიზნის დამონტაჟებისათვის. უეჭველია, რომ კუქსენკო სწორედ ბერიამ **"გაიყვანა"** სტალინზე.

ასეა თუ ისე, სტალინმა უთხრა კუქსენკოს, რომ დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას მოსკოვის ახალი საჰაერო თავდაცვის სისტემა, რომელიც გაუმკლავდებოდა მტრის ყოველმხრივ შემოსევას. მალე ჩამოყალიბდა სსრკ შეიარაღების სამინისტროს №1 საკონსტრუქტორო ბიურო – უმსხვილესი სამეცნიერო და სამეცნიერო-საწარმოო კონცერნი, რომელიც მუშაობდა სარაკეტე რადიომართულ დანადგარებზე. ამ **სბ**-ს სათავეში ჩაუდგნენ პროფესორი პავლე კუქსოვი და ახალგაზრდა სერგო ბერია, რომელმაც ლენინგრადის კავშირგაბმულობის აკადემია დაამთავრა.

გრიგოლ ვასილის ძე კისუნკომ – 1946 წელს აკადემიის მასწავლებელმა, შემდეგ კი №1 **სბ**-ს ვეტერანმა, სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, გენერალ-ლეიტენანტმა, რომელიც რაკეტსაწინააღმდეგო დაცვის ხაზით მუშაობდა, 1996 წელს გამოსცა წიგნი **"საიდუმლო ზონა"**. კისუნკოს წიგნი პოლიტიკურ შეფასებებში არ არის მაინც და მაინც სიღრმისეული, მაგრამ საკმაოდ ზუსტად აღწერს საქმის ფაქტობრივ მხარეს.

სერგო ბერიაზე წერს, რომ იგი არ გამოირჩეოდა ქედმაღლობით, იყო კარგად აღზრდილი და ტაქტიანი და **"გონებაც საკმაოდ უჭრიდა..."**. სტალინი კი, დარწმუნდა რა კუქსენკოს ქმედითუნარიანობაში, **"საჭიროდ არ მიაჩნდა პავლე ალექსანდრეს ძის გამოძახება პირადი საუბრებისათვის და "ბერკუტის" პროგრამა მთლიანად გადააბარა ლავრენტი ბერიას"**.

მაშ ასე, სარაკეტო სამუშაოები თავს დაატყდა იგივე ადამიანს, ვინც **"ატომური"** ტვირთი ზიდა საკუთარ მხრებზე...

ბერია ამ საკითხს პირველად წააწყდა ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის დაწყებამდე სამი წლით ადრე, მაგრამ დღეს ეს არავის ახსენდება. ამასთან, იგი გავიდა რაკეტების ისეთ მსხვილ სპეციალისტზე, როგორიც იყო სერგეი პავლეს ძე კოროლიოვი. ამ დროს კი კოროლიოვი დაპატიმრებული იყო და სასჯელს ბანაკში იხდიდა. მაგრამ შევახსენებ მკითხველს, რომ კრემლის მომსვლელთა აღრიცხვის ჟურნალში არსებული ჩანაწერების მიხედვით სტალინთან კოროლიოვის პირველი ვიზიტი დაფიქსირებულია 1938 წლის 15 ოქტომბერს (22საათსა და 15 წუთიდან 23 საათსა და 40 წუთამდე). ეს იყო ხანგრძლივი საუბარი ვოროშილოვის მონაწილეობით, რომელიც სტალინთან შევიდა 21 საათსა და 50 წუთზე და იქიდან გამოვიდა 16 ოქტომბერს, ღამის ორ საათზე.

ასე რომ, ვერსიები იმის თაობაზე, თითქოს საბჭოთა კოსმონავტიკის მომავალი მთავარი კონსტრუქტორი წლობით **"ხეხავდა"** ციხის კედლებს, ანტონოვ-ოვსეენკოების მონაჩმახია. კოროლიოვს, რა თქმა უნდა, მთლად ტკბილი ცხოვრება არ ჰქონია, მაგრამ აქ უკვე ბერია არაფერ შუაშია – კოროლიოვი ჯერ კიდევ ბერიას ლიუბიანკაში მოსვლამდე დააპატიმრეს. აი, ლუბიანკაზე მოსვლის შემდეგ ბერია დაწვრილებით ეცნობოდა კოროლიოვისა და სხვა **"ხალხის მტრების"** პირად საქმეებს და ბევრ ვინმეს არგუნა ნანატრი თავისუფლება.

**გირდ**-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი (რუსული აბრევიატურა **"ГИРД"** ნიშნავს **"Группа изучения реактивного движения"**) სარაკეტო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კოროლიოვი 1934 წლიდან მუშაობდა ფრთოსან მართვად რაკეტებზე: 201, 212, 216, 217... №212 რაკეტამ **"მიწა-მიწა"** სტარტი აიღო თოფისწამლიანი კატაპულტის მეშვეობით სარელსო მიმართულებიდან და მისი პირველი ფრენა შედგა 1939 წლის 29 იანვარს, მაშინ, როცა კოროლიოვი **"პატიმარი"** იყო. და უკვე 1939 წლის 3 აპრილს იგი კვლავ ჩნდება სტალინის კაბინეტში, ამჯერად – ბერიასთან ერთად!

ისინი სამნი ისხდნენ, ოცდათხუთმეტი წუთის განმავლობაში, მაგრამ ეს იყო ნახევარსაათიანი საუბარი ქვეყნის ხელმძღვანელთან! და საუბარი ალბათ ეხებოდა იმას, თუ როგორ გაეუმჯობესებინათ კოროლიოვის მუშაობა და რით შეეძლო ბერიას მისი დახმარება... და ვინაიდან სამივე ეს პიროვნება იყო საქმიანი და არ უყვარდათ ზედმეტი ყბედობა, ნახევარ საათში ყველაფრის დაზუსტება შეძლეს.

როგორც ჩანს, სტალინს აინტერესებდა საქმის ტექნიკური მხარეც, რისთვისაც სერგეი კოროლიოვი მეორე დღესაც მიიყვანეს იოსებ სტალინის კაბინეტში. და მათ ერთი-ერთზე ისაუბრეს ერთმანეთთან, კიდევ ერთი საათის მანძილზე.

საბჭოთა რაკეტმშენებლობის უდავოდ დიდი მოღვაწე ბორის ევსეის ძე ჩერტოკი თავის წიგნში **"რაკეტები და ადამიანები"** ამტკიცებს, რომ სტალინს, როგორც წესი, წამსვე მოახსენებდნენ შეიარაღების სფეროში მიღწეული წარმატების თაობაზე, მაგრამ **"ფეხოსანთა"** (პროფესიონალისათვის საკმაოდ უცნაური ტერმინია) **რეაქტიული ჭურვების თაობაზე სტალინმა 1941 წლამდე არაფერი იცოდა"**.

როგორც ვხედავთ, იცოდა...

ამასთან, შევნიშნავთ – აი, უდანაშაულოდ დაპატიმრებული კოროლიოვი დგას სტალინის კაბინეტში. ჩვენ უკვე შევეჩვიეთ ამოოხვრებს იმის თაობაზე: **"ეჰ, სტალინს რომ ყველაფერი სცოდნოდა!"** მაგრამ, აი, სტალინმა იცის... მას ხომ არ შეიძლება არ სცოდნოდა, საიდან მოიყვანეს მასთან ეს ახალგაზრდა ტალანტური მერაკეტე. რატომ არ ეცემა მუხლებზე ეს მერაკეტე სტალინის წინ და რატომ არ შეჰღაღადებს: **"შემიწყალე, მე, ამხანაგო მეფე-ხელმწიფეო! ნუ წამიწყმედ სულს!"**?

არა, მიმდინარეობს საქმიანი საუბარი, და ორივეს კარგად ესმის, რომ რაღაც შეცოდება იყო და რომ თავი საქმით უნდა იმართლო, რასაც შემდეგ მოჰყვება პატივი, ჯილდოები, და... და, მთავარია, ახალი დავალებები და ამოცანები. ახალი მომხიბლველი სამუშაო!

მაშინ ხომ ამით სულდგმულობდა ქვეყანა – ახალი საბჭოთა ხალხი...

კოროლიოვიც.

სტალინიც.

ბერიაც.

და უკვე 1940 წლის 28 თებერვალს მფრინავმა-გამომცდელმა ვ.პ. ფიოდოროვმა პირველი ფრენა შეასრულა კოროლიოვის მიერ შექმნილ რაკეტოპლან **"РП-318"**-ზე, რომელიც მისივე პლანერზე **"СК-9"**-ზე იყო დაფუძნებული და თხევადსაწვავიან რაკეტულ ძრავას მოჰყავდა მოქმედებაში. 1942-1943 წლებში კი კოროლიოვი მუშაობს თვითმფრინავის რაკეტულ ამაჩქარებელზე თვითმფრინავისათვის **"ПЕ-2"**, რისთვისაც ორდენით დაჯილდოვდა 1945 წელს.

ომისშემდგომ წლებში კოროლიოვი სხვა სპეციალისტებთან ერთად გერმანიაში მუშაობდა და ეცნობოდა გერმანელ მერაკეტეთა უმდიდრეს გამოცდილებას. სწორედ აქ გადაიკვეთა მისი და გენერალ ზერნოვის გზები, რომელსაც მაშინ, როგორც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის რწმუნებულს, შეხება ჰქონდა რაკეტულ **"ძიებებთან"**.

ბერია ყველა ამ საკითხის საქმის კურსში იყო და 1945-1946 წლების მიჯნაზე სწორედ მან მოაწერა ხელი სტალინის სახელზე შედგენილ მოხსენებით ბარათს, რომელშიც გათვალისწინებული იყო რაკეტული ტექნიკის შემდგომი განვითარება საბჭოთა კავშირსა და გერმანიაში (გერმანიაში ფართოდ იყო მაშინ გაშლილი ინსტიტუტი **"ჰორდჰაუზენი"**). მის გარდა მოხსენებით ბარათს ხელს აწერდნენ გ.მ. მალენკოვი, ნ.ა. ბულგანინი, ნ.ა. ვოზნესენსკი, ასევე, შეიარაღების მინისტრი დ.თ. უსტინოვი და მთავარი საარტილერიო სამმართველოს უფროსი, არტილერიის მარშალი ნ.დ. იაკოვლევი.

1946 წლის 14 და 29 აპრილს ორი თათბირი გაიმართა, სტალინის კაბინეტში, ამ საქმესთან დაკავშირებით, და 1946 წლის 13 მაისს გამოვიდა სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება **№1017-419сс "რეაქტიული შეიარაღების შესახებ"**. მინისტრთა საბჭოსთან იქმნებოდა რეაქტიული ტექნიკის სპეციალური კომიტეტი გ.მ. მალენკოვის (თავმჯდომარე), ნ.დ. იაკოვლევის, პ.ი. კირპიჩნიკოვის (მკითხველს იგი უნდა ახსოვდეს, ომის დროს, სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის შემადგენლობაში ბერიასთან ერთობლივი მუშაობით), ა.ი. ბერგის, პ.ნ. გორემიკინის, ი.ა. სეროვის (მის მოადგილეს, შინაგან საქმეთა მინისტრ კრუგლოვს, ჩერტოკი თავის მოგონებებში ჯიუტად მოიხსენიებს ბერიას მოადგილედ), ნ.ე. ნოსოვსკის შემადგენლობით.

ბერია ამ №2 კომიტეტის შემადგენლობაში არ შესულა, მაგრამ, აი, სტატია **"სსრკ სარაკეტო ტექნიკა, ომისშემდგომი პერიოდი – 1948 წ."**-ის ავტორის პ.ი. კაჩურას შეფასება, რომელიც 2007 წელს გამოქვეყნდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის №6 ჟურნალში **"ენერგია"**: **"ფაქტიურად რაკეტათმშენებლობას ხელმძღვანელობდა ლ.პ. ბერია. მალენკოვი არ იყო დაკავებული საორგანიზაციო და საწარმოო საკითხებით და იყო კომიტეტის ფორმალური თავმჯდომარე..."**

ჩემს მიერ ნახსენები ჩერტოკიც ამტკიცებს, რომ მალენკოვს, ისევე, როგორც მალე მის შემცვლელ ბულგანინს, **"დარგის შექმნასა და განვითარებაში... დიდი როლი არ უთამაშნიათ. მათი "მაღალი" როლი შემოიფარგლებოდა იმ დადგენილებათა პროექტების გადახედვით ან ხელის მოწერით, რომელსაც კომიტეტი ამზადებდა"**.

ყველაფერი მეორდებოდა, მალენკოვისა და მოლოტოვის **"ავიატორთა"** საკითხთან დამოკიდებულების მსგავსად. ისინი თავმჯდომარეობდნენ, მთელ ტვირთს კი ბერია ეზიდებოდა.

ახლა კი, *ესეც*.

მაგრამ კვლავ მივაქცევ მკითხველის ყურადღებას გვარ კირპიჩნიკოვზე. ბერიას სარაკეტო სპეცკომიტეტში ჰყავდა ომის მძიმე წლებში საქმით შემოწმებული საიმედო თანაშემწე.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სეპარატიზმის თეორეტიკოსი და უკანასკნელი მოჰიკანი

გთავაზობთ ნაწყვეტს პროფესორ ბატონ გიორგი ციციშვილისა და ცნობილი იურისტის ბატონ ვახტანგ გვარამიას წიგნიდან "მეგრული საკითხი".

გრ. ახალაიას ეს წერილი იწყება სიტყვებით: **"ოდესღაც ებრაელებივით, მეგრელი ხალხი განიცდის დევნას, შევიწროებას, არა აქვს უფლება არა მარტო წეროს, არამედ ილაპარაკოს თავის ვერბალურ უმდიდრეს, ბრწყინვალე მშობლიურ ენაზე"**. ავტორი აქ ებრაელების მაგალითს საკითხის სიმწვავით დაყენების მიზნით, ყალბად იმარჯვებს და ყურადღებას იმ უსამართლობაზე ამახვილებს, რომ დაწყებით სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლება არ წარმოებს, დარღვეულია პედაგოგიური პრინციპი: ნაცნობიდან უცნობისაკენ. **"ბავშვებს ასწავლიან კითხვას და წერას მისთვის უსარგებლო ქართულით... თითქმის გადაგდებულია საქმიანი რუსული ენა, რომელიც ამოძრავებს ცხოვრების ნერვს..."** სასამართლოში მეგრელი გლეხი მხოლოდ თარჯიმანისაგან გებულობს: **"გამართლდი, დაისაჯე, მოიგე, წააგე". ასე იყო მეფის რეჟიმის დროს და ასეა ახლა",— წერს იგი,—** გრ. ახალაია ეხება **"მაფალუს"**: **1918 წელს სამეგრელოს სახალხო ინტელიგენციამ იგრძნო, რომ მენშევიკები ღალატობენ რუსეთის პროლეტარიატს... შეჰქმნეს კულტურული საზოგადოება "მაფალუ", იგივე "ზარია ვოსტოკა". მიზანი იყო პარტიებს არ მოეწყვიტა გლეხობა პროლეტარული ცენტრისაგან"...** აქ რეაგირებას მოითხოვს **"მაფალუს"** გრიგოლ ახალაიასეული ხედვა. სათანადო მონოგრაფიულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, **"მაფალუს"** მართლაც პარტიულ-პოლიტიკური მიზანდასახულობისა გამო უსახავდნენ სამეგრელოს კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენას, მაგრამ ეს ხდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და ქართველი ერის, მაგრამ არავითარ შემთხვევაში რუსეთის პროლეტარიატის, ან სხვა ანტიეროვნული ინტერესებით.

ავტორი განსაკუთრებულ გულისწყრომას გამოხატავს გაზეთ **"ნოთეს"** დახურვის გამო, რასაც უწოდებს **"დაცინვას, დამცირებას, რომლის მსგავსს ადგილი ჰქონდა მენშევიკების დროსაც"**. გრ. ახალაია ასეთ მაგალითად მიიჩნევს მაფალუელთა მიმართ გატარებულ რეპრესიებს. იგი აღნიშნავს, რომ იმ დროს **"ადგილი ჰქონდა სამსახურიდან დათხოვნას, პარტიიდან გარიცხვას, დაშინებას სამეგრელოს საუკეთესო შვილებისა"**. იგი ამ მაგალითების საფუძველზე ასკვნის: **"ქართული და საქართველოს ცეკას შოვინიზმი დაუნდობელიაო"**. სინამდვილეში იგი ხელოვნურად ამახინჯებს ჭეშმარიტებას. **"მაფალუელების"** ინიციატორების მიმართ მართლაც ჰქონდა ადგილი უაღრესად მწვავე უსამართლო დამოკიდებულებას, მაგრამ ეს იყო არა ქართული შოვინიზმის, არამედ დამფრთხალი გონების პატრიოტების მყისიერი რეაქცია.

გრ. ახალაია მიუთითებს, რომ მხოლოდ 1926 წლის 18 თებერვლის გაზეთ **"ზარია ვოსტოკაში"**, ისიც **"პროფორმისათვის"**, გამოჩნდა შენიშვნა სათაურით: **"ვასწორებთ ხარვეზებს"**, რომელშიც ნათქვამია, რომ სამეგრელოს ფართო მასების კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცეკამ სანქცია მისცა მშობლიურ მეგრულ ენაზე გაზეთის გამოცემას, დაწყებით სკოლებში სწავლებას და საქმის წარმოების შემოღებას, მაგრამ ეს **"მანიფესტი" დარჩა შეუსრულებელი"**. ამ საკითხში იგი უდავოდ მართალია.

გრ. ახალაია ამბობს: სამეგრელო ყურადღებას იმსახურებს იმ მხრივაც, რომ რიონ-ჭოროხ-ენგურის და მტკვრის აუზებში ცხოვრობდნენ თუბალები და ჭანები, რომელთა ენა იყო მეგრული. ამ ხალხებიდან აღმოცენდნენო შემდეგ გურულები (ამასვე ამტკიცებს დიდი ივანე ჯავახიშვილიც თავის წიგნში **"ქართველ ერის ისტორია"**, 2011 წელი, გვ. 44, – **რ.ჯ.**). კლასიკოსი მწერლის მიერ გადმოცემული **"მაკრონები"** და **"მაკროლები"** არიან იგივე მეგრელები. გრ. ახალაია ყურადღებას აქცევს სამეგრელოში სოფელ ხეთას არსებობას და აცხადებს: **"ეჭვსგარეშეა, ეს სახელწოდება სხვა ხალხს არ შეეძლო შემოეტანა სამეგრელოში, თუ არა მონათესავე კაპადოკიელ ხეთებსო"**. ამ აზრს მეცნიერებიც იზიარებენ. გრ. ახალაია კლასიკოს მწერლებზე და თანადროულ ისტორიკოს სერგო გიორგაძის პუბლიკაციებზე დაყრდნობით აცხადებს: ქრისტეს დაბადებიდან აღმოსავლეთ საქართველოში პოლიტიკურ-კულტურული პირველობა ეკავათ მეგრულ ენაზე მოლაპარაკე ტომებს...

აღნიშნულთან ერთად, გრ. ახალაიას წერილში ჩამოყალიბებულია ოფიციალური ხელისუფლების აზრი მეგრულ საკითხში: 1. მეგრელები არ წარმოადგენენ ცალკე ხალხს; 2. მეგრული ენა არის ჟარგონი, კილო-კავი ქართული ენისა; 3. მეგრელებს არა აქვთ ეროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებები; 4. ყველა მეგრელი ფლობს ქართულ ენას და ესმის ქართული, გარდა მიყრუებული კუთხეებისა. ამ უკანასკნელთათვის საკმარისია მოხვდნენ ქართულ გარემოში, რომ 2-3 კვირაში სრულიად დაეუფლონ ქართულ ენას; 5. საუკეთესო, მოწინავე ნაწილი ქართული ინტელიგენციისა, აგრეთვე ისტორიკოსები, მათ შორის თ. ჟორდანია ერთხმად აცხადებენ პროტესტს სამეგრელოს თვითგამორკვევის წინააღმდეგ; 6. სამეგრელო, როგორც საქართველოს ტოტი, პოლიტიკურად და კულტურულად ყოველთვის იყო ამ მთელის განუყოფელი.

როგორც ჩანს, გრ. ახალაიას კარგად გაუგია **"მეგრული საკითხის"** მეცნიერული და მისი ოფიციალურ-პარტიულ-სახელმწიფოებრივად გამოთქმული აზრი. მაგრამ ამ ოფიციალური აზრის მიხედვით, გრ. ახალაიას თითოეული არგუმენტის საწინააღმდეგოდ მოაქვს საკუთარი გამაბათილებელი მსჯელობა. მას I და II არგუმენტების მოშლის მიზნით მოაქვს შემდეგი არგუმენტები: 1. საკავშირო აკადემიის სიამაყე ნ. მარი ხმამაღლა აცხადებს: **"მეგრული ენა არის მეგრული ენა; იგი ლინგვისტურად არ არის არც კილო, არც დიალექტი..."** წყაროდ მითითებული აქვს შ. ბერიძის წიგნის შესავალი. 2. პროფესორი ყიფშიძე **"მეგრული ენის გრამატიკა..."**-ში (გვ 27-ე) წერს: **"ს. ხუნდაძე მეგრული და ქართული ენის ნათესაობის შესახებ არ არის სწორი და დიდი ხანია, რაც მეცნიერების მიერ უარყოფილიაო"**. III მუხლის გამაბათილებელ არგუმენტად გრ. ახალაიას მოაქვს ი. სტალინისეული ყველა ნიშნის არსებობა სამეგრელოში და დაასკვნის: მეგრელები **"ნაციააო"**. მისი აზრით, **"XII-X საუკუნეებში"** (ძვ. წელთაღრ.) სამეგრელოს ეკავა დღევანდელი საქართველოს მთელი და უფრო ვრცელი ტერიტორია: ქართლი, კახეთი, მესხეთი, აჭარა, გურია, სამურზაყანო, აფხაზეთი, სვანეთი და სხვა. გრ. ახალაიას მიაჩნია, რომ დღევანდელი საქართველოს ისტორია და კულტურა არის ძველი სამეგრელოს (იბერიის) პლაგიატობით მითვისებული ისტორია და კულტურა. მას ამის სარწმუნო წყაროდ მოაქვს ამონაწერები ს. გიორგაძის საქართველოს ისტორიის კურსიდან (ტფ. 1920), რომლის მე-40 გვერდზე ნათქვამია რიონ-ჭოროხის და მტკვრის აუზში ჭანების მოძმე ტაბალების ან თუბალების ტომების გავრცელებაზე, რომელთა ენა იყო ჭანური (ლაზური), თანამედროვე მეგრული, რომლისგან წარმოიშვა სახელწოდებები: გურია და ეგრი ანუ მეგრელი (სამეგრელო). კლასიკოსი მწერლები (ძველი მწერლები) მათ უწოდებენ **"მაკრონებს"** და **"მაკროლებს"** (რაც იგივე მეგრელს ნიშნავს).

გრ. ახალაიას მტკიცებით, **"კლასიკოსი მწერლების თანახმად ქრისტეს დაბადების პირველი საუკუნიდან მეგრულ ენაზე მოლაპარაკე ტომებს ეკავათ აღმოსავლეთ საქართველოს, ეხლანდელი თბილისის გუბერნია"**. ამის წყაროდ კვლავ იგივე ავტორის წიგნის მე-15 გვერდის ამონაწერი მოაქვს. აგრეთვე იმოწმებს ი. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორიას (1913, გვ. 4).

IV არგუმენტის საწინააღმდეგოდ გრ. ახალაიას მოაქვს გაზეთ **"მუშის"** პუბლიკაცია (1924, №449, გვ. 6), სადაც აღნიშნულია, რომ **"ხანგრძლივი სტაჟის მქონე მეგრელმა მასწავლებლებმა არ იციან ელემენტარული ქართული და ი. გოგებაშვილის "დედა ენის" მარტივი ტექსტების თარგმნა არ შეუძლიათ მეგრულად"**.

V არგუმენტის წინააღმდეგ გრ. ახალაია იშველიებს მომსწრეებს, რომელთაც ახსოვთ, რომ თითქოს 1889 წელს ცაიშის ეკლესიის ხელნაწერების შესწავლის დროს თ. ჟორდანიას უჩვენებია **"მეგრული"** საეკლესიო და სამოქალაქო შრიფტი, საკუთარი ხელით ნახატი ასოები და დაუმატებია **"ეს მეგრული ალფავიტიაო"**, მაგრამ შემდეგ მან ეს დამალაო.

VI არგუმენტის მოსაშლელად გრ. ახალაია აცხადებს, **"სამეგრელოს ყოველთვის ჰყავდა თავისი მეფე" ("დადია"), ჰქონდა თავისი კანონი, წეს-ჩვეულება და ტერიტორია. 1867 წლის 4 იანვრამდე ინარჩუნებდა სუვერენიტეტს, მაშინ, როცა საქართველო... ყოველთვის იყო ვასალურ მდგომარეობაში და ამასაც გამოემშვიდობა 1801 წელსაო"**.

გრიგოლ ახალაია ცალკე სათაურად გამოჰყოფს კითხვას **"რა სურს მეგრელ ხალხს?"** და იქვე პასუხობს: **"აუცილებლად და აბსოლუტურად გამოეყოს ქართული სუვერენიტეტისაგან ცალკე ტერიტორიულ საბჭოდ". მისი მსჯელობისა და ლოგიკის საერთო შთაბეჭდილებით ეს "გაერთიანებული საბჭო" გაუგებარია რა არის, მაგრამ ერთი რამ ცხადია – იგი არ არის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ერთიანი ორგანიზმის ორგანული ნაწილი. როგორც ვხედავთ, იგი ამჟერად გაურკვეველი უფლებებისა თუ სტატუსის თვითმმართველობას სჯერდება და სამეგრელოს ისტორიით სრულიად საქართველოს ისტორიაზე რევანშიც ამისთვის დასჭირდა. გრ. ახალაიას "სამეგრელოს საბჭოს" გამართლებისათვის ერთ-ერთი წიგნიდან მოაქვს სიამის ტყუპის ულამაზესი დის ბუნებრივი ხასიათის შეუთავსებლობით გამოწვეული აუტანელი ტანჯვისა და ურთიერთზიზღის ვრცელი ამონაწერი და დაასკვნის: არ უჯობთ, რომ ხელოვნურად შეყრილი როლიკის და დიადოკის ნაცვლად საქცენტრზე ზემოქმედებით გამოყონ მეგრულად მოლაპარაკე მაზრები ცალკე საბჭოთა ერთეულად"?**

აი, ეს უკვე დამოუკიდებელი სამეგრელოა.

**გიორგი ციციშვილი,**
**ვახტანგ გვარამია**

# შეთითხნილი საქმის სკანდალური დეტალები – ზუგდიდის პოლიცია პატიმარს გაუპატიურებით ემუქრებოდა!

როგორც საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი სამეგრელოში ზუგდიდიდან იუწყება, გალის რაიონის მკვიდრი მალხაზ არქანია სამართალდამცველებმა ენგურის ხიდზე 2011 წლის 5 თებერვალს დააკავეს. მას ბრალად დიდი ოდენობის ნარკოტიკების შენახვა-მოხმარება წაუყენეს. ზუგდიდის სასამართლომ არქანიას 7-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. არქანიას ოჯახი აბსოლუტურად განსხვავებულ ისტორიას ჰყვება და პატიმრის წამების საშინელ დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას. ოჯახი არქანიას დახმარებას 3 თვეა, ცდილობს. უშედეგო მცდელობების შემდეგ გალში მცხოვრებმა არქანიებმა დახმარებისთვის სახალხო დამცველის აპარატს მიმართეს.

სახალხო დამცველის რწმუნებულმა მალხაზ არქანია 22 ივნისს გლდანის მერვე საპყრობილეში მოინახულა. პატიმარი მას საზარელ ისტორიას უყვება და ახსნა-განმარტებით ბარათს წერს. თაბახის ექვს გვერდზე მალხაზ არქანია ჰყვება, როგორ აწამებდნენ ზუგდიდის ციხეში, როგორ დააწერინეს ყალბი ჩვენება. არქანიას სამართალდამცველები წაყენებული დანაშაულის აღიარებას და ტერორისტულ აქტებში მონაწილეობის აღიარებას ურჩევდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუპატიურებითა და კადრების ინტერნეტით გავრცელებით აშინებდნენ. მალხაზ არქანიას ეკლესიურ, წესიერ და მშრომელ პიროვნებად ახასიათებენ. როგორც მისი და ნინო არქანია ამბობს **„არათუ ნარკოტიკს, არამედ სიგარეტსაც კი არ ეკარებოდა"**. დაკავების დღესაც არქანია ზუგდიდში ახლახან გარდაცვლილი მშობლების საფლავის ქვის წასაღებად გადადიოდა.

სახალხო დამცველის რწმუნებულმა მალხაზ არქანია 22 ივნისის შემდეგაც მოინახულა, თუმცა ამ დროს პატიმარი უკვე დაშინებული იყო და სახალხო დამცველის წარმომადგენელს ახსნა-განმარტებაზე რეაგირების დროებით შეჩერება, ასევე 22 ივნისს მიცემული ახსნა-განმარტების ქსეროასლის გაკეთება და დოკუმენტის მისი მხარისთვის გადაცემა სთხოვა. დაკავებულის დამ ნინო არქანიამ კი მისი ძმის მიერ 22 ივნისს გლდანის საპყრობილეში სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მიცემული ახსნა-განმარტებითი ბარათის შინაარსის გამოქვეყნება **„საქინფორმს"** სთხოვა. გთავაზობთ შეთითხნილი საქმის მსხვერპლის, 32 წლის პატიმარ მალხაზ არქანიას სკანდალურ წერილს:

„მოგახსენებთ რომ 2011 წლის 5 თებერვალს დამაკავა შსს-ის ზუგდიდის სამართველოს უფროსმა რუსლან შომახიამ, სხვა თანამშრომლებთან ერთად, რომელთა სახელი და გვარი არ ვიცი. ჩემი დაკავება ენგურის ხიდთან მოხდა, როდესაც მე გალის რაიონიდან გადმოვდიოდი. დაკავებისას **„ჰიუნდაის"** მარკის **„ჯიპში"** ჩამსვეს, ჩემთვის გაურკვეველ ადგილას წამიყვანეს, სადაც ჩაის ბუჩქები იყო. მგზავრობისას თავზე რაღაც მქონდა გადაფარებული, კერძოდ, შავი ნაჭერი.

მანქანიდან გადამიყვანეს და შოთიკო სადუნიშვილის ჩვენება მაჩვენეს, სადაც ეწერა, რომ ვითომდა მე თემურ არქანიასთან, მამუკა არქანიასთან, დენის ქიშმარიასა და ავთო კაკალიასთან ერთად ვმონაწილეობდი 2008 წლიდან 2010 წლამდე მომხდარ აფეთქებებში. აღნიშნულზე უარი განვაცხადე, რის გამოც ჩემ მიმართ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა განხორციელდა. კერძოდ, მაგინებდნენ უშვერი სიტყვებით, მაფურთხებდნენ სახეში, მემუქრებოდნენ იარაღის დამიზნებით. ისინი მირტყამდნენ რკინის ხელკეტით ზურგისა და ფეხების არეში. ჩემზე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა განხორციელდა დაახლოებით 30-40 წუთის განმავლობაში.

შემდეგ წამომიყვანეს, იქვე ჩამიტარეს ჩხრეკა, რა დროსაც ჩემგან ამოღებულ იქნა 1 500 ლარი, ორი მობილური ტელეფონი, 80 რუსული რუბლი და ორი სიმბარათი. თუმცა ამის გარდა ჩხრეკის ოქმში ჩაწერეს, რომ ჩემგან ამოიღეს ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც მე არ მქონია და არც მინახავს. იმდენად შეშინებული ვიყავი, რომ აღნიშნულ ოქმს ხელი მოვაწერე.

შემდეგ ქალაქის სამმართველოში მეორე სართულზე ამიყვანეს და დერეფანში ცემა დამიწყეს. ჩემს ცემაში დამკავებელთან ერთად მონაწილეობდა პოლიციის თანამშრომელი თემურ თორია, მეტსახელად **„ლოქო"**. შემდეგ შემიყვანეს ერთ-ერთ ოთახში, სადაც ცემა და მუქარა გაგრძელდა, თან მაფურთხებდნენ. ძირითადად, მირტყამდნენ თირკმელების არეში, რის შედეგადაც ცუდად გავხდი და გონება დავკარგე.

ამ დროს მათ ძალის გამოყენებით დამალევინეს წყალი, რაშიც, შემდგომ მივხვდი, რომ ნარკოტიკული ნივთიერება იყო გარეული. დაახლოებით ორი საათის შემდეგ ნარკოლოგიურში გადამიყვანეს, სადაც ზემოაღნიშნული წყლის გამო აღმომაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც ცხოვრებაში არასდროს გამიკეთებია და არც ვიცი, რანაირია.

შემდეგ გადამიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც ჩემზე ზეწოლა არ მომხდარა. მესამე დღეს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შემიფარდა. ზუგდიდის №4 დაწესებულებაში როცა შემიყვანეს, პირმა, რომელიც ჩემს ბადრაგირებას ახორციელებდა, საპყრობილის თანამშრომლებს უთხრა, რომ მე ნარკომანი, მანქანების გადამყვანი და არქანიას ნათესავი ვიყავი.

აღნიშნულის შემდეგ საპყრობილის თანამშრომლებმა ცემა დამიწყეს. ამის შემდეგ ჩემ მიმართ ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ ჰქონია. თუმცა შემდეგ ჩემს დასაკითხად მოვიდა სამხარეოს უფროსის მოადგილე მეგის ქარდავა, რომელიც მანქანების თაობაზე მეკითხებოდა, რომლებსაც ვყიდულობდი და ვყიდდი; ასევე, ნარკოტიკულ ნივთიერებაზე, რომელიც ვითომდა ჩემი **„ნასკიდან"** იქნა ამოღებული. ამ შეკითხვებს თავი დაანება და დამიწყო კითხვა, ვიცნობდი თუ არა ვინმე ზვიად არქანიას, რომელიც მისგან გავიგე, რომ არის ძებნილი. მას ვუთხარი, რომ მე არ ვიცნობდი, რის გამოც ერთი დღით კარცერში მომათავსეს.

მეორე დღეს კარცერში ცემა და გინება დამიწყეს, თან მეკითხებოდნენ – აზრზე მოხვედიო?! ამის შემდეგ საკანში ამიყვანეს, გასული იყო სადღაც 30 წუთი, ისევ შემოცვივდნენ და ცემა-ცემით ისევ კარცერში ჩამიყვანეს, ხოლო ორი საათის მერე ისევ ცემით შემიყვანეს სხვა საკანში. აღნიშნული ფაქტის შემდეგ ჩემ მიმართ ზუგდიდის №4 საპყრობილეში ცემის ფაქტს ადგილი აღარ ჰქონია.

2011 წლის 19 მაისს ჩემთვის გაურკვეველი მიზეზით გადმომიყვანეს №8 საპყრობილეში, სადაც ამჟამად ვიმყოფები. აქ შემოყვანიდან მეორე დღეს დირექტორის კაბინეტში ამიყვანეს, სადაც დამხვდა მეგის ქარდავა, რომელმაც მითხრა, რომ დამეწერა აღიარებითი ჩვენება ზუგდიდში მომხდარ ტერორისტულ აქტებთან დაკავშირებით. მე განვუმარტე, რომ აღნიშნულ დანაშაულებთან არანაირი შეხება არ მქონია, რაზეც მან უთხრა ჩემთვის უცნობ ორ პირს, რომ ჩავეყვანე კარანტინში.

ჩაყვანის დროს ისინი მირტყამდნენ. მიმიყვანეს ერთ-ერთი საკნის კართან და შემახედეს სათვალთვალოში, სადაც დავინახე, როგორ აუპატიურებდა მამაკაცი მამაკაცს. თან მეუბნებოდნენ, რომ კარგად მეყურებინა და დამემახსოვრებინა. მეუბნებოდნენ, რომ თუ არ დავწერდი აღიარებით ჩვენებას, მეც იმავე მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი.

ამის შემდეგ მომცეს ფურცელი და პასტა, მითხრეს, დამეწერა აღიარებითი ჩვენება თავის გადასარჩენად. ჩვენებაში დავწერე სხვადასხვა დროს ტელევიზიაში გასული აფეთქების შესახებ და მივუთითე, რომ აღნიშნულში მონაწილეობა მქონდა მიღებული.

ეს ნაწერი მეგის ქარდავას აუტანეს და ცოტა ხნის მერე მეც ამიყვანეს. შეყვანისას მეგის ქარდავა ჩემს ნაწერს კითხულობდა და მითხრა, რომ ეს არ იყო ის ჩვენება, რომელიც მას სჭირდებოდა და მითხრა, რომ შემეჭამა ის ნაწერი. ვინც მეგისს ახლდა, ძალით შემაჭამა ის ქაღალდი. მერე უთხრა, რომ ისევ ჩავეყვანე ქვემოთ და თან დააყოლა – **„მოტყ..., მაგის დედა ვატირე!"**

ჩამიყვანეს ქვემოთ, შემაგდეს კარანტინში და კარები დახურეს. ამის შემდეგ იღება ტუალეტის კარი და გამოდის ორი ნიღბიანი მამაკაცი. ისინი მეცნენ, რომ ჩამეხადა შარვალი, მაგრამ მე წინააღმდეგობა გავუწიე. ერთი ეუბნება მეორეს – **„წესიერად დამიკავე ეს ნაბიჭვ... უნდა მოვტყ..."**.

უცებ გაიღო **„კარმუშკა"**, საიდანაც იყურებოდა ორი პირი, ვინც მეგის ქარდავას ახლდა და ფოტოების გადაღება დაიწყეს. ამ დროს საკანში დამაგდეს იატაკზე, შარვალჩახდილი, და ერთი მეორეს ეუბნებოდა – **„ჯერ პირში მივც... და მოვტყ..."**

მე ბეტონზე თავს ვურტყამდი. ამ დროს შემოვიდა გარეთ მყოფი ის ორი პირი; ერთ-ერთმა თავზე ფეხი დამადო, რომ არ ამეწია. ამ დროს უკვე ვიყავი შებოჭილი. მეორე პირმა მომადო თავის სასქესო ორგანო და გადამიღეს სურათი. შემდეგ შემეშვნენ. მითხრეს, რომ თუ არ მივცემდი აღიარებით ჩვენებას, ისინი მართლა გამაუპატიურებდნენ და ზემოაღნიშნულ სურათებს ინტერნეტში დადებდნენ. გაუპატიურებისა და ცემის შიშით დამაწერინეს მათთვის სასურველი აღიარებითი ჩვენება, მოწმის სახით.

კითხვაზე გიპასუხებთ, რომ აღიარებითი ჩვენების დროს ჩემ მიმართ ფიზიკურ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, როცა გამომძიებელი ლაშა ყოლბაია მოვიდა, მე მოვითხოვე, ჩემს დაკითხვას დასწრებოდა ჩემი ადვოკატი. აღნიშნულის უფლება გამომძიებელმა არ მომცა. დაკითხვისას მის ჩამოყალიბებულ ჩვენებაზე მომაწერინეს ხელი. შუაღამისას დაახლოებით 4-5-ჯერ გადამიყვანეს სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც მამუკა არქანია და შოთიკო სადუნიშვილი იმყოფებოდნენ.

კითხვაზე გიპასუხებთ, რომ მამუკა და შოთიკო გავიცანი ერთ დღეს, 2010 წლის აგვისტოს დასაწყისში. ისინი ჩემმა ნაცნობმა თემურ არქანიამ გამაცნო. მათთან შეხება 2010 წლამდე არ მქონია და, შესაბამისად, ვერ მივიღებდი მონაწილეობას ტერორისტულ აქტებში.

კითხვაზე გიპასუხებთ, რომ სამკურნალო დაწესებულებაში დამაპირისპირეს ზემოაღნიშნულ პირებს – შოთიკო სადუნიშვილსა და მამუკა არქანიას. სადუნიშვილი ამტკიცებდა, რომ მე, თემურ არქანია, დენის ქიშმარია, ავთო კაკალია და მამუკა არქანია ვითომ ვგეგმავდით აფეთქებებში მონაწილეობას.

გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება. ასევე, გთხოვთ, ზემოაღნიშნული ახსნა-განმარტების ასლი გადასცეთ ჩემს ადვოკატს, ლექსო არქანიას. ასევე, გთხოვთ, მომაქციოთ ყურადღება, ვინაიდან ჩემს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ახსნა-განმარტება დაწერილია ჩემი ხელით, სწორია და ვაწერ ხელს.

# სათემო, საგვარეულო და საოჯახო სალოცავები სამეგრელოსა და აფხაზეთში

ყველა ერს აქვს თავისი ტრადიციები, ადათები და წეს-ჩვეულებები. ისინი შექმნა თვით ხალხმა, რომლებიც ასახავენ ამა თუ იმ ტომის, გვარის თუ ოჯახის ქცევა-მოქმედებებს, ცხოვრების შინაარსს. ყველა ზნე-ჩვეულებას გააჩნდა მისთვის დამახასიათებელი რიტუალური მოქმედება. ამის საფუძველზე იქმნებოდა ხალხური თქმულებები და ლეგენდები. ხალხური წეს-ჩვეულებები წარმოადგენდა მშრომელი ადამიანების ერთობის საშუალებას.

დღესასწაულები და წეს-ჩვეულებანი არა მხოლოდ, უბრალოდ, ალამაზებენ ცხოვრებას, არამედ ისინი თაობიდან თაობას გადასცემენ ისტორიულ გამოცდილებას.

როგორც ქრისტიანობა, ისე ყველა სხვა რელიგია, სათემო-საგვარეულო დღესასწაულებისა და წეს-ჩვეულებების საშუალებით ნერგავდნენ თავიანთ ძირითად იდეებს.

ყველა ხალხის ცხოვრებაში არის განსაკუთრებული დღეები, რომელიც უკავშირდება რაიმე მნიშვნელოვან მოვლენას, რამაც სადღესასწაულო ხასიათი მიიღო. ამ დღესასწაულების დიდი ნაწილი ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. ადამიანი დღესასწაულობდა ხვნა-თესვას, მოსავლის აღებას, იგონებდა სახალხო გმირებს. შემდგომში ბევრმა დღესასწაულმა რელიგიური ხასიათი მიიღო, რომელიც დამკვიდრდა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ძველად, ქრისტიანობის შემოღებამდე, საქართველოში ქურუმები და მოგვები თავიანთი სურვილისამებრ ქმნიდნენ კერპებს, სალოცავებს.

კონსტანტინოპოლის დაარსების ჟამს მსოფლიოში, ატლანტის ოკეანიდან მესოპოტამიამდე გავრცელებული იყო ახალი რელიგიური მოძღვრება – ქრისტიანობა, რომელიც აქამდე, მთელი სამასი წლის მანძილზე მოღწეული ვითარცა დევნილი და წამებული რელიგია.

საქართველოში ქრისტიანობა მეფე მირიან მესამის დროს გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად. საქართველოში ახალი გამოცხადებისა და ქართველი ხალხის ქრისტიანად მონათვლის, ანუ **"მოქცევის"** მთავარი გმირი იყო ახალგაზრდა, სათნო ქალი – ნინო.

განადგურებულ იქნა ძველი სალოცავები, **"დაიმსხვრა კერპი"** (ცოტა ხნით დადგა **"უღმერთობის"** პერიოდი). ხალხი ლოცულობდა ტყეში, ხის ძირას, ხევში, მინდვრებში, გამოქვაბულებში და განსაკუთრებით თავშესაფარ ადგილებში. თანდათანობით ჩამოყალიბდა ახალი სალოცავები, რომლებიც შემდგომში უფრო გაძლიერდა.

დღეს მსოფლიოში სხვაზე მეტად გავრცელებულია შემდეგი რელიგიები: ქრისტიანობა (კათოლიციზმი, მართლმადიდებლობა, პროტესტანტობა), ისლამი, იუდაიზმი და ბუდიზმი. გარდა ამისა, არის (სარწმუნოებიდან გადახრილი – **რ.ჯ.**) სექტები: ადვენტისტთა, იეღოველთა, ლუთერანთა, ბაპტისტთა და სხვა.

ყველა სარწმუნოებას აქვს თავისი შეხედულება ღმერთზე. ღმერთს ერთი ენა აქვს, ყველასათვის ერთია. **"მისგან არს ყოვლი ხელმწიფე, სახით მის მიერითა"** (შოთა).

ყველა რელიგიას თავისი სალოცავები აქვს. თუმცა, ბევრი მათგანი ხალხის მიერაა შექმნილი იქ გავრცელებული რწმენის კარნახით. მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ახლაცაა შემორჩენილი ძველი სალოცავები: ლაშარის ჯვარი, გუდანის ჯვარი, კარატის ხატის სალოცავები, კოპალა, ლომისი. ასევე დღესასწაულები: კვირიკობა, შუამთობა, დეკანოზობა, ნატკორობა, კვირაცხოვლობა, კავთობა, ამაღლება, ჯვარპატიოსნობა, წყაროს თავი, კათანგენობა და სხვა.

ხალხი თითქმის ყველა დღესასწაულს ამ სალოცავებში ზეიმობს. ადამიანი ლოცულობს იმიტომ, რომ სჯერა ღმერთის, რომელიც დაეხმარება მას თავისი ხვედრის შემსუბუქებაში.

ხატს საღმრთოს სწირავენ და კრძალვით ექცევიან, სალოცავის შემოგარენიც წმინდა ადგილადაა მიჩნეული. იქ ხის მოჭრა აკრძალულია. მთის ხალხს სალოცავის დაწყევლის ძალიან ეშინია, მიაჩნიათ, რომ შეიძლება იგი გაბრაზდეს და მთელი საგვარეულო ამოწყვიტოს. მთის ხალხში შემორჩენილი სალოცავებისადმი შიში, მკვლევართა აზრით, წარმართული დროიდან მოდის. მაშინ ამ ადგილებს კერპების ან ღმერთების სახელები ერქვა. არსებობდა მცენარეთა ღვთაება, რომელიც მათ მფარველობაში მყოფ მცენარის დამზიანებელს სჯიდა. განსაკუთრებულ პატივს მუხას სცემდნენ. ქართლში შემონახულია ცაცხვის ხის თაყვანისცემა. თუშეთში არსებობს სალოცავი კლდე.

ხალხური ტრადიციების მიხედვით სვანებს ყოველთვის მიაჩნდათ, სალოცავის დამრღვევს ნაყოფიერება არ ეღირსებოდა. ამ ტრადიციას ახლაც აგრძელებენ. სვანეთში სხვა სალოცავების გარდა ახლაცაა შემონახული **"ახალი კვირა"**, რომელიც აღდგომის პირველ კვირას იმართება. ამ დღეს დანიშნულ ადგილზე მხოლოდ ჯვარდაწერილი ქალები იკრიბებიან, ქალები ამ სალოცავს ძირითადად მამაკაცთა სიმრავლეს თხოვენ. სვანეთში ასევე მუშა საქონლისა და სამუშაო იარაღების სალოცავიც არსებობს, რომელსაც **"ლილაშუნე"** ეწოდება. ეს ემთხვევა გაზაფხულზე დიდმარხვის შვიდეულის დღეს. აცხობენ საქონლისა და სამუშაო იარაღების გამოსახულების კვერებს, ანთებენ სანთელს და ლოცულობენ. ამ დღიდან სვანები იწყებენ თესვისათვის მზადებას. სვანეთში 15-საუკუნოვანი ისტორია აქვს **"ლამპარობას"**, რომელიც აღდგომამდე 10 კვირით ადრე ტარდება. წმინდა გიორგის ლამპარი მტერზე გამარჯვების სიმბოლოა. რამდენი მამაკაციც ღებულობს მონაწილეობას დღესასწაულზე, იმდენი ლამპარია. ლამპარი გამოაქვს ყველა ოჯახს. ზოგი ღამეს ტყეში ათენებს, რათა პირველმა გამოიტანოს ლამპარი. ლოცვას უხუცესები ატარებენ, რიტუალი მთავრდება პურ-მარილით.

რაჭაში 23 ნოემბერს სრულდება სხიერის **"მირიანუძრავის"** სახელობის სალოცავის დღეობა. აქვე იმართებოდა **"გორგონთობა"**, რომელიც წარმოადგენდა საგვარეულო-სათემო სალოცავს. შხიერის ეკლესიაში მიყავდათ შეშლილები, **"ნაბრალით"** დაავადებული პირები და 12 დღის განმავლობაში ღამისთევით ევედრებოდნენ ავადმყოფის განკურნებას. მუხლჩოქით უვლიდნენ სალოცავს და წირავდნენ ზვარაკს.

მთიელი ხალხისგან განსხვავებით სამეგრელოსა და აფხაზეთში არსებობდა და დღესაც გრძელდება სხვადასხვა სალოცავების რიტუალები, თუმცა ბევრი მათგანი მივიწყებულია სამოცდაათწლიანი აგიტაციის შედეგად.

უფროსებისგან გამიგონია და მეც მოვსწრებივარ სალოცავების მრავალ სახეობას. ეს იქნებოდა სათემო-საგვარეულო თუ საოჯახო. როგორიცაა ალერტობა, ქეჯვარობა, სამიქელგაბრიელო, აბრეშუმის ჭიის სალოცავი, ჭიაკოკონობა, სადაბადო, საღორონთო (საღვთო), საძირკვლის ლოცვა (წაჩხურა), ფუტკრის სალოცავი (ჯგერაგუნა), გოხარჭალაფა, ალანურობა, კირუ-კარუ, გაძღობა, მირსობა, მაქერობა, ოჭკადირე (ხერხუნჯობა), ორთა, საჯგეგო, ჟინიში (ზეციური), ყვავილბატონების ლოცვა, ყეენობა.

შევეცდები, მკითხველს მივაწოდო თითოეული სალოცავების დრო და რიტუალი, გადავცე წინაპრებისაგან გაგონილი თქმულებები, ლეგენდები, ჩემი თვალით ნანახი და მოსმენილი.

ქრისტიანობის შემოღებიდან საქართველოში დაიწყო ეკლესიების შენება. მე-11 საუკუნიდან კი ნაკლებად იყო სოფელი თუ საგვარეულომ რომ არ ჰქონოდა თავისი ეკლესია ან სალოცავი ადგილი. ეკლესიებში მიმდინარეობდა წირვა-ლოცვა, მაგრამ ხალხმა შექმნა სალოცავთა მრავალი სახეობა, ეს იქმნებოდა ოჯახებში თუ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიებზე, რომელიც გადაიზარდა ხალხმრავლობასა და აღებ-მოცემობაშიც კი.

### ალერტობა

ალერტის ეკლესია მდებარეობს მარტვილის რაიონის სოფელ ნოღაში. მარტვილის, სენაკისა და ჩხოროწყუს საზღვრებზე. ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება სოფლები კიწია და ნაგვაზაო, სამხრეთ-აღმოსავლეთით ფოცხო და ახუთი.

სახელი **ალერტი** გვხვდება სხვაგანაც. ალავერდი (ღვთის ნაბოძარი), ალერდი, ალადი.

სამეგრელოში ეკლესიის უმრავლესობა წმინდა გიორგის სახელს ატარებს. საგულისხმოა თედო სახოკიას დროს ჩაწერილი ლეგენდები. მეგრელების რწმენით, **"წმინდა გიორგი სამეგრელოს მკვიდრი, სამეგრელოშივე დაბადებული"** ყოფილა. იგი წარმოდგენილი იყო **"თეთრ რაშზე"** მჯდომარედ და საგმირო საქმეთა მოქმედად, გამოირჩეოდა თავისი ფიზიკური სიძლიერით. წმინდა გიორგი სულ მუდამ წინ მიუძღოდა მეგრელთა ჯარს. მისი მომრევი დედამიწის ზურგზე არ მოიძებნებოდაო. ღმერთმა მას მიანდო პატრონობა ჭექა-ქუხილისა, თავის დროზე წვიმის მოყვანისა და დევნა სატანისა.

ალერტის მსგავსი სოფლებია: ყული – სოფელ ყულისკარში (ზუგდიდის რაიონი) და ქიაჩი – სოფელ ობუჯში (წალენჯიხის რაიონი). ლეგენდის მიხედვით ალერტი, ქიაჩი და ყული ძმები ყოფილან. ისინი გამოირჩეოდნენ თავისი სიძლიერით. როდესაც ადამიანები ერთმანეთს წყევლიდნენ: **"გეშგოოთ, (ეუჭყვიდდა) ყულისო (ამოგწყვიტოს ყულიმაო)"** ძალიან ეშინოდათ. თუ ვინმე ეტყოდა ერთმანეთს **"აგაშენა ქიაჩმაო"** – ეს ლოცვა სიამოვნებდათ.

ალერტი – ჩაჩიბაიების და ბოკუჩავების **"ჯინჯი"** ხატი ყოფილა, ყული – როგავების, ხოლო ქიაჩი – შენგელაიებისა და სონგულიების. აქედანაა აღებული ცნობილი მწერლის – ლეო შენგელაიას ფსევდონიმი – **"ქიაჩელი"**.

ალერტის ეკლესიაში ასევე ტარდებოდა წირვა-ლოცვა, როგორც სხვა ქრისტიანულ ეკლესიებში. გარდა წირვა-ლოცვისა, მის მიდამოებში ტარდებოდა ალერტობა. 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, სალოცავის კარზე თავს იყრიდა მრავალი მლოცველი თუ ვაჭარი, როგორც ახლო, ისე შორი თემებიდან მოსული. მოდიოდნენ ურმებით, ჩალანდრებით, მოყავდათ ზვარაკი, მოჰქონდათ გასაყიდად სამუშაო იარაღები, ნამკოლუს თიხის ჭურჭლები, კეცები და ყოველგვარი წვრილმანი, აგრეთვე მაჭარი, ფელამუში, ჩურჩხელები და არც სპირტიანი სასმელები აკლდათ.

როგორც მლოცველები, ისე მოვაჭრეებიც პირველად შედიოდნენ ეკლესიაში, ანთებდნენ სანთელს, ცოდვების მოსანანიებლად გამოდიოდნენ მშვილდზე. მოვაჭრენი ღმერთს თხოვდნენ არ დაესაჯა ისინი ეკლესიის კარზე აღებ-მიცემობისათვის. მომლოცველები შეუდგებოდნენ შესაწირის დაკვლა-დამზადებას, მიდიოდა ქეიფი, ცეკვა-თამაში, სიმღერები.

მიუხედავად იმისა, უკანასკნელ წლებში ალერტში მღვდელთმსახურება არ იყო. მთელ საბჭოთა პერიოდში ეკლესიას პატრონობდნენ სოფლის უხუცესები ალექსი ჩაჩიბაია და იოსებ პერტაია, რომლებმაც დაიცვეს ეკლესია გაპარტახებისაგან. ისინი მასპინძლობდნენ მიმლოცველებს, ხელს უწყობდნენ და პირობებს უქმნიდნენ რიტუალის შესრულებაში.

ამჟამად ეკლესიას პატრონობს სოფლის მკვიდრი ვიტალი გოგია. გარდა ამისა, სენაკიდან ყოველ დღესასწაულზე დადის მღვდელი, რომელიც ატარებს წირვა-ლოცვას.

ალერტში ყოველ გიორგობის დღესასწაულზე ძველებურად იკრიბება ხალხი, რომელიც ცნობილია სათემო დღესასწაულად.

ალერტის პატარა ხატი (ოდნავ დაზიანებული) დღესაც ინახება ალექსი ჩაჩიბაიას შვილის – აბესალომის ოჯახში.

**მირიან ჯალაღონია,**
**დიდი სამამულო ომის მონაწილე, მწერალი, პედაგოგი**

*(გაგრძელება იქნება)*

ალიო ქობალია

## რჩეული მეგრული ლექსები

### ჭვიალა

დიყვინთუქუ ოლე ზღვას
მურუჟეფიშ მაგორუ,
მესეფები გილეშხანს,
ინისქირიშ მაფორუ.
დარანიშე იფუჟღანს
ვერეხიში ნაშურუ,
ნაშქვიდერიშ ხოპო მოჩქ,
კიბოიაშ ნასულუ
წყარმურიცხი ივარვალ
ტობა-გირი ნარუმუს,
ფირტველია ინივალ
დაფორტვებულ ნანიშუს
ვემიოხე ელე წყარს
ნიშეფიში ნალინუ,
უსისანდე ლიარემს
ჭარაქ ბრელი დალინუ.
გიმეიან გოროზას
ზღვაშიერი ისასურ,
რეჭილია კოროზას
მირგატული მიშალურს.
მეგე ვარე მუთუნ შხვა
ყოროფილიშ ჩილამურს,
შურიაკოკოროზილი
სქან ნიშიშა გეკანთხუქ.
მესეფემსუ გიოსქიდ
ღინჭილიაშ ხუმლა ხუ...
ჭვიალიას აფუნიშ
პეულეფი გიოთუნს.

### ელიშორი

სამარგალოშ ნაშქასერს
თუთას უცენს ვარჩხილეფ.
დოლო მარდუშ მასიმერ,
იკარკალნა ვერჩხილეფ.
არიკეფი მიშატყობ
დოფა-დაჩხირ ფანილემს,
ჭყონონიში ტებენეს
მითონათუნს ფაშქუნჩეფი.
დიასქურიშ ინიგირს
ილასირუ ლაზურეფი,
მიკახორცქუ კოდმე-ტკილს
ეკიმალუ ქვითორეფი
ორთვალემსუ ყინიშელს
გილახენა ჭარუეფი,
გასოფუნა ჟინიშის
აგაგა დო ორუეფი.
სერგეგიაშ ნანიშოლს
ისასუნა ისირეფი,
მელანიში ელიშორს
წყემიშ ორქი იხვიებ.
ეუკუნანქი, თუთა რენ დო
დუკუნანქი-ტუტა რე.
მურე ოჩქვანს თუთაშფერო,
დიხას შხვაშო ტუტაშფერს?..

### ნოღურიში

ნაბადიაშ მიშაჭელს
ყასუ ქიგლამტენქო,
დიხაშფერო გოსანთილს
არწის ქაშმოტენქო,
ჟინოთაშე ვარჩხილიშ
ჭვემათ ქიგმოწენქო.
მოლასირი მურიცხიშ
ტვერო ქიგმოცენქო,
თარშურო დო უჯგუშშურო
ზღვასუ გინილენქო,
ჩხორო ცაში მაძირაფუ
ეშე მეხარენქო,
მა სი ირო გამონკანდ,
აშ ვემკიჯინექო,
რინას უჩათ დოხართელს,
დღას ვემისაჯენქო?..

### გონიში

ნანა, მუზმა ინინტირე,
აკაბუცხა კოჩიშ თოლს,
წყარმალუ დო მინდორეფი,
ეშე ცა დო გიმე როზ.
ჭარკონტი დო სიორეფი
ალახვილუ კოჩიშ ყუს,
ალიშ კიბირიში მეგეს
ზღვა ილენს დო ინოფუნს.
ირფელ ართო უზურჯუანს
კოჩიშ ჭიჭიხელი გურს,
მუში დღაშა ვაგასოფე
ხიოლსუ დო ჩილამურს.
მუთი რდუ დო მუთი ვარე,
მუთ იყინი თიში მოხ,
თოყუჯი დო გურიშ გამა
ვამკაკორდუ ხვალე გონს.

### ფანქუნჩიშ მურე

შქასუ მურე აშაყუნსუ ტომბა ზღვას დო მუშ პოპორს,
აკამურიცხიში ცას დო კამარეფიშ სარსიოლს,
სოფელსუ დო მოსოფელსუ, ოლე ჯას დო ტყაფარონს,
სამარგალოშ უღურ შურს დო კუნტა ხანიშ მარგალ კოს?
ეში გამაშ გორუასუ ნიშ დოზრაქუ სარაქონს,
სერით გვალო გამწოზლაფექ, აყუნაფილ სანარღოს...
ფაშქუნჩიში ორქოსუა ქუგორზამუ სინთეთ ჭყონს:
,,სითი ღურაშ უკულ გენწყუნქ მუორელი ირიათონს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინაპართა იდუმალი შფოთი

***საზარელია განცდა იმისა, რომ შენი სამშობლო ოკუპირებულია სატანისტთა მიერ, რომელთაც სამშობლოს ძუძუ აქვთ ნაწოვი, რათა ერთგულ შვილებად გაზრდილიყვნენ, არადა ეს მდგომარეობა გაცილებით უარესია, ვიდრე რომელიმე დამპყრობლის თარეში. მაშინ იცი, რომ ის მტერია და უნდა ებრძოლო და სიცოცხლის ფასად განდევნო, რათა შენმა ჯიშმა და ჯილაგმა შვებით, ერთმანეთის სიყვარულით და ერთგულებით იცხოვროს მშობლიურ მიწაზე. ახლა კი ხელის ფათურით დადიხარ ღალატით მოწამლულ მამულში და მზის ამოსვლის იმედიც არ გაქვს, რადგან ისაც ღალატს ჰყავს მძევლად. მაშ, ვილოცოთ, შველა ვთხოვოთ უფალს, რომელიც გვეტყვის, ხელი გაატოკეთ და გეშველებათო! მანამდე კი მოგვიწევს ქაჯთა აღვირახსნილ განუკითხაობაში ფართხალი, რომელიც მორჩილთა ზურგზე ამხედრებული შეუპოვარ, დაუმორჩილებელ და მებრძოლ მამულიშვილთა სისხლის სმით იკვებს ბოროტების წყურვილს.***

ახლა კი რაღაც მორიგი მუხთლობის საზეიმო როკვა გაუმართავთ წვრილფეხა ეშმაკებს ქაჯთა გამოქვაბულის ბელზებელის მისაღებ ჯურღმულში. ყველაზე ძალიან გახარებულია შავტუხა, ბალან-გაბურძგნული, კუზიანი, თვალებდაფანტული და პირვიწრო ეშმაკი. ისეთ საზარელ ხმაზე ჭყივიან, რომ იმასთან მყრალ გუბეში ბაყაყების ყიყინი ბულბულის გალობად მოგეჩვენება. ზევიდან სისხლი წვეთავს.

– პირი შეუშვირეთ, გაიჭყიპეთ, დათვერით და იკოტრიალეთ! – ჭყივის შავტუხა, პირვიწრო ჩმახი და ხელგაშლით სთავაზობს ყველას სისხლით თრობას. – ეს ჩემი დამსახურებაა! – იძახის და ვიწრო, ბანჯგვლიან მკერდზე ჩლიქს ირტყამს. – დიდება ჩვენს უწმინდურს, უბოროტეს, უვერაგეს გარყვნილებას! ახლა ხომ წარმატებით ვასრულებ მის დავალებას. ქართველი ერის დაბეჩავება-მოსპობაში უკვე ველარაფერი შემიშლის ხელს! – ხტის და გიჟური როკვით ასდევს სხვადასხვა ყალიბის უწმინდურთა ხროვა.

– გაიხარეთ, ბნელეთის მოციქულებო! ადამიანთა მოდგმაში უფლისმიერ სპეტაკ ჩვევებს დიდი ჭირი გავუჩინეთ და მალე ისე გადავაჯიშებთ, რომ ჩვენში ვეღარ გავარჩევთ. ვისი გადაჯიშებაც არ მოხერხდება, მოვსპობთ, ეს უმეტესად უფროს თაობას ეხება, ახალგაზრდობას კი მორჩილ მანქურთებად ვაქცევთ, რათა საუკუნეთა განმავლობაში მთელი ერის მონაპოვარი გადააქარბუქონ, – ღრიალებს პირვიწრო ჩმახი და ასდევს მატლებივით აფუთფუთებული ეშმაკის ნაშიერთა **"შპანა"**.

– რა ჭყვლიპინი და აურზაური ატეხეთ, ისე ზეიმობთ, თითქოს უკვე მოსპეთ უფლისმიერი სიკეთით ნაკურთხი ადამიანების მოდგმა?! – ახმაურებულებს ბელზებელის კარის მცველი გაუწყრა.

– ჯერ სულ არ მოგვისპია, მაგრამ ჩვენი უწმინდურესი გარყვნილების დავალების წარმატებით შესრულებას ვზეიმობთ! დღეს ყველას მე ვმასპინძლობ, რადგან სისხლი, რომლითაც ასე ვთვრებით, მე დავადინე ქართველ მამულიშვილებს, – ამაყად უპასუხა პირვიწრო ჩმახმა.

მცველი უფროსთან შევიდა და მალე გამობრუნდა.

– ძალიან კარგ ხასიათზეა, ყველას მასთან მიპატიჟება მიბრძანა, – თქვა და გამოქვაბულის კარების ფართოდ გაღებით გოგირდის სუნით გაავსო მიწისქვეშეთი.

გახარებული წვრილ-მსხვილი ეშმაკები ჭყვლიპინ-ყიყინით შელაგდნენ ბელზებელის მიწისქვეშეთში.

– რა გიხარიათ, რა ხმაური ატეხეთ, თითქოს დედამიწაზე ბოროტებას საბოლოო გაემარჯვოს?! – საყვედურით თქვა ბელზებელმა.

– საზეიმოდ გვაქვს საქმე, უწმინდურესო გარყვნილებავ! – პირვიწრო ჩმახი კედლიდან გამოშვერილ ლოდზე შეხტა და სისხლიანი ლაშები კუდის ბალნით შეიწმინდა. – ეს ახალი სისხლია, რაც შენგან მოძულებულ ქართველებს, ჩემგან ჭკუადაფანტულმა ქართველებმა ადინეს; მორჩა, ახლა ვეღარაფერი შეგვაჩერებს!

– აბა, ჩამოკაკლე, როგორ მოახერხე ჭკუათა დაფანტვა მატყუარა და ტრაბახა, ჩმახო! – უბრძანა გალიმების სურვილით დაღრეჯილმა ბელზებელმა.

– რაც ამდენი ხნის განმავლობაში გაწბილება ვიგემე და საქართველოდან სიკეთემ კინაღამ არ გამომაბუნძულა, ამისთვის ახლა ასმაგად ვიმკი ჩემგან დათესილ ეკლის ნაყოფს.

– გისმენთ, – ისე უთხრა ბელზებელმა, თითქოს მასზე უკეთ არ იცოდა, ბოროტების, ღალატის, თვალთმაქცობის, სიცრუის და ცოდვის რა კალო ბრუნავდა.

– იქიდან დავიწყებ, რომ ჩვენი ერთგული დაბერებული თეთრი მელა მეორედ რომ წამოვასვით თავზე ქართველებს, – პირვიწრო ჩმახი ამბის გრძლად მოსაყოლად მოემზადა.

– ეგ ყველამ იცის. შენ იმაზე თქვი, პირი სისხლით რატომ გაქვს მოსვრილი, რა ბოროტების უსირცხვილობით უნდა გაგვახარო? – ბელზებელმა გრძლად მოყოლის სურვილი გაუნელა.

– კარგი, მაშინ მეც აქედან დავიწყებ, მომიტინგეები სისხლში როგორ ვაბანავეთ, – ჩმახს სიცილი აუტყდა.

– აბა, სასაცილო რა თქვი, შე პატიოსანო წმინდანო! – ბელზებელი გაუბრაზდა.

– წინასწარ რატომ მლანძღავ, უბოროტესო გარყვნილებავ, – ჩმახი გაწყრა. – იმაზე მეცინება, რომ მომიტინგეებს ეგონათ, ამერიკელთა და დასავლეთ ევროპელთა დემოკრატიისადმი ერთგულების შიშით ხელისუფლებად წოდებული ჩვენი ლეკვები ცოდვას ვერ ჩაიდენდნენ. ნახეთ, როგორი დემოკრატები ვართო.

– მერე, რა მოხდა? – იკითხა ბელზებელმა.

– ამერიკელებს დემოკრატია ისე აფარიათ ნიღბად, როგორც მე ბატკნის ტყავი ეშმაკის რქების დასაფარად, – სიცილით თქვა ახალგაზრდა, აყლაყუდა, გრძელბალნიანმა ეშმაკმა და თავის სიძლიერის დასადასტურებლად რქებით კლდე მოკაწრა. – მე დემოკრატიის ნიღბით მთელ მსოფლიოში ძალადობას და გარყვნილობას ვაგულავებ. მაშ, როგორ უნდა გადავაკეთოთ მთელი კაცობრიობა სიცრუის, სისაძაგლისა და ძალადობის ბუდედ, – ამ გამოხდომით ბელზებელს სიამოვნების ღრეჭა მოჰგვარა.

– დააცადე, ბოლომდე თქვას, – უთხრა აყლაყუდას.

– რა უნდა ითქვას, სანამ ამერიკის ელჩის ნებართვა არ მიიღეს, ხალხის დარბევას ვერ ბედავდნენ ამ ჩმახის მიერ ხელისუფლებად წოდებული ნამუსგაყიდულები.

– ევროპელებმაც ხომ შეუქეს საქციელი. თუ გვინდა, რომ კადაფის მსგავსებს დემოკრატებად და დიდ რეფორმატორებად მოვნათლავთ, თვითონ კადაფს კი ბომბებს დავუშენთ და პატიმრობას მივუსჯით: ეგრეა, ვინც ჩვენი ხალხის ერთგულია, ყველაფერს ვპატიობთ, – აყლაყუდას თავისი დამსახურება შეახსენა მოპრანჭულმა, ბალანდაწნულმა, ჩლიქებმოცვეთილმა ეშმაკმა.

– მე დიდად ვაფასებ ქართველი ხალხის განუკითხაობას, გარყვნილობის და საბოლოო გადაგვარების ჭაობში ჩაძირვისათვის თქვენს დაუღალავ დახმარებას; მარტო მე რას გავხდებოდი, თქვენ გვერდით რომ არ მყავდეთ, – კუზიანმა ჩმახმა ამერიკელ და ევროპელ ეშმაკს ბელზებელთან პირმოთნის ქონი მოსცხო.

– მაინც რას იკვეხნი, შე პატიოსანო წმინდანო? – დამცინავად ჰკითხა ბელზებელმა.

– ადრინდელზე ხომ არ შეგდავებივარ, მაგრამ ახლა მაგ შეურაცხყოფას ნამდვილად არ ვიმსახურებ, – წყენით თქვა ჩმახმა და გააგრძელა: – როგორ წარმატებასაც მივაღწიე საქართველოში, ამგვარს ვერცერთი ქაჯთა ნაშიერი ვერ დაიკვეხნის მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. ჯერ ჯვაროსნების მიერ დაუნდობლობით, სისასტიკით და სიძულვილით კაცთმოძულებაში ამოსვრილი დროშა, მე საქართველოს სახელმწიფო დროშად შევაჩეჩე ჩემგანვე თავგზააბნეულ ქვეყანას; ვარდების რევოლუციად მონათლული თვალთმაქცობით, სიცრუით ნაკურთხი ნაციონალური მოძრაობა ჭირად თავს მოვახვიე ქართველებს ტრაბახით და ყოველგვარი უწესობით რომ სპობენ ყველაწმინდას. ისე ნელნელა და წინდახედულად იძირება საქართველო ეშმაკეული ბოდვების განუკითხაობაში, რომ დღეს უკვე ვერავითარი ძალა ვეღარ დაგვიდგება წინ, რამეთუ ქართველთა გულგატეხილობა, გათითოკაცება, გაუსაძლის გაჭირვებასთან ბრძოლა იმ დონეზე მივიყვანეთ, რომ მათ ერის და ქვეყნის ეშმაკეული გზიდან აცდენის თავი აღარ აქვთ.

– შეიძლება დაგეთანხმო. ამ ბოლო დროს ქაჯური ბოდვებით ქართველთა შეგნებაში ისეთი არეულობა შევიტანე, რომ ერთმანეთს ვეღარ უგებენ და ყოველგვარი სიკეთის მიმართ ნდობადაკარგულები უნებლიედ ღრმავდებიან ჩვენს მიერ მომზადებულ განუკითხაობის, ბოროტების, გარყვნილების, უწმინდურობის და საბოლოო მოსპობის ჭაობში, – კმაყოფილებით დაასკვნა ბელზებელმა. – მაინც მოგვიყევი, ასე თანმიმდევრულად როგორ გადაამისამართე ქართველები სიკეთის, აყვავებისა და განვითარების გზიდან ბოროტების, უბედურების და დაღუპვის გზაზე.

– პირველ რიგში, ნაციონალებად მონათლულ ახალგაზრდებს სიცრუის უსირცხვილოდ თქმის ხელოვნება შევასწავლე ამერიკის და დასავლეთ ევროპის საამისოდ შექმნილ სასწავლებლებში. ერთ და ორ წელიწადში ზოგმა ხუთზე მეტი ამგვარი დამოძღვრის დიპლომი მიიღო; ცულით გამოჩორკნილი ინგლისურის და სიცრუე-სიყალბის დახვეწილი ლაქლაქის ცოდნა შეიძინეს. ამგვარად გალაღებული გაუმაძღრობა და გარყვნილება მინისტრებად, სახელმწიფო მოხელეებად, თავისუფლების ინსტიტუტის და უცხოელების მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების მოხელეებად დავასიე, რომლებიც ისე ღრნიან ქართულ ეროვნული თვითმყოფადობას, მის უმდიდრეს ისტორიულ მემკვიდრეობას, სპეტაკ, შეუპოვარ და საამაყო ტრადიციებს, უფროსი თაობის თაყვანისცემას და მის გმირულ გზას, როგორც ტერმიტები – ხის უნიკალურ ნაგებობას.

– კონკრეტულად გვესაუბრე! – შეაწყვეტინა ბელზებელმა.

– პირველ რიგში კადრების სწორი შერჩევაა საჭირო. წარმატების მისაღწევად აუცილებელია ქვეყნის თავკაცად შეირჩეს ლაჩარი, ცრუპენტელა, ტრაბახა, ყოველგვარი სიბინძურის მკადრებელი, ჩვენი ლაქია, საკუთარი ერის მოძულე არაკაცი, რაც წარმატებით შევძელ სწორედ ამგვარივე ბებერი, ბრჭყალებმოცვეთილი და კუდგადაყვლეფილი **"თეთრი მელას"** დიდი მონდომებით. ამგვარმა თავკაცმა კიდევ მთელ საქართველოში ისეთი ბოროტების, გარყვნილების და უამრავი ეშმაკეული სიბინძურის მატარებელი შეაგროვა, რომ მეც კი მიკვირს, ნუთუ საქართველოში ამდენი უწმინდური გარყვნილება ბოგინობდა?! ჰოდა, დაიწყო ყველა სასიკეთოს მოთხრა-მოსპობა, რაც თეთრ მელას გადაურჩა. მან კი მასზე უარეს ქართველთმოძულეთა მთელ ხროვას მიართვა საქართველოს ბედ-იღბალი საბოლოოდ აქ, ბელზებელთან მოსაყუჩებლად.

– მოკლედ! – კვლავ მიიღო შენიშვნა.

– კარგი რა, ყველაზე უწმინდური გარყვნილებავ, ისეთი რა უნდა ვთქვა, რაც შენ არ იცი. მოკლედ, დაერივნენ მეცნიერებას და სულ მოაოხრეს, ზედ მიაყოლეს განათლება და მის გაბანძებას წარმატებული რეფორმების გატარება შეარქვეს. კულტურა, ხელოვნება, მწერლობა, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა კი სულთმობრძავ მდგომარეობაში არიან და მალე რეანიმაციის გარეშე პროზექტურაში გადაასვენებენ. ენას, მამულს და სარწმუნოებას მისივე დამცველის ნიღბით ისე კორტნიან, რომ ამ გაწამაწიაში ნიღბები სულ შემოეხათ და ახლა აღარავის უკვირს მათზე ჩვენს მიერ ნაკურთხი სიფათის დანახვა.

– ეგ კორტნა რაში გამოიხატება, აუხსენი მსმენელებს, – დაავალეს.

– ქართული ენა და დამწერლობა კაცობრიობის აკვნის დარწევიდან რომ მოდის, დღემდე ამიტომ ვერ შევძელი მისი მოსპობა. ამათ კიდევ ერთი ხელის მოსმით უნდა ყველაფერი გადააინგლისურონ. არადა ინგლისელებს საკუთარი დამწერლობაც კი არა აქვთ, ჩვენგან მოსპობილ ლათინებისა მიითვისეს. ახლა ინგლისური ენის შესასწავლად რაღაც გაურკვეველი სპეციალობის და ზნეობის მასწავლებლები შემოყარეს; რომელ ქართველ მასწავლებლებსაც ინგლისური ეცოდინება, სხვაზე მეტ ხელფასს მიიღებს. რაც 26 მაისს თემურ ლენგის შესაშური დაუნდობლობით დაარბიეს მომიტინგეები და იმათი სისხლით ჩვენც გვარიანად მოვისვარეთ პირი, ისე აგულავდნენ, რომ მეტროს სადგურების დასახელებას ინგლისურად ამცნობენ მგზავრებს, რომელთაც ეს ბუტბუტი ისე ესმით, როგორც ბულბულს ყვავის ყრანტალი და მიუხედავად ამისა, იმდენად არიან ჩემს მიერ გათითოკაცებულები, რომ პროტესტის გამოხატვის თავიც აღარ აქვთ. კიდევ გეტყვით, ქვეყანაში ფაბრიკა-ქარხნების განადგურებასთან ერთად მოსპეს კვალიფიციური მუშები და ყველა დარგის სპეციალისტი. რაც უფროს თაობას შეუქმნია, ყიდიან, ითვისებენ და მაინც არ ყოფნით, რადგან ძირგავარდნილი კასრის გაუმაძღრობა შევყარე. – კუზიან ჩმახს უცებ სიცილი აუტყდა. – ისე კი თვითონ ააშენეს რაღაც ხიდის მდგავსი, არავის არაფერში რომ არ სჭირდება და ხალხმა მიშას **"პამპერსი"** შეარქვა, – ეშმაკთა საკრებულო სიცილით გადაფიჩინდა. – გმირთა მოედანზე ისეთი რამ დააყუდეს, ჰელიოგაბალმა ძეგლი რომ დაუდგა მამაკაცის სხეულის იმ ნაწილს რომში. ასე ნელ-ნელა გადააჯიშებენ ამ უფლისმიერი სიკეთით ნაკურთხ ერს სექსუალური გაუკუღმართების თავაშვებულობით და დაუდუნებენ სპეტაკი ეროვნული ტრადიციების, სიყვარულის და სიკეთის ძარღვის ფეთქვას.

– დიდება ბოროტებას, ვერაგობას, გარყვნილობას და ყველაფერ სატანურს! – აღავლავდა ქაჯთა საკრებულო.

– მე ადრე უცხოელი დამპყრობლის ხელით ვცდილობდი ქართველთა მოსპობას, საზარელი დღეებიც კი ვაჩვენე, მაგრამ იბრძოდნენ და სამშობლოს სიყვარული უფრო უძლიერდებოდათ. ახლა კი ყოველივე ეროვნულს, ქვეყნის სასიკეთოს და საამაყოს თავისივე სულგაყიდული, გადაგვარებული, უცხოელთა დოლარებზე დახარბებული, ჩვენი, სატანური მუხთლობის ბოდვის მონა ქართველი მანქურთები უღებენ ბოლოს. ესენი ყოველივე ეროვნულს სპობენ ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლის ნიღბით. შედეგად გაანიავეს საქართველოს ტერიტორიები, გაყიდეს მიწები და ახლა დარჩენილი საქართველოს დაქუცმაცებას უყრიან საფუძველს. განუკითხავად სპობენ ვინც არ მოსწონთ. ავღანეთის სამარცხვინო ომიდან ამერიკელებიც კი ცდილობენ თავის დაღწევას, ესენი კი იქ ღვრიან ქართველი ახალგაზრდების სისხლს, რითაც მე დროდადრო ეშმაკთა მოდგმას ვუმასპინძლდები. ერთ დროს ამაყი და შეუპოვარი ქართველები ისე დააშინეს და დაამშიეს, რომ მალე თავისი თოკით მიადგებიან ნაციონალებს, რომელ ხეზე ისურვებთ, რომ თავი ჩამოვიღრჩოთო. ჰოდა, ამხელა დამსახურების ბოროტებას არ მეკუთვნის შენგან შექება, ყველაზე უწმინდურო და უვერაგესო გარყვნილებავ? – კუზიანი ჩმახი ბელზებელს მიაშტერდა.

– ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ რატო არაფერს ასწავლი და არ მიეხმარები ამ რიჟა, რქამოტეხილ ბედოვლათს რუსეთის დანგრევა-გაპარტახების დავალების შესრულებაში, – უსაყვედურა ბელზებელმა.

– რაც კი ირგვლივ უბედურება ხდება, ჩემი მსახური საქართველოს თავკაცები სულ რუსეთს აბრალებენ. რამდენიმე წლის წინ რუსეთში ჩვენსკენ მომავალი გაზის მილი რომ აფეთქდა, მე ძალიან ეშმაკური ბრალდება ვათქმევინე: საქართველოში ისე ფხიზლად ვიცავთ ამ მილებს, რომ რუსები იძულებული გახდნენ, თავის ტერიტორიაზე აეფეთქებინათ. ხან ჯაშუშობის ბრალდებით ისეთ ხალხს ვაჭერინებ, რომ საზოგადოება ყბადაღებული რჩება, ესენი რანაირი ჯაშუშები იქნებიანო. ხან ისეთ ტერაქტის მოწყობას და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას გამოვაცხობ ხოლმე, მეც კი არ მჯერა. მაგრამ ზოგიერთი ისე გამოვათაყვანე, უკვირთ, რა მაგარი ტერაქტი აღკვეთესო. ასეთი გარყვნილი და ბინძური ქოსატყუილა ვარ მე, – თქვა და ბალანგაქუცულ ვიწრო მკერდზე ჩლიქი დაირტყა.

– ჰოდა, რუსეთში მაგ ტერაქტებზე რომ ვთქვი, კინაღამ მეორე რქაც არ მომტეხეს, შე მართლა ქაჯო, ტყუილის მოგონებაშიც ქაჯები როგორა ხართო. არადა, ადრე სტალინმა რომ მომტეხა რქა და ამგვარი ჭიტლაყით გადამადასავლეთა, ახლაც იმ შიშის ბარტყების გაფანტვაზე ვარ. იმ თავტყირპიანი ბედოვლათის მიერ რუსეთზე მიყენებული მძიმე მუხთლობის შემდეგ მეგონა, ისე დაიშლებოდა, როგორც ჰიტლერი გეგმავდა. მაგრამ რუსეთთან ძმობის და მეგობრობის მძლავრი ძარღვის გარეშე ფეთქვა ვერ დავაცხრე ყოფილ საბჭოთა კავშირის ხალხებში. რუსეთში უამრავი სატანის თესლის გაშლის მიუხედავად ამ ძარღვის ფეთქვა უფრო ძლიერდება და მეშინია, რომ ადრინდელის მსგავსი ჭიტლაყი არ მომხვდეს და ეს კენტი რქაც არ მომატვრიონ, – საცოდავად დაიღრიჯა რიჟა ეშმაკი.

ბელზებელს ხასიათი მოეწამლა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა:

– ვაი თუ საქართველოშიც იმძლავროს ხალხის ნებამ, რომელსაც ასეთი გულმოდგინებით თელავს პირვიწრო ჩმახის ნაქები ხელისუფლება, – შეწუხებულმა ჩაილაპარაკა.

– ეგ არ მოხდება, უწმინდურო გარყვნილებავ, – გაამხნევა ჩმახმა.

– რა იცი, რომ არ მოხდება? – ბელზებელი წყალში ჩავარდნილის მაშველი რგოლის მოლოდინის მზერით მიაჩერდა.

– ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქართველი ხალხი ის აღარ არის, რაც ადრე იყო. გაჭირვებისგან შეწუხებული ერთი ნაწილი საზღვარგარეთ გაფრთხა; ვინც აქ დარჩა და გაქცევა ვერ მოახერხა, ლუკმა-პურის ძებნაში ბევრი გათითოკაცდა; ვისაც ერის და ქვეყნის სიყვარული ვერ დაუდუნეს ზოგს კლავენ, ზოგს ციხეში სვამენ, ზოგს კი ხელისუფლების ლაქია პარტიების დახმარებით ცილისწამების საბურველში ახვევენ; ხალხს კიდევ ცრუპენტელა ტელევიზიების მიერ უამრავ გარყვნილებაზე ბოდვით და უნამუსო ტრაბახით სმენის და მზერის ორგანოებს ისე უბინძურებენ, რომ თეთრის შავისგან და ბულბულის გალობის ბაყაყის ყიყინისაგან გარჩევა უჭირს. მოკლედ, უწმინდურესო გარყვნილებავ, ნაციონალები ხომ ჩვენა ვართ და მრავალი ოპოზიციური პარტიაც, მარტო სახელიღა რომ შემორჩენია ხუთკაციან **"შპანას"** და მასვი-მაჭამეს სიმღერას რომ მღერიან, დაღებულ პირში დროდადრო ვჩრით ცხიმიან დოლარებს; ისე რომ, აღარ არსებობს საქართველოს სიკეთისაკენ მომბრუნებელი ძალა. თუ კიდევ ერთეული ვინმე თავდადებული ნიჭიერი ერისკაცი გამოჩნდა, საქართველოში მისიკვდილების შიშით ცხვირს ვერ შემოყოფს. როგორ არა, არიან აქაც ასეთები, მაგრამ მათ იმის საშუალებას არ ვაძლევთ, რომ ხალხი გამოაფხიზლონ.

– აბა, ეგ ნონა გაფრინდაშვილი ვინ არის, რატომ ვერ მოგიქრთამავთ ზოგიერთი ფანჯრის მტრედივით? – ჰკითხა ბელზებელმა.

– რა ვქნა, უწმინდურესო ბოროტებავ და უამრავო გარყვნილებავ, ქართველ ერს უკიდურესი გაჭირვების ჟამს ყოველთვის უჩნდებიან-ხოლმე ასეთი თავდადებული მამულიშვილები. ახლა მაგ შეუპოვარმა მანდილოსანმა აღმართა ქართველთა ხსნის და ბრძოლის ალამი.

– მოიშორეთ თავიდან, რა გაგიჭირდათ მაგისი მოკვლა, როდემდის უნდა აწმინდაოს თქვენს მიერ ამღვრეული და დამახინჯებული სინამდვილე?! – ბელზებელი გაბრაზდა.

– მაგაზე ჩვენც ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ ერთის მაგიერ ათასი ნონა გაფრინდაშვილი აიღებს შურისძიების მახვილს და მაშინ ქართველი ერის გამოფხიზლებას წინ ვეღარაფერი დაუდგება. შენ დაგვიფარე ამგვარი უბედურებისაგან ჯოჯოხეთის ყველა მოლანდებავ, ძალადობის და განუკითხაობის მფარველო უწმინდურესო გარყვნილებავ! – ყბავიწრო ჩმახმა ჩლიქები მიწას დაარტყა. კარგა ხანს გატრუნული იდგა; უცებ ღრიალით წამოხტა: – ყური დაადეთ მიწას, რაღაც საშინელი, იდუმალი გუგუნი ისმის!!! ვაიმე!!! – ჩლიქები წაიშინა თავში.

ყველა მიწაზე დაემხო. ბელზებელმაც დაადო თავისი თხის ყური მიწას. იქიდან კი ყრუდ ისმოდა გუნდის მოწოდების მსგავსი მრისხანე ბუბუნი:

**ქართველო, გაუტეხელო,**
**ღმერთი გიკურთხებს შენ შვილსა!**
**გიმრავლოს მანდილოსნები**
**გაფრინდაშვილის ჯიშისა.**
**წყალნი წავლენ და წამოვლენ,**
**ბედი გრგვალია ქვიშისა;**
**ღალატის ნაგავს წაიღებს**
**წლები ვაის და ვიშისა.**
**პოსტის მფლობელი კაცუნა**
**ვახშამი არის შიშისა,**
**ლაჩარი შეეწირება**
**შენი მოსპობის შიმშილსა.**
**მუხთალთა რისხვად აღმართე**
**შურისძიების ფიცის ხმა;**
**ქართველო, კვნესად უქციე**
**მამულიშვილთა სისხლის სმა!**

ბელზებელი უცებ წამოხტა და აღრიალდა: – ქართველი ხალხის ყველა დროის წინაპართა გაერთიანებული ხმაა. ვი, ჩვენ, თუ მიწას ვულკანივით ამოსცდა და ქართველთა სულს დაეუფლა! სასწრაფოდ გავარდით გარეთ, ამერიკის, ევროპის, ნატოს, კატოს, ახრასიას, ყველა ბოროტ სულებს მიეხმარეთ ქართველთა გაბითურებაში, თორემ დავიღუპებით, ისევ აღდგება და წელში გაიმართება, ისე, როგორც ადრე ხდებოდა!

**გივი სომხიშვილი,**
**მწერალი**

# მანანა კობახიძე: „ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშების მიხედვით, მართლმადიდებლობა არის საქართველოს განვითარების შემაფერხებელი გარემოება“

*თავისუფლების სიმბოლოდ აღიარებულმა ამერიკულმა დემოკრატიამ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებისგან დეკლარირებული „ლიბერალური თავისუფლებით“ საქართველოში უმთავრესად მართლმადიდებლობისა და მართლმადიდებლების დევნა-დაპატიმრება გამოიწვია. საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმის“ სტუმარია ადამიანის უფლებათა დამცველი, არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატი მანანა კობახიძე.*

**– ქალბატონო მანანა, საქართველოში არ არსებობს არცერთი სხვა კონფესიის წევრი, მართლმადიდებლის გარდა, რომელსაც რელიგიური მრწამსის გამო ბორკილები დაადეს...**

– ამით საქართველოს ხელისუფლება დასავლელ მეგობრებს თავის დემოკრატიულობას უმტკიცებს. ასეთ დემოკრატიად კი ერთმნიშვნელოვნად მხოლოდ უმცირესობების, მათ შორის, სექსუალურის, დაცვას განიხილავს. ასეთი დაცვა კარგია, მაგრამ ეს უმრავლესობის წარმომადგენელთა მიერ უკანონო ბრალდებებისა და უფლებების შელახვის ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს. საქართველოში დემოკრატიულობის ნიმუშად, რატომღაც, სექსუალური უმცირესობების წამახალისებელი პროპაგანდისტული წიგნის საწინააღმდეგოდ გამართული მართლმადიდებლების პროტესტის თვალსაჩინო დასჯა წარმოადგინეს. არადა, მათი მხრიდან არ არსებობს ამ საქმეში ხულიგნობის ჩადენის მტკიცებულება და დამადასტურებელი ფაქტი (საუბარია 2010 წლის 4-7 მაისს მომხდარ გახმაურებულ ინციდენტებზე ილიას უნივერსიტეტთან ერეკლე დეისაძის წიგნის მხარდამჭერ აქციაზე და ტელეკომპანია **„კავკასიის“** ოფისთან. – საქინფორმი). რატი მაისურაძესა და ავთანდილ სუმბაძეს იმას ედავებიან, რაც არ მომხდარა – ორი კაცი ფართო ქუჩას ვერ გადაკეტავდა! ასეთ დროს პოლიცია შეკრებისა და მანიფესტაციის წესის დარღვევის შესახებ კანონით მოქმედებს – აკავებს ადამიანებს. მათ ადმინისტრაციული სასჯელიც კი არ შეეფარდათ და პირდაპირ სისხლის სამართლის სანქციები ამოქმედდა. პოზიციის გასამყარებლად კი ვითომ **„დაზარალებული“** ლუტიძისა და ვასილ გაბუნიას საჩივრები მოიშველიეს. ორივე **„დაზარალებული“** მხარე **„ლიბერალური აზროვნების“** აქტიური მხარდამჭერია. თავისთავად, ლიბერალიზმში ცუდი არაფერია, თუმცა გააჩნია, ამას როგორი ფორმით გამოხატავ. მართლმადიდებლობის დამცველები განსხვავებულად აზროვნებისთვის ფაშისტებად და ექსტრემისტებად არ უნდა შეირაცხონ. ამ საქმით **„ლიბერალებს“ „გამოხატვის უფლებად“** დედის, შვილის მიმართ ლტოლვის წახალისება და პრეზენტირება ეთვლებათ. ეჭვებისა და ვარაუდების საფუძველზე აღძრულია საქმეც და ბრალდების წარმოებაც ამით ხდება. მხარე საქმეში ვერც ობიექტური იქნება და მისი მოსაზრებებიც მიუკერძოებლად ვერ მიიჩნევა. დიდი ხნის განმავლობაში ისინი აშკარა დაპირისპირებას ავლენდნენ როგორც მართლმადიდებლური იდეების, ისე **„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“** მიმართაც.

**– „მშობელთა კავშირის“ მიერ ჩადენილი არცერთი ანტისაქვეყნო ფაქტი არ ფიქსირდება. ბასილ მკალავიშვილის მიერ იეღოველთა დარბევის კადრებს „ლიბერალები“ „მშობელთა კავშირისად“ ასაღებენ. მათ მართლმადიდებლების „ბნელ ფუნდამენტალისტებად“ შერაცხვისთვის პასუხსაც არავინ სთხოვს. ოთხი თვის დაგვიანებით აღძრული საჩივარი სასჯელის გამკაცრების სამართლებრივ საფუძველს – ოთხნახევარ-წელიწადზე კიდევ ორ-ნახევარი წლის დამატების მოტივს თუ იძლევა?**

– ოთხი თვის გაჭიანურების შემდეგ ადამიანის დაზარალებულად ცნობაც და ბრალის წაყენებაც გაუმართლებელია. ეს სასჯელის გამიზნულად დამძიმების ეჭვს ბადებს. დასასჯელი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასეთად მაისშივე უნდა ეცნოთ. **„დაზარალებული ლუტიძის“** დასკვნაში ჩაწერილი მსუბუქი დაზიანება – **„ნაკლებად მძიმე დაზიანების მუხლის“**, ხულიგნობის კვალიფიკაციით მხოლოდ მის დასამძიმებლად შეიცვალა. ახალი ჩვენებების შედეგად, ამისთვის აქცენტები გამვლელების შეშფოთებაზე, წესრიგის დარღვევასა და მოძრაობის გადაკეტვაზე გაკეთდა. სასჯელიც ხულიგნობაზე გადაკვალიფიცირდა. მაისურაძესთან მიმართებაში – **„დაზარალებული ვასილ გაბუნიას“** შემთხვევაში კი, საერთოდ ექსპერტიზაც არ ჩატარებულა. რის შედეგად აღიარეს დაზარალებულად?! ექვსი თუ შვიდი საპატრულო მანქანის ოცამდე პატრულმა წესრიგის დარღვევა რატომ ვერ დააფიქსირა? ისინი აცხადებენ, რომ არ დაუნახავთ, ვინ ვის ჩაარტყა. ვერც იდენტიფიცირებას ახდენენ. ვიდეომასალაშიც არაფერი ჩანს. პოლიციელებმა პროცესზეც მხოლოდ პროკურორისგან ზუმბაძეზე მითითების შემდეგ დაასტურეს მისი დანაშაული. კადრებშიც დაკავებულნი არც არავის ურტყამენ და არც შეურაცხყოფენ ვინმეს.

აქციაზე არა დამკვირვებლებად, არამედ მონაწილეებად მყოფი ჟურნალი **„ტაბულას“** კორესპონდენტების მიუკერძოებელ მხარედ აღქმაც არ შეიძლება. ეს ხალხი შემდეგ **„ტაბულას“** რედაქციაში მიჰყავთ. მიდის ბექა მინდიაშვილიც. იგეგმება პოლიციის მოყვანაც. დგება საჩივარი. **„ტაბულა“** ზედმეტად აქტიურად არის ჩართული ამ პროცესებში – ანუ დაინტერესებული მხარეა. თუნდაც, იმავე პატრულისა და დაზარალებულის დაბარებაც **„ტაბუას“** ფუნქციაა?

**– ბოკერიას მეუღლის „ტაბულა“ ამათი ბუდეა?! გამოდის, რომ „ტაბულაში“ რასაც „თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების“ სახელით „ლიბერალები“ ქადაგებენ, ადამიანის უფლებებთან საერთო არაფერი აქვს და მიზანიც, გრანტის სანაცვლოდ, მხოლოდ მართლმადიდებლობის უფლებების შევიწროებაა...**

– რის ბუდეა – ეს საზოგადოებამ განსაჯოს. საკმაო ხანს აქტიურად მიზანმიმართულად იყვნენ მთელს იმ პროცესებში ჩართულნი, რაც მართლმადიდებლობის მიმდევრებთან – **„მართლმადიდებელ მშობელთა კავშირთან“** დაპირისპირებას გულისხმობდა. გამოძიებისთვის მათგან მიწოდებულ ფოტოებზეც კი მტკიცებულება არსად ჩანს. არც განსასჯელთაგან ცემის ამსახველი კადრია სადმე. ეს საქმესაც დაერთო, თუმცა ნივთმტკიცებად ცნობილი არ არის. ამ დროს **„ლიბერალი“** აჩო ხაჩიძისგან სხვისი ცემის ფაქტები არც კი განიხილება. ანუ რაც ეპატიება **„ლიბერალს“**, არ ეპატიება ზუმბაძეს, რომელიც მათ მოსაზრებებს არ იზიარებს. კამერით იღებს და შეკითხვებს სვამს... **„ლიბერალების“** ჩივილი – **„თქვე მამათმავლების დამცველებო“** – შეურაცხმყოფელ მიმართვას გულისხმობდა...

მათივე განცხადებით, ომბუდსმენს მამათმავლების დაცვა სახელმწიფოსგან ევალება... თუ ამას უკანონო ქმედებად თავად არ თვლიან. ამაში გრანტსაც იღებენ – ამის თაობაზე შეკითხვის დასმა შეურაცხმყოფელი რატომაა? სექსუალური უმცირესობის ნებისმიერ წარმომადგენელს მეც მოვუსმენ ცემასთან, შეურაცხყოფასთან, ძარცვასთან ან რაიმე უზედურების საკითხზე. **„ჩასაქოლადაც“** არავის აღვიქვამ. სამწუხაროდ, თავად ამერიკის დეპარტამენტის ანგარიშების პოზიციით, მართლმადიდებლური სარწმუნოება და ჩვენი რწმენა, ზოგადად, კონსერვატული და ქვეყნის განვითარებისთვის დამაბრკოლებელ გარემოებად განიხილება.

ასეთივე კრიტიკული დამოკიდებულება კონკორდატთან საპატრიარქოსა და მართლმადიდებლური კონფესიის განსაკუთრებული ავტორიტეტის გამოც შეიმჩნევა. ჩანს, ამის საწინააღმდეგოდ ქვეყანა სწორედ უმცირესობების დაცვით და საპირისპირო აზრის მქონეთა დაპატიმრებით ცდილობს ამერიკის გულის მოგებას. ჩვენ სარწმუნოებას ქვეყნის განვითარებაში განსაკუთრებული ისტორიული როლი მივანიჭეთ და ეს კონსტიტუციაშიც ავსახეთ. ახლა კონსტიტუციას ვარღვევთ? უმრავლესობის ქრისტიანულ-მართლმადიდებლური მორალის ფაშიზმად და ექსტრემიზმად მონათვლა დაუშვებელია!

**– მთელი ქვეყანა არ არის „ლიბერალთა“ რაღაც ერთი ჯგუფი. მართლმადიდებლურ-ქრისტიანული მორალი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებიცაა. დამაბრკოლებელია თუ არა ჩემივე ქვეყნის განვითარებისთვის – ამის გადაწყვეტის უფლება იქნებ ჩვენ დაგვიტოვოს იმ ადმინისტრაციამ, რომელიც მუდმივად გვახსენებს, რომ არცერთი ქვეყნის შიდა საქმეებში არ ერევა?!.**

– არის ქვეყნები, სადაც ბიძაშვილ-მამიდაშვილზე ქორწინება დასაშვებია. ამას არც ჩვენი კანონი კრძალავს, მაგრამ სწორედ მართლმადიდებლური მორალითა და ზნეობით ამგვარი რამ თავში არავის მოსდის. ჩვენი ისტორიულ-მართლმადიდებლური ეთნოფსიქიკის, ზნეობის განადგურებით დემოკრატიის შენებას თუ ცდილობს ვინმე– ასეთი დემოკრატია ვის რად უნდა? ბრიტანეთის სამეფო ოჯახის ისტორიული ტრადიციის ქორწილის გამო ბრიტანეთი არქაულ და ფუნდამენტალისტურ სახელმწიფოდ არავის გამოუცხადებია. მართლმადიდებლური ტრადიციის დაცვა ექსტრემიზმი და ფაშიზმი რატომღაა?

**– მეტი გრანტის მისაღებად „ტაბულას“ ამერიკელებისთვის „აგრესიული მართლმადიდებლებისგან“ „საწყალი ლიბერალების“ დარბევის დემონსტრირება ხომ არ დასჭირდა?**

– შეიძლება სულაც არ იყოს მართლმადიდებელი, მაგრამ საყოველთაოდ აღიარებული უზნეობა მისთვისაც მიუღებელი იყოს. ევროპულ ქვეყნებში ყველას საზოგადოების ჩვეულებრივ თანასწორ წევრებად თვლიან. ჩვენთვის ამის მიღება ძნელია, რადგან ის მართლმადიდებლურ მორალთან წინააღმდეგობაში მოდის. არის კატეგორიაც, რომელიც უცხოეთში ასეთი მოტივით თავშესაფარს ითხოვს.

**– გამოდის, არაქრისტიანული უზნეობის მქადაგებელი ერთი მცირე აგრესიული ჯგუფი დანარჩენი ქართველი საზოგადოების ცნობიერებასა და იდეოლოგიაზე ძალადობს. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი, შესაძლოა, დაგიჭირონ კიდეც... პატარა ცისფერთვალება გოგოსა და მამის პატიმრობისას გაჩენილი ბიჭის ძახილი – „მამა, სახლში მალე მოდი!“ – მოსამართლეს ძილში არ ჩაესმის?!**

– მოსამართლეც დებს ფიცს. არ მგონია, მოსამართლეს ან პროკურორს მშვიდად სძინებოდა. „განსასჯელებზე“ ცუდ მდგომარეობაში იყვნენ. **„ქვეყანა ერთი დიდი ციხეა და გარეთ ვიქნები თუ შიგნით, დიდი მნიშვნელობა არ აქვს“,** – თქვა მაისურაძემ. მოსამართლემ ის გააკეთა, რაც უბრძანეს. პირველივე პროცესიდანაც გვთავაზობდნენ საპროცესო შეთანხმების დადებას. დაცვის მიერ წარდგენილი უდანაშაულობის მამტკიცებელი ვერანაირი არგუმენტით მოსამართლე გამამართლებელ განაჩენს მაინც ვერ გამოიტანს – გადაწყვეტილებებში დამოუკიდებელი არ არის. მილერი ხარებავაც ამიტომ გვეუბნებოდა – **„დადეთ საპროცესო, ნუ დაღუპავთ ამ ბიჭებსო“.**

**– თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით მოწყობილმა რევოლუციამ თავისუფლების ნაცვლად მონებად გვაქცია? სასამართლოც რეჟიმის მონად იქცა. „ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს“ – ამ ბიჭების მრწამსია. დაპატიმრებით მათაც და გარეთ მყოფ მართლმადიდებლებსაც მხოლოდ რწმენაში გააძლიერებენ...**

– რამდენიმე ადამიანმა, ვინც თავს **„ლიბერალს“** უწოდებს, იმ ადამიანების დასჯა გადაწყვიტა, ვინც მათ მოსაზრებებსა და იდეოლოგიას პრინციპულად ეწინააღმდეგება.

**– ეს „მათი“ – „თავისუფლების ინსტიტუტი“ და „ტაბულაა“? ხელისუფლებაზე მეტი უფლება აქვთ... საზოგადოების ნებისმიერი ჯგუფი ამ საზოგადოების მოთხოვნებს უნდა დაემორჩილოს, თუ – პირიქით – ეს საზოგადოება თავიანთ ჭკუაზე უნდა ატარონ?**

– ჩანს, ამათი აზრით, ჩვენი ქვეყნის განვითარებას სწორედ ასეთი საზოგადოება და აზროვნება აბრკოლებს. ამის დანგრევაა საჭირო, ჩვენ რომ განვვითარდეთ.

**– ვიღაცის დავალებით უდანაშაულო ადამიანების დაპატიმრებისთვის, პოლიციელებთან ერთად, მოსამართლეებსა და გამომძიებლებსაც არ უნდა მოეკითხოთ პასუხი? უკვე სასამართლო აქტების გადაკეთებაზეც საუბრობენ...**

– მაგალითს მოვიყვან: ცოტნე გამსახურდიას პროცესზე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მოსამართლემ საქმესაც დაურთო. შუამდგომლობაც დააკმაყოფილა, მაგრამ თვალსა და ხელს შუა გაგვიყალბეს ოქმი. განაჩენები უკვე ისე გამოაქვთ, რომ სათათბიროდაც აღარ გადიან – წინასწარ იწერება!

**– „ვარდების რევოლუციიდან“ მოყოლებული, ყველაფერი ტყუილი როგორაა? – საარჩევნო, სასამართლო ოქმები, სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები ყალბდება. გამოდის, დემოკრატიად წოდებული ღირებულებებიც ყალბია და ბოროტებასა და სიკეთეს დღეს ერთი ფასი აქვს?..**

– გეთანხმებით. იგივე გჯუფი შევარდნაძის დროს ამის გამო თავზე ამხობდა მაშინდელ ხელისუფლებას...

**– რაც ხდებოდა, ყალბდებოდა. ამასაც „ვარდების ხელისუფლებით“ მოსულნი არ სჩადიოდნენ? მათ მიერვე გაფუჭებულზე აქეთ ყვიროდნენ და რევოლუციაც თავიანთთვის არ მოაწყვეს, თუ „გასაფუჭებელი“ ზნეობა და სულიერებაღა რჩებოდათ?!**

– რა თქმა უნდა. სასამართლო სააკაშვილის დაწყებული არ არის?! სააკაშვილმა ის ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს ზარ-ზეიმით არ დაიწყო?! ერთი წლის წინათ კი თქვა – ახლა ვიწყებთ რეფორმასო... ამ რეფორმებში დიდი ფულია. შექმენი პრობლემა და მოიპოვე ფული. გასაგები არ არის, რაც ხდება?

**– დასავლეთის დონორი ორგანიზაციები რაში ყრიან ამხელა ფულს?! მართლმადიდებლობასთნ „ჭიდაობით“ არაფერი გამოსდით? ეს ის თემაა, რომელსაც, მიუხედავად გაჭირვებისა, მთელი საქართველოს ფეხზე დაყენება შეუძლია! ფულს ამაში თუ იხდიან, ჩვენთვის ისინიც დამნაშავეები არ გამოდიან?**

– დემოკრატიის განვითარებაში დასახმარებლად ფულს, ალბათ, გულწრფელად დებდნენ. ეს ხელისუფლების მხრიდან მისი განკარგვის ბოროტად გამოყენებას უფრო ჰგავს. ალბათ, ოდესღაც, კონკრეტული პირები მართლმსაჯულების დანგრევაზეც აგებენ პასუხს. ადვოკატი პროფესიას კარგავს და დისკრედიტებულია. მოსამართლეები ზეწოლად აღიქვამენ ევროსასამართლოს გადაწყვეტილებების ხსენებას. პროკურორს უთქვამს: **„გადაწყვეტილებები გამოტანილია სხვა საქმეებზე, სხვა ქვეყნებზე და ეს ჩვენ არ გვეხება“...** (?!) ევროპულ სტანდარტს ვნერგავთ თუ სადღაც აზიისკენ მივექანებით?

**– ჩვენთვის აჯობებდა, ქართული სტანდარტით ქართველებად დავჩენილიყავით...**

– ევროპაში რაღაცები მართლა კარგია. ამათ კი (მოქმედი ხელისუფლება. – საქინფორმი), ყველასაგან, რატომღაც, მარტო ცუდი გადმოაქვთ.

**ესაუბრა ბაია ამაშუკელი,**
**„საქინფორმი“**

# სიყვარულით გადარჩენილთა ჰიმნი

გამოვიდა მწერალ ომარ შამათავას შესანიშნავად გაფორმებული წიგნი **“სიყვარული გადაგვარჩენს”,** სამწუხაროდ, მცირე ტირაჟით, რადგან 1000 ეკზემპლარი ნამდვილად ვერ დააკმაყოფილებს მკითხველი აუდიტორიის მზარდ მოთხოვნას.

**“ომარ შამათავა პოეზიის აღმართს ხელდამშვენებული მიუყვება,** – აღნიშნავს წიგნის შესავალში ცნობილი ქართველი მწერალი და მეცნიერი რევაზ მიშველაძე, **– მისი მართალი ლექსი, მაღალმხატვრული, ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით დაღდასმული ლირიკა მკითხველს გულისგულში წვდება და სასიკეთოდ აღაგზნებს. იგი ჭეშმარიტი მამულიშვილია და კეთილი ნების მკითხველის თანამოდარდე. 80 წლის პოეტი რჩეულ თანამედროვე ქართველ პოეტთა შორის მნათობს. მისი ხალასი, მშფოთვარე სტრიქონები დიდხანს დასჭირდება საქართველოს”.**

წიგნის სათაური დიდი რუსი მწერლი დოსტოევსკის ცნობილი სიტყვების ასოციაციას აღძრავს: **“მშვენიერება გადაარჩენს მსოფლიოს”.** ბატონ ომარს კი მიაჩნია, რომ მხოლოდ სიყვარული და ადამიანური სითბოა კაცობრიობის გადამრჩენი, თუმცა მისი ლექსების სტრიქონები ერთმანეთისაგან არ მიჯნავენ სიყვარულსა და მშვენიერებას და ეს იმპულსი მაშინაა ძლიერი, როცა ისინი ერთმანეთში არიან შერწყმული.

ამის დასტურია მისი ერთ-ერთი ლექსის სტრიქონები:

**“პოეტი მაინც სიყვარულის მედროშეს უდრის,**
**რჩება ერთგულად სამშობლოსი, დედის და მუზის...”**

ომარ შამათავა გამოკვეთილად ეროვნული პოეტია. ამის დასტურია მშობლიური მიწის, დედა-ენის, სარწმუნოების, ისტორიული კულტურის, ტრადიციებისა და სამოთხისებური ბუნების სიყვარულით გაჟღენთილი მისი ყოველი ლექსი. სტრატეგიული ხაზი პოეტის შემოქმედებისა გახლავთ იდეა – ქართველი ხალხი არასოდეს უღალატებს ქრისტეანულ მართლმადიდებლობას, წინაპართა გმირულ სულს და ლამაზ ქართულ ტრადიციებს. მრავალი კედელმაგარი ციხე განადგურებულა საქართველოს ხიფათიან წარსულში, მაგრამ ქართული სული ხორასნის ფოლადივით მედგარი იყო ყოველთვის:

**“მტერმა შინამ და მტერმა გარეშემ, –**
**წაშლა-წალეკვა რომ სურდათ ჩვენი,**
**სულზე ქარ-ცეცხლით გადითარეშეს,**
**მაგრამ ვერ მოსპეს ქართული გენი...”**

სწორედ ეს გახლავთ ჭარმაგი ავტორის სულერი კრედო, მისი მორალურ-ზნეობრივი მრწამსის ქვაკუთხედი, მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი პოზიცია.

წიგნის შესავალ წერილში სამართლის დოქტორი, პროფესორი ბატონი ბადრი სალუქვაძე აღნიშნავს:

**“მიუხედავად იმისა, რომ ბატონი ომარი მეცნიერ-ფილოსოფოსია, მისი შემოქმედება არ არის გადატვირთული ფილოსოფიურ-იდეალისტური სენტენციებით. ის უფრო ახლოსაა ნამდვილ, რეალურ ცხოვრებასთან. ვეთანხმები მწერალ შალვა მჭედლიშვილს, რომ, შამათავას შემოქმედებაში “ყველაფერი ნამდვილია, – ტკივილიც, სევდაც, დარდიცა და ჩაფიქრებაც...” იგი დედაქალაქში ცხოვრობს, მაგრამ ვინც ჩაუღრმავდება მის პოეზიას, მიხვდება, რომ ამ პოეტის სული ქართულ სოფლებს, ქვეყნის მარჩენალთა საცხოვრისს დასტრიალებს...”**

სულმნათი გოგლა ლეონიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბატონ ომარ შამათავას ვულოცავთ ამ წიგნ **“ვაზფურცელას”** გამოსვლას და ვუსურვებთ, რომ კიდევ ხშირად გაეხარებინოს ქართველი ლირიკის მოყვარულები.

ჩვენ კი გთავაზობთ პოეტის ერთ-ერთ ლექსს:

**“დავით აღმაშენებელი და გიორგი ჭყონდიდელი”:**

**უბრძანებია ბევრის მნახველს, – ბრძენს ქუდბედიანს:**
**“გენიოსები მხრებზე დგანან გენიოსების”, –**
**წინამძღოლობა, გზის ჩვენება მათი ხვედრია,**
**ნიჭიც რომ დაჰყვათ ისტორიის**
**გასხივოსნების.**
**ღირსეულ მწვრთნელად – ღირსეული! – მართლაც ბედია, –**
**წინაპირობაც – უცისკარონ ქვეყნის**
**განთიადს;**
**ყრმა უფლისწული გულში უზის გიო**
**ბედიას.**
**ეს კოლხი გახდა ყრმის მოძღვარიც, მისი ნათლიაც.**
**თუ მაკედონელს წვრთნიდა დიდი**
**არისტოტელე,**
**ქართველთა მეფედ ჭყონდიდელი უფლისწულს**
**ზრდიდა...**
**მოძღვარო, წვრთნაში ვისი ხატი გაიმოდელე,**
**ამ სიმაღლეზე რომ შეძელით შუბის**
**აზიდვა?!**
**მაკედონელის ძალა რჩება ფრთებად**
**ოცნების,**
**(ამ ფრთებით ფრენა არსენ-ბერსაც**
**გაუბედია)...**
**ნათელმხილველნი მოელოდნენ ჟამს**
**გაოცების, –**
**მეფეს უშიშარს, გონით მაღალს, ორბის**
**ფრთებიანს.**
**ბრძენი გიორგი – წიგნით, ხატით, ხმით უტკბილესით –**
**ტახტის მემკვიდრეს ზრდიდა სარდლად,**
**აღმაშენებლად...**
**და მოწაფემაც, – განბანილმან წყლით**
**წყურგილესით,**
**შეძლო მტრის ჩეხვაც, საქართველოს წაღმა**
**შენებაც.**
**ათ მეფეს ყოფნის, დიდო დავით, რაც იდავითე,**
**თუნდაც გელათი რომ ააგე “სხუად**
**ათინად”...**
**დიდებად კმარა, რაც დიდგორში ჯაჭვები**




**ფლითე,**
**დავითფერულით გზას უკვლევდი ბნელში ათინათს.**
**დავით, სამშობლოს დაუბრუნე დედაქალაქი**
**და უქარვებდი შვილებს ყველა ერისას წუხილს...**
**დღეს კი – გელათის მიწას ათბობ გულით, ამაგით, –**
**გმირო დიდგორის, გმირო რახსის, გმირო ერწუხის.**
**ჩვენ ვერ გავწირავთ გმირულ წარსულს საგულმავიწყოდ, –**
**დავითის სული მუდამ ლამპრად გვინდა ავინთოთ.**
**ფიცი კარგია, მაგრამ საქმე?! საქმე**
**დავიწყოთ,**
**რომ ვიქართველოთ, – ვიგიორგოთ და**
**ვიდავითოთ!**

**როლანდ ჯალაღანია,**
**საპატიო დოქტორი**

# ზოგიერთ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ტერმინთა ეტიმოლოგია

მოლამაფა-მოსალბუნების დარად, ერთიდაიგივე აზრის მეგრულ-ქართული ნტერპრეტაციაა ტერმინები მათემატიკა და არითმეთიკა, რომლებიც უშუალო კავშირში არიან მიწათმოქმედებასთან. უფრო სწორად კი ეს უკანასკნელია მათი დედა-მშობელი, რადგან, სწორედ მიწათმოქმედებამ შექმნა რაოდენობრივ აღრიცხვას დასაქვემდებარებელი ჭარბი შრომის პროდუქტი. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ კა, აკა,კაკა ერთი ერთეულის, ერთის სინონიმებია. ამაზე მეტყველებს მეგრ. ხალხური თამაშობა — **„როსტოკაკა“.** (იხ. ს. მაკალათია „სამეგრელოს ისტორია“ გვ.280). როგორც ეტყობა თამაშის სახელწოდებამ ღრმა ფონეტიკური ცვლილებები განიცადა, რაც მის არქაულობაზე მიუთითებს. კერძოდ, პირველად ფორმა — რე-თე-კაკა-ში ორივე ეო-დ, თტ-დ შეიცვალა, ტ-ს წინ ს განვითარდა: რე-თე-კაკა>რო-თო-კაკა>რო-ტო-კაკაროსტოკაკა. რეთე კაკა? კითხვითი წინადადებაა და სიტყვა-სიტყვით ნიშნავს – არის ეს ერთი-ერთი? ანუ არის რამდენი ერთეული? აი, თამაშის მსვლელობა: პირველი მოთამაშე მუჭში მალავს თხილს და კითხულობს – როსტო კაკა? მეორე მოთამაშე პასუხობს, ვთქვათ, ჟირიკაკა (ორიკაკა, ორიკაკალი).

პირველი აჩვენებს მუჭში თხილების რაოდენობას და თუ მეორემ ვერ გამოიცნო, ამბობს: გემძინაკა **„დამიმატე ერთი.“** დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მათემატიკა-არითმეტიკაში კა ერთის, ერთი ერთეულის აღმნიშვნელია. დარჩენილი მათემატიკა და არითმეტიკა მეგრულ-ქართულად ზუსტად ერთნაირ აზრს გამოხატავენ, ოღონდა+რით + მეტ-ი-ში მხოლოდ ა (უდრის „აი“) არის მეგრული. ხოლო მათემატიკაში კი მხოლოდ მეტი (>მატი) ქართული. მომხდარია მარტივი ფ. ცვლილებები: ხმოვანთა გადანაცვლება და ასიმილიაცია: ა-მუთ-მეტი **„აი, რით, მეტი“>მა-თუ-მეტი>მა-თე-მატი.** მართლაც პირვანდელი ფორმა: ა + მუთ +მეტია უდრის აი-ს; მუთ უდრის რით-ს. კა და მეტი კი ორივე ფორმაში (მათემატიკა და არითმეთიკაში) უცვლელადააშენარჩუნებული.მ. ე. ტერმინები მათემატიკა და არითმეთიკა ერთი და იგივე მნიშვნელობის ერთი და იგივე მეგრ. ქართ. ნაწილებისაგან შედგებიან და ასახავენპ ირველყოფილი მარტივი თვლის – ერთი ერთეულით მატების პროცესს.

ტერმინი კალენდარიც, უეჭველია, მიწათმოქმედმა ხალხმა შექმნა. მასთან კავშირშია კალანდა. იგიდაფიქსირებულია ქართვ. ანთროპონიმებში: კალანდაძე, კალანდია. გურია-სამეგრელოშიკალანდა ძვ. სტილით ახალ წელს აღნიშნავს. კა-ს შესახებ უკვე ვიცით. ლანდი მეგრულად ხაზს ნიშნავს და ძაფის ერთეულიცაა: ართი ლანდი ძაფი უდრის გარკვეული რაოდენობის ძაფს. უდრის **„ერთი ლანდი ძაფი.“** მეგრ. ზმნალანდუა ხაზვაა. ლანდარი კისახაზავი და იდეალურად სწორი. ლარიც სწორია, მაგრამ ის ლანდარიდანაა, ნდ კომპლექსის ამოვარდნით მიღებული.

ლანდაუ ქვია განაყოფიერებული კვერცხების ხაზით მინიშნებას“ მარქვალი „კვერცხი“ დოლანდეს უდრის კვერცხი მიახაზეს. ძაფით საბნის სწორ და სიმეტრიულ ნაკვთებად დაყოფასაც ლანდაუ ქვია.

დღევანდელი მეგრ. ბანდურეფის „ბადურები“-ის წინა ფორმა ლანდურეფი იქნებოდა, რადგან ისინი სივრცეს (ჭერს) სიმეტრიულ ნაკვთებად ყოფენ. თუ ყოველივე ამას დავამატებთ იმას, რომ, როგორც ზემოთა ვთქვით, ძვ. სტილით ახალი წელი კალანდაა, უეჭველია, კა+ლანდა, ამ შემთხვევაში, ერთ ხაზს ანუ პირველხაზს, ახალი წლის პირველ დღეს ნიშნავს.

უნდა ვიფიქროთ, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში შეეცადა ადამიანი, ხაზების მეშვეობით, როგორც სივრცის, ასევე დროის თანაბარ. პროპორციულ სიდიდეებად დაყოფას. მაგ. წელიწადის — თვეებად; თვეების – დღეებად და ა. შ. თვეში შემავალი დღეების აღმნიშვნელი ხაზებიდან პირველ ხაზს ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც პერიოდის საწყისს და,ამიტომ, მას თავისი სახელი კალანდა— ერთი (პირველი) ხაზი ერქვა. ეს ტრადიცია მეგრულმა – ახალი წლის, ბერძნულმა კი თვეების პირველი დღის სახელში შეინარჩუნა,თუმცა უცხადესია: ყველა მათი სახელმდები კოლხურია.

ბერძნულ, ლათინურ ან სხვა რომელიმე პრესტიჟულ ენებში სკოლისა და შვილის ძირისა ერთო რომ ყოფილიყო სკოლის ეტიმოლოგიის დადგენაზე თავს არავინშ ეიწუხებდა: მას მაშინვე იმ ავტორიტეტულენოვან სამყაროს დაუკავშირებდნენ. მაგრამ ერთია პრესტიჟი მეორე — ჭეშმარიტება.

ჩვენ კი ერთ საოცარ საკითხზე უნდაშევჩერდეთ: რატომაა რომ მეგრ. ოღეჯეს „საღორეს“ აქვს სინონიმი — ოსკუ? სკუალა ხომ მეგრ. კვერცხის დადებას ნიშნავს და ის მეგრ. ოკარიეს „საქათმეს“ უნდა ერქვას. ან კიდევ რატომა აქვს მეგრ. ოქოთომეს „საქათმეს“ სინონიმად ოკარიე?

ჯერ ვუპასუხოთ მეორე შეკითხვას: კარ ბასკურად ქათამია და მეგრულში საქათმეს ო-კარ-იე ამიტომაც დაერქვა. ე. ი. ბასკ კარ და მეგრ. ოკარიე იმ დროის სიტყვები არიან, როცა ეს ორი ხალხი ერთ ენაზე მეტყველებდნენ. იმ ენაზე კარ„ქათამი,“ ოკარ-იე „საქათმე,“ კარ-კალ-ი „კრიახი“ (კარ-კარ-ი>კარ-კალ-ი) ქათმის კრიახით გამოწვეული, კრ კომპლექსიდან წარმოქმნილი სიტყვები არიან.

რაც შეეხება ქართ. მეგრ. ქოთომ-ქათამ-სის შემდგომ (მაგრამ დიდი ხნის წინანდელ, რადგან 62ქ2თ **„ნისკარტი“** სომხურში მეგრულიდან გავიდა) პერიოდს განეკუთვნება და დაკავშირებულია 62ქ2თამ „ნისკარტიანთან: 62ქ2თი მეგრ. დღესაც ნისკარტია. მაგ. მუსგილენ 2ქ2თ უდრის „რას იქექება.“

დავუბრუნდეთ პირველ კითხვას: მართლაც მეგრ. ოსკუს **„საღორეს“** მეგრ. სკუალას **„კვერცხისდებას“** ვერანაირად დავუკავშირებთ. მაგრამ სკუალა ოდესღაც შობას ნიშნავდა. ეს ერთი, მეორეც – ოსკუ შეიძლება დავუკავშიროთ მეგრ. სკი, სკუა – შვილის მნიშვნელობას, რომლის სკ კოპლექსი სქ-ს იძლევა: მეგრ. სქი **„შვილი“,** ქართ. სქესი (ამათთან კავშირშია ინგლ. სექსიმ. ფაჩუაშვილი).

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ მეცხოველეობის განვითარების ადრეულ ეტაპზე ადამიანი მოშინაურებულ ღორებს ტყის პროდუქტებით ინახავდა. ე. ი. საღორე მას ჭირდებოდა არა ღორებისთვის, არამედ მათი შვილებისთვის (გოჭებისთვის). ამიტომაც დაერქვა მაშინ საღორეს ოსკუ ან ოსკუალე – სიტყვა-სიტყვით საშვილო, მაშინდელ მეტყველებაში კი იქნებ სამშობიაროც.

მ. ე. ადამიანს ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარების შედეგად, მისი მოუცლელობისა და დაგროვილი ცოდნის თაობებში დაფიქსირების აუცილებლობის გამო, პირველყოფილი და პრიმიტიული ბავშვთა სამყოფელი (ბაღი) თუ სასწავლებელი – სკოლა დასჭირდებოდა, მას უკვე ამისთვის ქონდა მზამარეული ტერმინი ოსკუ, ოსკუალეს სახით. ამაათთან კი სკოლის ეტიმოლოგიური კავშირი, ვფიქრობ, უნაკლოა.

ჩვენ ქიმიის წარმოშობა, დასაწყისშივე, ძირითადად მეტალურგიას დავუკავშირეთ. ამ დარგში ქართვ, ტომთა წარმოსაჩენად სიტყვას დიდ ივ. ჯავახიშვილს გადავცემთ: **„..შედარებითი ენათმეცნიერება ამტკიცებს, რომ მადნების სახელები სხვაერებსქ ართვ. ტომებისგან შეუთვისებიათ. თვით ცნობილი ენათმეცნიერიო. შრედერი ამ გარემოებაზე ყურადღებას ამახვილებს: ევროპული ბრინჯაოს სახელი ბრონზე წარმომდგარია სპარსული ბრინჯ-ისგან, ხოლო სპარსულში ეს სიტყვა შეთვისებულია ქართული ენა-კილოკავების საზოგადო სახელისაგან: სპილენძი, მეგრულად ლინჯ, სომხურად პლინძ, რაც უდრის „სპილენძ-ს და სპერის ანუ ისპირის მადანს იშნავს“.**

ბერძნების მწერლებიც ერთხმად აღიარებენ, რომ საუკეთესო სპილენძის ნივთები სწორედ ამ ქვეყნებიდან გამოქოდათ. თვით ელადაში სპილენძი ხომ ცოტა იყო და უფრო აზიიდან შემოტანილი მადნით მიდიოდნენ იოლად. თითბრის სახელები კი ზოგიერთ ევროპულ ენებში მოსინიკის ტომის სახელისგან არის წარმომდგარი. სწორედ ეს მოსსინიკები იყვნენ თითბრის ხელობაში განთქმულნი. ამ მადნის მეორე სახელი თითბერი ნამდვილად ქართულია და ნიშნავს თუთ-ფერი მთვარის (მეგრული თუთა, ქართული თთუე) მთვარისფერის მადანს.

რკინის, განსაკუთრებით დამზადებაც ბერძნებს, როგორც ეტყობა, ქართველი ტომებისგან შეუსწავლიათ. ეს ფოლადის ბერძნული სახელიდან ჩანს: **„ხალვფს, ხალვბდიკოს ხალიბების ტომის სახელისგან არის წარმომდგარი და ხალიბურსაც ნიშნავს“**. მართლაც ხალიბების მიერგაკეთებული რკინის ნივთები ძალიან განთქმული იყო.

ერთისიტყვით, უმთავრესი და კაცობრიობისათვის აუცილებლად საჭირო მადნების სახელები ან ქართველი ტომებისგან არისშეთვისებული ან არა და მათი სატომო სახელისგან არის წარმომდგარი. ამით, ცხადია, მტკიცდება, რომ ქართველ ტომებს მადნეულობის შემუშავებაში კაცობრიობის წინაშე საპატიო ღვაწლი მიუძღვით. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ტ1 გვ.64-65.

ვსვამთ მარტივ კითხვას: თუ ბერძნული მეტალურგია, რომელსაც ტერმინ ქიმია-ს წარმოშობას მიაწერენ, თავისიგანვითარებით წინ უსწრებდაკოლხურს, რატომ რომელიმე ქართველურმა ენამ არ შეითვისა ამის მიმანიშნებელი ლინგვისტური ელემენტი? ან რატომ მოხდა პირიქით?..

მადნების ქართველური სახელების ბევრი მახვილგონივრული ეტიომოლოგიაა გაკეთებული. მიუხედავად ამისა, მკითხველს ვთავაზობთ ზოგიერთი მადნის სახელის წარმოშობის ჩვენებურ გაგებას.

მეგრ. ვარჩხილი **„ვერცხლი“** მაშინვე მიგვანიშნებს, რომ მას კავშირი უნდა ქონდეს მეგრ. რჩხუალა **„რეცხვასთან“** ან მეგრ. ბარჩხალი ელვარებასთან.

მეგრ. ერთმარცვლიანი სიტყვა — კ2-ს აქვს ორი მნიშვნელობა — ერთი — რკოსი, მეორე მაგარის. მაგ. კ2 რე, კ2ჯგუარე უდრის მაგარია. კ2-დანიებს სათავეს ერთ-ერთი არქაული და ძირითადი სამშენებლო მასალის სახელი — კირი. ეტყობა მასალის სახელი შეიქმნა მისი ძირითადი თვისებისმიხედვით: = კ2 რემაგარია>კირი. შდრ. კირთება, ქვითკირი, კირქვა, გვარი კირთაძე. ვფიქრობთ სახელი რკინა კირიდანაა მიღებული: კირი>კინა.

ბოლოს მეტალურგიის, ქიმიის, მედიცინის ერთიანობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, თუ რაოდენ განსაცვიფრებელია ტერმინების — ალქიმიის, ქიმიის ექიმის ერთძირიანობა: მძლავრი შუა საუკუნეების ქიმიის საფუძვლები შექმნა მის წინარემეცნიერებამ — ალქიმიამ, მაგრამ ამ უკანასკნელის, როგორც ტერმინის წარმომავლობა ისევ ბერძნ. ხიმა „სხმა. ჩამოსხმა-დანააგაახრებული.

ალ-ქიმია — ალ+ქიმია, ჩვენი აზრით, ტერმინ ქიმიის წინარე ფორმაა. მისი წარმოშობა, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ უშუალოდ იყო დაკავშირებული მეტალურგიულპ როცესთან, კერძოდ მადნის ცეცხლის ენის საშუალებით – ალით დნობასთან: ვნახოთ რა უფრო ახლოა ტერმინალ ქიმიასთან და საერთოდ მეტალურგიასთან — სხმა, ჩამოსხმა თუ ალიტ ქმნა – მეგრალით - ქიმინი? დავაკვირდეთ სიტყვათა, ძირითადად, გამარტივებით განპირობებულ ცვლილებებს: ალით ქიმინი>ალქიმი-ნი>ალქიმია; ალქიმი>ექიმი; ალქიმია>ქიმია.

როგორც ვხედავთ, ტერმინთა — ალქიმიის, ქიმიის და ექიმის პირველ საწყისი საერთოა და ეს ასეც უნდა ყოფილიყო; ალქიმიის მიზანი ხომ ოქრო და უკვდავებაიყო – მედიცინის და მეტალურგიის ერთიანობა.

საკითხი იმდენად ნათელია – ვიტყოდი ჩვეულებრივ ფრაზას: კომენტარი ზედმეტია, მაგრამ საქმე ეხება იმდენად დიდმნიშვნელოვან საკითხს რომ იძულებული ვართ დავძინოთ: უზარმაზარმა ეგვიპტურ-ბერძნულ და სხვა ცივილიზაციათა (რომლებიც უძველეს კოლხურ საძირკვლიდან ამოიზარდნენ) ავტორიტეტმა თუ პრესტიჟმა ცოცხალ და მობილურ მეცნიერულ აზროვნებას გაუწია დათვური სამსახური. წინააღმდეგ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილებულიყო იმ ფაქტზე მაინც, რომ ბერძენი ანონიმი ავტორი პირველად ქიმიას იხსენიებს სწორედ კოლხეთში ოქროს მოპოვებასთან დაკავშირებით...

განა ალოგიკური არაა მივაწეროთ მეტალურგიული პროცესის ამსახველი ტერმინის წარმოქმნა მეტალურგიის, როგორც დარგის ჩამოყალიბების ჩათავების ფაზას?

როგორც ზემოთ თვალნათლივ და მრავალგზის ვაჩვენეთ, ვინაიდან მეტალურგია, მედიცინა, ქიმია და ა. შ. ადამიანთა მრავალსახეობრივი მოღვაწეობის რთულ კომპლექსშია, უმჯობესი იყო ზოგადკაცობრიულ და დიდმნიშვნელოვან სახელთა ფესვები ეძებნათკ ომპლექსში შემავალ თითოეული დარგის საწყის პერიოდთან კავშირში და იმერის ენის წიაღში, რომელმაც შექმნა თავად ეს დარგები.

**ედემ იზორია,**
**ზუგდიდი**

## ლექსები

# გიორგი შენგელია

ჩვენი **გაზეთის წინა ნომრებში** უკვე გაგაცანით საინტერესო პოეტისა და პიროვნების, **სამეგრელოს კუთხის ღირსეული შვილის** ბატონ გიორგი შენგელიას რამდენიმე **ლამაზი** ლექსი. **მაღალნაყოფიერ** შემოქმედებით მოღვაწეობასთან ერთად ბატონი გიორგი დიდ და საშვილისშვილო საქმეს აკეთებს. **ცნობილ ღვინის კომპანია “ბადაგონ”**-თან ერთად მარტვილის რაიონში აღადგენს სამეგრელოს კუთხის გადაშენების გზაზე მდგარ ვაზის უნიკალურ ჯიშს **“ოჯალეშს”**. სწორედ ამ ვენახს უძღვნა მან ლექსი **“ოჯალეში”**, რომელიც ქართულ-მეგრული სიტყვების შერწყმის და გარითმვის შესანიშნავი ნიმუშია. ამ ლექსზე მან შექმნა სიმღერაც, რომელიც **ვაზ “ოჯალეშის”** საგალობელიცაა:

### ოჯალეში

**ოჯალეში, ოჯალეში,**
**ღვინი უჯგუ ირო ჯვეში,**
**დალიე და შეგერგება,**
**ამის მეტი რა შეგრჩება.**

**ყოველ დილით ჯამით ხელში**
**მზე დალოცე ოჯალეშით.**
**სქუა ქიგლარუნდასინი**
**შხვა ქიანას სოთინ ვეში.**

**ჯას მებუ დო ფალუნს მინდორს,**
**დასდებია ოქროს ფასი,**
**დიბშუმუქინ ირკოჩ მიყორს –**
**მუში ჯგირი, მუში თარსი.**

**გეგთიხვამი ოჯალეშით**
**ერთხელ მაინც, სიცოცხლეში,**
**ვერ გაუძლებ ამ ცხოვრებას,**
**ოჯალეში ვაშვენ თეში.**

**გეშვი, ჯიმა, ოჯალეში,**
**გვალო ვედიყირზენ თეში,**
**ახალი სჯობს მხოლოდ ქალი,**
**ღვინო კიდევ – ირო ჯვეში!**

მეგრულენოვანი თარგმანი
გალაკტიონ ტაბიძის ლექსისა
“გამარჯობა აფხაზეთო, შენი!”

### გომორძგუა, სააფხაზო სქანი,

**გომორძგუა, სააფხაზო სქანი,**
**ლურჯ გვალეფი, ჩელა სანატორია,**
**მუს მონატრ სქან ზღვაპიჯი სქვამი,**
**მუს მონატრ სქანი ბჟაში ჩხორია.**

**სო რე პალმა, ჩქიმი მაკუჩხური?**
**სოდეთ ძღაბიქ მა გამხარუ გური,**
**გეგნიჭარუ ჩქიმი ლერსი ტყობას,**
**ქაწომზადე “პარახოდი” ტომბას,**

**ქაწომზადე სქან ნანაში დიხა,**
**მა მემრჩქინი მაყალეთ დო ჯიხათ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარადიული სულის ძახილი

**ფიქრები რაფიელ გელანტიას წიგნზე „ნ-ან-ა ჩვენი, აფხაზეთი".**

**ბატონო რაფიელ!**

ჩვენ ჩვენი სანუკვარი ოდაბადედან ერთად მოვდივართ ცხოვრების მზიან-ჩრდილიან გზაზე...დღეს ჩვენს საწუთროდათალხულ გალში, თქვენს ლამაზ კარმიდამოში მოშრიალე მაგნოლია ცხარე ცრემლებით ტირის....შენი ზნეკეთილი დედ-მამის საფლავზე აფეთქებული ვარდებიც იცრემლებიან, მაგრამ თავს იწონებენ საფლავის ქვაზე მოკრძალებული მინაწერით: **„ვალში ვრჩებით შენს წინაშე ექვსი შვილის დედავ"...**

როდესაც თქვენზე და თქვენს წიგნზე ვფიქრობ, რატომღაც აწმყო, წარსული და მომავალი ერთად დადგა ჩემი ფიქრების ზღურბლზე, რამეთუ ერი და ერისკაცი ზიარ ჭურჭელსა ჰგვანან, ისინი ერთმანეთს ავსებენ და აცოცხლებენ....

ფიქრი უსაზღვროა... დღეს, როცა ნახევარ საუკენეზე მეტი გასულა, თქვენი კაცობის, ნათელი გონებისა და მზედაუვალი ნიჭის, აფხაზეთის, სრულიად საქართველოსადმი დიდი სიყვარულის გვირგვინია თქვენი ლამაზი კრებული **„ნ-ან-ა ჩვენი, აფხაზეთი"**. მიხარია და მეამაყება თქვენი სახელოვანი **„შარაგრძელი"**. დიახ, სასიხარულო და სულის მისადრეკი ძალიან ბევრი გვაქვს და ამიტომაც მოწყურებულ სულში თქვენზე სიტყვისთვის თუ ვღელავ, არცაა გასაკვირი....

ჩემო რაფიელ! – **„ნ-ან-ა ჩვენი, აფხაზეთი"** შენი შესაშური გულის ანარეკლია, შენი გონითი სასწაული, მოკრძალებული პროტესტი ჩვენი შორეული წარსულიდან. ეროვნული ყოფის, ხასიათისა და მაღალი ზნეობის ნიშანსვეტი , რომელიც მწარედ ჩააფიქრებს ყველას, ვის სულშიც ჯერ კიდევ ციალებს სამშობლოს სიყვარულის ნათელი, ვისაც უხმობს ხმა ერთობისა და თანადგომისა, შორეული ქუჯისა და ფარნავაზის.

დღევანდელი წიგნის პრეზენტაცია ჩვენს უნივერსიტეტში თითოეული ჩვენთაგანის სულის ზეიმი და დღესასწაულია. დღეს თითქოს ზმანებებით, ოცნებებით აფხაზეთის სანახებსაც ვხედავთ, რამეთუ იქ, აფხაზეთში, ყველაფერს თავისი ელვარება აქვს, სულს, ყვავილებს, მწვანედ მოელვარე ბაღჩებში ჩაკარგულ მოგონებებს, ჩვენი ბავშვობიდან წამოსულ ნათელ სხივებს, ცისა და მიწის სიყვარულს და მეჩვენება ღვთისმშობელი ფეხაკრეფით დაიარება და სანუკარი ოდაბადედან წამოღებული ვარდების ღერებით თავზე სანთლის გვირგვინს გვადგამს, რათა კიდევ უფრო მძაფრად შევიგრძნოთ მშობლიური ფესვების ძალა, ჩვენს კოპწია კარმიდამოებში დაღვრილი ფერები. ყვავილებით მოჩითული ეზოების სილამაზე, უზარმაზარ ფიანდაზებში ჩაწნულ ბაღებს რომ ჰგავდა...

ბატონო რაფიელ, რა გულწრფელი ხართ, როცა ამბობთ: **„ვაჟკაცობას ყოველთვის აქვს დრო და გამართლება. ისტორია უშეცდომოდ აფასებს სამშობლოსათვის გაწეულ პირად მამაცობას. დაე, ყველამ გაიგოს, რომ ნებისმიერი სკამი, უამრავი ფული და სხვა, რისთვისაც იწყებენ ომებს ჩვენი და თქვენი შვილების ერთ კურცხლად არ ღირს"** – ვკითხულობ ამ სტრიქონებს და ვფიქრობ, ვიდრე არსებობენ საიდასა და სანდროს მსგავსი ადამიანები, საქართველოს გადაშენება არ უწერია. აფხაზეთი მოჭრილი ძუძუ უტკბილესს გულმკერდს-დედა სამშობლოს საქართველოს დაუბრუნდება, რადგან როგორც თქვენ ბრძანებთ: **„აფხაზეთი ძმათა საერთო სახლი, დიდი დედის უწმინდესი სახლია, ამიტომაც გვევედრება დედა, რათა შევჩერდეთ, ვიკმაროთ რაც იყო, არ მოვწყდეთ ძირმაგარ ფესვებს, ქრისტეს დაკეტილ სახლებს ურდულები ავხსნათ".**

საოცარი ემოციების გამომწვევია თითოეული ეპიზოდი და მაინც ბორგავს შემოქმედი, ძლიერ, მონოლითურ პიროვნებად ჩამოყალიბებული, მაღალი სიბრძნით მორჭმული ინტელიგენტი და ჭირისუფალი, რომელიც ეროვნულ-ქართული დამათრობელი სურნელებით გაბრუებს და გაგრძნობინებს ვისი გორისა ხარ, ცდილობს ცრემლი მოგწმინდოს, გაგამხნევოს და დაგარწმუნოს უფლის სასწაულსა და სიყვარულის მარადიულობაში. და მაინც, ვკითხულობ მინიატიურას **„თქვენ, ჩვენ, მე"** და ვგრძნობ **„სიყვარული სიკვდილზე გამარჯვებული სიცოცხლეა"**, ის ახალი სიცოცხლეცაა, რომელიც უარყოფს წარსულს, მაგრამ მოაქვს მარადიული უკვდავება...

დიახ, სიყვარულია სიღრმე და თავი იმისა, რომ ქართული სული ლაღი და მოურეველი, მარადიული სახით არსებობს ქართულ მიწაზე. ეს სიღრმეა მიზეზი მტრად მოსული ამ ცისქვეშ სამკვიდროს რომ ვერ პოულობს. ეს ერთიანი ქსოვილია უშორეს წერტილზე გადაჭიმული, და ცდუნებას ვერ ვუძლებ: ეს წიგნი ქართული სულის მადლმოყრილი ვარაყია სანუკვარ სამურზაყანოს, შენს სახელსა და გვარს შედუღაბებული, წმინდა სალოცავი, ...აქაა ნათელი სევდა, აფეთქებული გრძნობები, მშობლიური მიწისა და ზედაშეს დამათრობელი სურნელი. აქაა საოცარი თანდაყოლილი უშუალობა, სითბო და სიყვარული. ამიტომაც მეჩვენება, რომ ,ადამიანისადმი ერთგულების, მამულისთვის თავდადებული ჭეშმარიტი რაინდის მადლი მირონივით იღვრება თქვენი სტრიქონებიდან. თითოეული მოთხრობა თუ ნოველა მაღალი ნიჭიერების ზეიმია. აქ ავტორისეული მონოლოგია, რომელიც შინაგანი ექსპრესიით და მღელვარებითაა ნაქსოვი. აქაა მონატრება, ფაქიზი და ნათელი ადამიანური ურთიერთობებისა, წარსულში დარჩენილი შავი ზღვის იდუმალი შრიალისა და აფხაზურ სუფრაზე შესრულებული სიმღერების **„ერგეაშვას"** და **"ვარადას"** სულისშემძვრელი გრგვინის ექოც, მძლავრი სიყვარულისა და სიცოცხლის ამოხეთქვა.

წიგნის ავტორი შესანიშნავი მთხრობელია და ღრმად დასამახსოვრებელ ფაქტებსა და მოვლენებს აღწერს. მეჩვენება, რომ ეს წიგნი წარმოჩენაა მტანჯველი და სულისშემხუთველი, სასოწარმკვეთი დევნილობის ტყვეობიდან გაღწევისა. უჩვეულო სისუფთავე, რაღაც უჩვეულო სულისკვეთება, ძალა და სინათლე, კლასიკური სიმშვიდე და დახვეწილი თავისთავადობა გამოსჭვივის თითოეული ქმნილებიდან, რამეთუ მართალი სულის ძახილი მას ესმის, ვისაც უნდა ესმოდეს, ეს უფალია და სამშობლო: რომლებიც ყველაზე უკეთ ხედავენ მისთვის გაღებულ მდუღარე ცრემლსა და გულის სისხლს..." **სოხუმის ბიჭები", „აფხაზეთში დაბრუნება", „რა მოგენატრა აფხაზეთიდან", „სვირინგიანი ქალი", „ტყვის ტყვიები", „ქალის სურნელი", „უმანკოების ფასი"** – სულის ტრაგიკული ელვარებით ნაქსოვი ქმნილებებია, აქ მოჩანს რაფიელ გელანტია, როგორც დიდი ესთეტი, რომელიც დაადგა კონკრეტულ გზას: **„შეიცანით ჭეშმარიტება და ჭეშმარიტებამ გაგათავისუფლებთ თქვენ!"** – ეს სტრიქონები მისი თანამდევია, რამეთუ მხოლოდ უფლის ძალითაა შესაძლებელი მკითხველთან მიიტანოს იდუმალი ხმებითა და ფერებით ავსებული სამყაროს ჰარმონია. აკი თქვენთვის, როგორც ავტორისთვის, მართლაც ძნელია და, იქნებ არაბუნებრივიც, რომანტიკული სულის შენარჩუნება და მაინც, ამ წიგნშია სათნოებით შემსჭვალული რომანტიკოსის უფაქიზესი სულის ერთი გაბმული აღსარება, ცრუ და მუხანათი წუთისოფლის სამდურავი, უკაცოდ დარჩენილი მიტოვებული საბუდარის გამო.

თითოეული მოთხრობა, მინიატურა თუ პუბლიცისტური ნარკვევი თამარის ცრემლებივით გამჭვირვალეცაა და მწარეც. კოლხი რაინდი ერთდროულად თავისი ერის ბედის წინასწარგანმჭვრეტია და სამშობლოს ერთიანობისთვის გულანთებულ მამულიშვილთა წინამძღოლიც. რომელსაც ღრმად შეუსისხლხორცებია, რომ ჩვენი თვალწარმტაცი საქართველო აფხაზეთიდან იწყება. უფრო მეტიც, ეს წიგნი მატიანეა იმ სევდა-კაეშანისა, რაც განიცადა აფხაზეთის ქართველობამ. კერძოდ, ყველა სურათი, ყველა მოვლენა, ფაქტი თუ დეტალი, ისევე როგორც მთელი ფილოსოფია და ფსიქოლოგია აქ მთლიანობაშია წარმოდგენილი. თითქოს თავი მოიყარა და დიალექტიკურად გადაიკვანძა ის ზოგადიც, რაც დამახასიათებელია აფხაზ-ქართველთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის აღორძინებისა და განმტკიცებისათვის. რად ღირს მარტო მოთხრობები: **„მშობლიური ხიბლი", „მარადიული ძახილი", „სამურზაყანოს ორაგულები", „თბილისი-სოხუმის მატარებელი",** რომელი ერთი დავასახელო...

ანალიზსა და განსჯას ხომ დრო სჭირდება, მაგრამ მოკრძალებით შეიძლება განვაცხადო ჩემი სახელდახელო შთაბეჭდილება: იმ სისხლიანი, გაუსაძლისი დღეების, თვეების მერე წლები გავიდა, მაგრამ არავის ავიწყდება იქ განცდილი და გადატანილი, დაბომბილი და მიწასთან გასწორებული სოხუმი. საკენ-ჭუბერის უღელტეხილი, გაყინული ბავშვები (ჩვილები), მწუხარებისაგან შეშლილი დედები, ავაზაკების თარეში. გაუცხოებული აფხაზეთი, მტრის სიძულვილი, ულამაზეს სოხუმში ობლად დარჩენილი მიმოზებისა და მაგნოლიების ცხარე ცრემლების წვიმა.

ბატონო რაფიელ, თქვენი წიგნის კითხვისას სიმშვიდის ნეტარი განცდა გვეუფლება და ამავე დროს რაღაც **„ღვთიური ალერსიც"** გვესალბუნება ჩვენი მეგობრობის, ქართველობისა და აფხაზეთის გადასარჩენად. ჩვენ გველოდება აფხაზეთი. ჩვენი მარადიული სახლის კარი, ჩვენებურთა წმინდა საფლავები.

დღევანდელი დღე კიდევ ერთხელ მარწმუნებს იმაში, რომ ეს წიგნი ჯადოთილისმასავით შეიპარება აფხაზეთში, ჩვენს სანუკვარ სოხუმში, **„დაკეტილ ეზო-კარსა და სახლებს ურდულებს ახსნის,"** სითბოდ დაიღვრება და მზის სხივად აელვარებული უჩვეულო სასწაულით გაგვახარებს – შეიკვრება და გამთლიანდება დაშლილი სული. მე კი, როგორც აფხაზეთის ქართული მწერლობის ერთ-ერთი მკვლევარი (თუ მკრეხელობად არ ჩამეთვლება) დღეიდან უფრო ამაყი და თავაწეული შევაბიჯებ აუდიტორიაში, ჩემს სტუდენტებს მოვუთხრობ ამ წიგნის ღირებულებაზე.

და ბოლოს, ლოცვად მიიღე ეს მოკრძალებული სამადლობელი...გული სიამაყით მევსება და მრჩება ახალი, კვლავაც ასეთი დიდი ნიჭიერებით აღბეჭდილი, გასულიერებული და ღირსახსოვარი მომავალი წიგნების დაუეჭველი და ინტერესით აღსავსე მოლოდინი.

**ციალა მესხია**

**ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.**

**P.S. სიტყვა წარმოთქმულია აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში რაფიელ გელანტიას წიგნის „ნ-ან-ა ჩვენი, აფხაზეთი" პრეზენტაციაზე 2010 წლის 3 ნოემბერს.**

# მაღალი მისიით შექმნილი წიგნი

აფხაზ–ქართველთა საბედისწერო დაპირისპირების თემაზე მრავალი ლექსი, მოთხრობა, ნოველა, რომანი, ისტორიული გამოკვლევა თუ პუბლიცისტური წერილია ცნობილი.

ამ პრობლემისადმი მიძღვნილ დიდძალ ლიტერატურაში განსაკუთრებით გამოსარჩევად მიგვაჩნია რაფიელ გელანტიას **"ნ-ან-ა ჩვენი, აფხაზეთი"** (**"ინტელექტი"**, თბილისი, 2010წ.).

ავტორი უაღრესად განათლებული პროფესიონალია, იგი ერთდროულად გვევლინება, როგორც კომპეტენტური ისტორიკოსი, გამოცდილი პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი, საკუთარი სულიერი ინდივიდუალობით გამორჩეული და მაღალი მხატვრული კულტურის მწერალი.

წიგნში ობიექტურად არის გაანალიზებული აფხაზთა და ქართველთა ტრაგედიეს მიზეზები, მხილებულია მისი ინსპირატორები, სიძულვილის სინდრომის მთესველები, რამაც იარაღით დაპირისპირებამდე მიგვიყვანა ორი მოძმე ერი და ომის უსასტიკესი კანონები აამოქმედა. ამაო გამოდგა ორივე მხარის ჯანსაღად მოაზროვნეთა მცდელობა, შეეჩერებინათ ურთიერთგამანადგურებელი სისხლისღვრა, ხოცვა-ჟლეტა.

წიგნში გაანალიზებულია ორივე მხარის შეცდომები, სისასტიკე, ამასთან მახვილი თვალით დანახულია საოცარი ურთირთდანდობის, უმძიმეს საომარ მდგომარეობაში საკუთარი და სხვისი სიცოცხლისა და ღირსების შენარჩუნების შემთხვევები, დიდი სინანული და ცრემლი, რაც თან სდევდა მოძმე ხალხებს შორის გაუგონარ ძალადობას.

ნაჩვენებია ლტოლვილთა და დევნილთა ხვედრი, მათი გაუცხოება, ნოსტალგია, ორ ერს შორის გაგრძელებული ადამიანური ურთიერთობის, ტრადიციული პატივისცემის მაგალითები, ომის წარღვნას გადარჩენილი მეგობრობის, სიყვარულის, დანდობის უბადლო ეპიზოდები.

ეს არის საქმის ცოდნით, ორივე ხალხის სიყვარულით, გაგებით, კეთილი სურვილებით დაწერილი წიგნი, რომელიც გმობს სისხლისღვრას და ძალმომრეობას, ამასთან განადიდებს ცეცხლსა და ნგრევას გადარჩენილ ადამიანობას, წიგნი, რომელსაც შეუძლია ჩატეხილი ხიდის აღდგენა, რადგან, როგორც რაფიელ გელანტია ბრძანებს, **"ჩვენ ერთი ხალხი ვართ"**.

**"ნ-ან-ა ჩვენი, აფხაზეთი"** სიბრძნით, სიკეთით, კეთილშობილური მიზნებით ნაკარნახევი დიდი წიგნია, აფხაზეთის ამაღლებული საგალობელი, წიგნი, რომელიც ნუგეშით, იმედით გვავსებს და გვაჯერებს, რომ ყველაფერი როდია დაკარგული, წიგნი ხელახალი გაფრთხილებაა იმაზე, თუ რა სათუთ მიდგომას მოითხოვს საუკუნეთა წარღვნას გადარჩენილი ორი ურთიერთდაკავშირებული ერის ჯანსაღი ფესვები...

ეს წიგნი უთუოდ უნდა ითარგმნოს არა მარტო აფხაზურად, არამედ მრავალ ენაზე. მას დიდი, მაღალი სამშვიდობო მისიის შესრულება შეუძლია.

**ლუარა სორდია**

**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი**

რაფიელ გელანტიას ნარკვევებისა და მოთხრობების კრებული **„ნა–ან–ა ჩვენი, აფხაზეთი"** მძიმედ, ძალზე მძიმედ იკითხება.

ერთი შეხედვით უსიხარულო წიგნია–ნაღველითა და დარდით სავსე.

უამრავ ვაებას, კვნესასა და გოდებას, ცრემლსა და ცრემლის მდინარეებს იტევს...

ცა სულ ტირის ამ წიგნში;

ამ წიგნში შემოდგომის ფოთლებივით ყრია მოშუღარ ძმათა მიერ დაქცეული და დანაფოტებული აფხაზეთი...

ომს სიყვარულიც უდასაბამო გაუხდია თითქოს – გამქრალა მეგობრობისა და ერთურთ თანადგომის დასაბამიერი ძაფი.

სიკვდილი გამეფებულა ირგვლივ, მიწა ძმათა სისხლით გაჟღენთილა, დაცარიელებულა აყვავებული და სიცოცხლით სავსე ოდაბადე...

წიგნში შესული მოთხრობები და ნარკვევები დევნილობაში შექმნა ავტორმა.

ახლა, ამდენი წლის შემდეგ, გაუსაძლისი მონატრების სხივების კონა ფანჯარასა და ყრუ კედელს შორის ანათლიერდა და ვწერო–გვამცნობს იგი.

ვწერო, მამის მოძულე შვილებზე, მოჩხუბარ ძმებზე, მიწა წართმეულ და ლამის დაშლილ ქვეყანაზე, დაშიებულ შვილებზე და გამათხოვრებულ დედებზეო...

ვწერო, ომისა და ძალადობის უგუნურებასა და მის დაუშვებლობაზე, ომის შვილებზე და მათ შვილებზეო...

ვწერო იმაზე, რამაც დაამარცხა და კვლავაც გაიმარჯვებს ომზე–აფხაზთა და ქართველთა სისხლის და სულის ერთობა, დაუყოფლობა მიწისა და ცისა, წესისა და ადათისა, რომელიც ასეთად შექმნა არსთა განმრიგემ და ასეთად დარჩება მარადჟამ.

გასაკვირია, მაგრამ იმედიანად წერს.

გვაჯერებს, რომ მისი სამშობლო ისევ გამთლიანდება, რომ საერთო სამშობლოს სიყვარულის გასაკვირველი გრძნობა ისევ დაბრუნდება, მოწყალებასა და სათნოებას ისევ აეგება მირიადი ქანდაკი და აფხაზეთის მოწყენილ სოფლებზე და ქალაქებზე ისევ გარდმოვა მანათობლის სიცხოვლე.

ერთიანად გამრავლდება ქართველთა და აფხაზთა მოდგმა და ისევ ექნებათ ხვავი და უფლის კმაყოფილება.

ასე სწამს ამ მშვენიერი წიგნის ავტორს.

მშობლიურ წიაღში დაბრუნების წყურვილით, იმედითა და მოლოდინით ცოცხლობს.

ვფიქრობ, ავტორიც გზას გაიკვლევს ოდაბადესკენ და ეს წიგნიც; ბატონ რაფიელთან ერთად იქნება დიდი დაბრუნება და ქართველები და აფხაზები ერთი დიდი, ხელთუქმნელი სინანულის ტაძრის აგებას შეუდგებიან.

ამ წიგნის ძირითადი სათქმელი ეს არის.

ამ წიგნის კიდევ ერთი მთავარი სათქმელი ეროვნული ინდიფერენტიზმია, რასაც თავად ჩახვდება დაკვირვებული მკითხველი...

**ბადრი ცირამუა.**

"საქართველოს რესპუბლიკა", 22 აპრილი, 2010წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბორჯი მესამე**

კომკავშირში გასაწევრიანებლად მოსწავლეები მე დამყავს გალში, იქ უამრავ უფროს მეგობარს გავიჩენ: რუდიკ ჯანაშიას, პავლიკ ქვაჩახიას, ზოია გოცირიძეს, **"ლენინელის"** რედაქციის თანამშრომლებს: ბერიებს, სალაყაიებს, შონიებს, ფოტოკორესპონდენტ ლერი შენგელიას, დომენტი ჩაკაბერიას, მირიანე ჭკადუას.

მიბეჭადვენ წვრილ-წვრილ წერილებს, ლექსებსაც, რომლებშიც ჩემი სიტყვები სანახევროდ შენარჩუნებულია და თავქარიანი სოფლკორის სიხარულს საზღვარი ძნელად ეძებნება, თუმცა ჯერ საზარელი ღამე არ გათენებულა.

დილაუთენია თავზარი დაეცემა მთელს სოფელს — ჰერიკო პაპასქუას სასიკვდილოდ დაჭრის ჟოვკერ როგავა, ერთად პურმარილობდნენ დარჩელელებთან, შინ მიიპატიჟებს, იქაც სვამენ ორნახად არაყს, მერმე შელაპარაკდებიან და ამ დროს პურის საჭრელ დანას მუცელში გაუყრის ძმაკაცს ფიცხი ჟოვკერი, თვითონ მოიკიდებს ზურგზე სისხლისგან დაცლილ მეგობარს, სოფლის ცენტრამდე მოაღწევენ, საავადმყოფოში მოათავსებს გულშეღონებულ ამხანაგს, ბართლომე ფეტელავა სასწრაფოდ გალში გაწერს მომაკვდავს, ჟოვკერი მილიციაში გამოცხადდება და მერმე ის უბედურისშვილი ციხიდან ვერ გამოაღწევს საგანგებოდ ცხრაკლიტულში ჩამჯდარი ალიოშა პაპასქუას შემწეობით.

შავი კატა გაირბენს როგავებსა და პაპაშვილებს შორის, ჯერ კიდევ არის იმედი, მთელი კვირა სიკვდილს ებრძვის ჰერიკო, სოფლის ბიჭები უშურველად გაიღებენ სისხლს: საჯაიები, რატიები, ზანთარაიები, მესხიები... მოწამლვას ვერაფერი შველის, სანთელივით დნება ისედაც ოქროსფერი ჭაბუკი, სევდანარევი ღიმილით ილევა.

ოტობაიაში აყლმაყალი, გამოწვევები და ერთი ერთზე დარტყმები ჩვეულებრივი მოვლენაა, ძალას ისინჯავენ ჯეელები, ზედმეტი სისხლი უნდა გამოუშვან.

ამბროსი ბაბუას ნათქვამია:

— გურგენ ძაძუას ბარძაყის მიწაზე დამდები არ დაბადებულა, მაგრამ ხომ ხედავ, ლოთობამ როგორ დააბეჩავაო;

მუშტი-კრივში შეუდარებელი რამდენიმეა: გიგლა ძაძუა, ენვერ ჯოჯოუა და კოკი ოყუჯავა, ესენი ხელდაუკარებლებად არიან მიჩნეული, ერთხელ ენვერი და გიგლაც დაეჯახებიან ერთმანეთს, სასაფლაოს სიახლოვეს ღელემდეც კი ჩაედევნებიან ურთიერთს, ენვერ ჯოჯუას თავური ემარჯვება, გიგლა ძაძუას კი ახლო ბრძოლაში ვერავინ დაუდგება, კოკი ოყუჯავა აერთიანებს ორივეს ღირსებას, ჯიქსაც ამიტომ ეძახიან, დაცხრებიან ბიჭები ბათქაბუთქით, გადაუკოცნიან დასისხლიანებულ სახეებს, ჩავლენ ეგრევე დაღლეტილები პოლიას სასადილოში და დილამდე მოულხენენ, მკლავის სიძლიერეს უქებენ ერთურთს.

პაექრობა შეყვარებულების გამოც იმართება არცთუ იშვიათად, ჩხუბობენ ბელქანიები, ჭანიები, ქირთბაიები და ბოხუები, მესხიები, თორდუები და ხალვაშები, მაგრამ ბოლო ყოველთვის მშვიდობიანია, ვინაიდან ჩხუბში დანა არ მონაწილეობს, აქ კი ცივმა იარაღმა ტრადიცია დაარღვია, სანთელივით **ჰერიკოს სიცოცხლე თვალსა და ხელს შუა ქრება.**

სოფლის ცენტრში ძუძუმტე მხვდება, ხალხმრავლობაში ავტობუსისკენ გზას ვიკაფავთ, ყველანი სისხლის ჩასაბარებლად მივიჩქარით რაიონული საავადმყოფოსკენ, მაგრამ გვიანია უშურველი დონორობა, ნაბაკევის გადასახვევთან მანქანების ესკორტი შემოგვეგებება, მოასვენებენ სოფლის მშვენება ოქროსთმიან ჰერიკოს, ავტობუსი ერთადერთხელ დაარღვევს განრიგს და უკან მოაბრუნებს აქვითქვითებულ საზოგადოებას.

პაპაშვილების ტრაგედია მთელს ოტობაიას დაარეტიანებს, ძაძებით შევიმოსებით ნათესავებიც, მოყვრებიც, მოკეთენიც, სრულიად უცხონიც, მთელს წელიწადს გახუნებული სატინით დავიარებით.

უკვე მშობლიური ხდება სოფლის სასაფლაო, უკვე თავი არ მეღრიცება სამშვიდობო სივრცეებისკენ. უკვე ჩვენი ოქრო ჰერიკო განისვენებს სამარადისო ალაგას და შიშიც უკუდგება, მამას რომ გავაპატისონებ მოგვიანებით, ეს შიში საერთოდ გაშორდება გულს და ამიერიდან სასაფლაო განუყოფელ ერთეულად მოევლინება ჩემს არსებას.

უამრავ პიროვნებას გავაცილებთ ამ გზაზე: შალერ აფაქიას და რენცო ბახტაძეს, პირველი აუჩქარებს თავის სიცოცხლეს, გადაჭრილი თოფით მოისწრაფებს საწუთროს, სკოლის სტადიონზე რამდენიმეგზის შემოვატარებთ მის ცხედარს.

რენცო სუხიშვილების ანსამბლში ცეკვავდა ერთ დროს, მერმე **"რუსთავში"** გადაინაცვლებს, დატალღულთმიანი თანასოფლელიც აქ დაბინავდება, ამ ყურუმ არემიდამოში, და კიდევ მრავალი გულისწამლები მოყვასი, ხანდაზმულნი თუ ძუძუთა — ბახვა ელიავას პირმშო, წავლენ, წარიტანენ გულის ნაწილს, გამშობლიურდებიან საუკუნო სავანეში, მარმარილოს თავსასთუმალზე მიასვენებენ დაღლილ-დაქანცულ სხეულებს თუ ნაკადულივით მოჩუხჩუხე სიცოცხლეს.

მამლები კი ყივიან, ბუხრებიდან ძველებურად ამოდის კვამლი, ძაღლები ღავღავებენ, ველოსიპედები დავიწყებას მიეცემა, ავტომობილები მოგროვდება ოტობაიის მოასფალტებულ გზებზე.

ახლა თეთრეულს უშფოთველად გამოფენენ აივანზე ქალები, მტვრის ფენილების მზე ჩაესვენება, მხოლოდ აყვავებულ ალუბლებს და ტყემლებს შერჩებიან ისინი წარსულის მონუმენტად და კიდევ — სისხამის ჯანღებს ძვალ-რბილამდე რომ შეანოტიოებს ხოლმე თხილის ქვექვერია ბუჩქებს და ბოლოს უმთავრესს — შემოქმედის სულს, რომელიც დღენიადაგ რაღაც ხელშესახების დასაპყრობად შესჩენია თვალშეუდგამ სივრცეებს თუ ყურისძირას მოჩქაფუნე წუთისოფელს.

**ბორჯი მეოთხე**

საქართველო ნამყენ ხესა ჰგავს, რომლის საძირე კოლხეთია, ხოლო კვირტი — ქართი — ამერ-იმერი ჩვენი,

უერთმანეთოდ ამ ორ ეთნოსს არსებობა არ უწერია, პირველის ცხოველმყოფელობა ზეცისკენ მიასწრაფებსმეორეს, თუმცა ამის თაობაზე უფრო გამოწვლილვით ვიმსჯელებთ ქვემორე.

ახლა კი ისევ ჩვენს ორღობეებს მივუბრუნდეთ, ჩვენს გაჭირვებებს და სიხარულთ, ცრემლის მომგვრელთ ორივე შემთხვევაში.

ოქროს თუ ვერცხლის მედლის მოსახელთებლად თვით დედაჩემის ორანი და შიშიც უძლური აღმოჩნდება, ვინაიდან მათემატიკის ტურში ლოგარითმული ამოცანის ამოხსნის ნაცვლად არშინიან სატირულ ლექსს გავაშანშალებ მიკერძოებულ ოლიმპიადაზე გალში და დავრჩები უჩინმედლოდ, თუმცა სავსებით წარჩინებული — ფრიადოსანი. აკორდეონის, გიტარის, კრივის ხელთათმანებისა და უკარება შეყვარებულების მეპატრონე, წინ მომლოდინე ქარიბდასა და სცილას სრუტით, იგივე საწუთროთი, დღენიადაგ ქვიშის საათივით რომ ჩამოგმარცვლავს და ხელისგამწოდებელიც ნაკლებად გამობრწყინდება საადამიანოში. მაგრამ, რადგანაც ვალდებული ხარ ათრიო წარმავალი სხეული სამნათობო საქმეთათვის, ვინაიდან მოწადინებული ხარ აჯობო საკუთარ გულნამცეცობას მარადისის სახელით, მოჭიმულ-მოშვებული ერთდროულად მიემართები გაურკვევლობისაკენ და გეიმედება: საბედნიეროდ მარტო არა ხარ.

უკვე გელენახე უნივერსიტეტში ვერ მმფარველობს **"სოფლელ ბაღანას"** და ჩემს ჩათვლის წიგნაკში მიყოლებით ჩამწკრივდება **"კარგები"** და **"დამაკმაყოფილებლები"** ეული **"ფრიადების"** გვერდით.

მალე მამაც გარდამეცვლება, ესეც აღმართში მოწეული ქვა.

უნივერსიტეტის წლებიდან ლიტერატურული საღამოები მომყვება.

მახსოვს, ჩემი ლექსების პირველ საჯარო განხილვას კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი ხელმძღვანელობს, წასაკითხ ლექსებში რატომღაც გვერდიგვერდ აღმოჩნდება ორი მინიატურა — **"წვიმა"** და **"ქოლგა"**, აქამდე მთვლემარე ალბინოსი მეტრი უცებ გამოცოცხლდება:

— შენ რა გიჭირს, ძამია, წვიმაში ქოლგა გქონია, ეს ჩვენ ვიკითხოთ თორემო, — ბრძანებს, ქვეტექსტი ისედაც ნათელია და ირონიით თავმოყვარეობაშელახული კათედრას მივატოვებ, აუდიტორიასაც. დავკუჭავ იმწამამდე ლამის შედევრებად შერაცხულ ავლადიდებას და აბოლებულ სანაგვე ყუთში ვდურთავ.

ლექსებს მერეც ვწერდი და ვწერ, ესეც ცალკე საუბრის თემაა, დავსძენ იმას, რომ ჩემს სტრიქონებს ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავდა ყოველთვის, არადა, რატომღაც მწამდა უსათუოდ შევქმნიდი ფასეულს,

მოგვიანებით ვხვდები, უმთავრესი მიზეზი ჩემი პოეზიის არაბუნებრიობისა ენობრივი ბარიერია.

ჩვენ, სამეგრელოში დაბადებულებს და გაზრდილთ, სულმუდამ გვიძნელდებოდა გულისნადების პოეტური ენით გამოხატვა, ცხადია, ვგულისხმობ სალიტერატურო ქართულს.

ვკითხულობ ტერენტის, ჩიქოვანს, საჯაიას, დიდ კონსტანტინეს და ვააშკარავებ, რომ პოეზია ნასწავლი ენით თავისუფლად ვერ ნავარდობს, იმჟამინდელ სამეგრელოში კი მშობლიური ქართული ჯერაც ძუძუენად არ აღიქმება, მხოლოდ გაკვეთილებზე ვსაუბრობთ ქართულად, დანარჩენ დროს მთელი სამეგრელო მეგრულად ფუსფუსებს შინ თუ გარეთ, მეგრულად აზროვნებს, მეგრული კონსტრუქციის წინადადებებს პირდაპირ თარგმნის მეტყველებისას და დედაქალაქში უმეტესწილად მასხარავდება რბილი **"ლას"**-ების გამო.

ჩემი კუთხის უკუღმართი ბედისწერა დამღასავით მეც თან დამყვება წლების მანძილზე და ბუნებრივია, სწორედ ეს მიბიძგებს ლექსების წერა მეგრულად დავიწყო.

ახლა იმ ლექსებს აქა-იქ მღერიან კიდეც, მაგრამ საქართველოს გათიშვის ფასად მოპოვებული დიდება პროვანსელი მისტრალისაგან განსხვავებით ხელს არ მაძლევს და ჭირთათმენით როგორღაც დავიურვებ ცთუნებულ სულს, ისე, იმ ლექსების ადეკვატური გადმოქართულება თუ კი ოდესმე მომიხერხდება, მიმიხვდება მრავალტანჯული სამშობლო, როგორი გენია-ცეცხლი მიბარბანჯებდა გულში თურმე, რა მდუღარე მითუთქავდა სულს, რა ხალასია ძუძუენაზე ვაჟაისაებრ დაქვითინებული, ან კიდევ რანაირ საუნჯე-სალაროზე მითქვამს უარი ნებაყოფლობით.

გვიჭირს, ობლობა, დედა ბაზარში ხუთფუთიანი სიმინდის ფქვილის ტომრებით, ზამთარში ჩალის ფასად გაყიდული მომავალი შემოდგომის თხილის გროშები, ამის დიდოსტატი ამირან ხუფენიაა, ხუთივე და-ძმა მეურნეობის ფართობებში კომბოსტოს ჩითილების დასარგავად, მონური შრომა უფროსი ძმის უძლები მადისთვის.

ფოსტაში ოცმანეთიან კაცად მცნობენ, დედამ იცის ჩემი დარდიმანდული ხასიათი, ჩემი ჰარი ჟრალობა, აკი, ქაქალინოსაც მეძახიან ნათესაობაში, და ფულს ამიტომაც მიგზავნის დანაწევრებით.

პრეფერანსსა და პოკერში ყისმათიანი რომ ვყოფილიყავი შრომის გზას ნამდვილად არ დავადგებოდი, გამოსავალიც გამოჩნდება, რკინიგზის სადგურში ქვანახშირით დატვირთულ ვაგონებს ვცლით სამოც-სამოც მანეთად ორნი, ლექციაზე კი წარამარა მეთვლიმება და ჯგუფელების ქირქილი წამომათარანებს ხოლმე,

კურსზე ნამდვილ **"ფილოსოფოსებთან"** ვხვდები, ისინი წამდაუწუმ მაღალ მატერიებზე მსჯელობენ, სულ ჰეგელის, ჰაიდეგერის, შოპენჰაუერის ხსენებაში არიან, გადაკარგვა მინდება ცოდნის ვეშაპებში ჩავარდნილს, თუმცა იგივე ლაყბობა-მასლაათი გრძელდება მომდევნო წლებშიც და როცა ერთხელ ჰეგელზე კამათისას, აბსოლუტურ გონს, დიალექტიკას, ტრიადასა და მისთანანს ვახსენებ, თვალებს დააჭყეტენ, გაირკვევა, რომ იმ ჩემი ცოდვით სავსეებს, სახელებიღა ცოდნიათ ცნობიერების ამ მართლაც გიგანტი მკვლევარებისა.

ზოგი ჭირი მარგებელიაო ამაზე ითქმის, ვინაიდან უნებლიეთ ზერელობას გადამარჩენენ. რადგანაც ფილოსოფია, ფსიქოლოგია, სკოლაში ჭირივით მოძულებული ბიოლოგია არსებითად განსაზღვრავს ჩემს შემოქმედებით პალიტრას — რომან-ტრიადა ესე უამრავი ვარიანტისა და რამოდენიმე ასეული სპეციალური ლიტერატურიმს დასინთეზების შედეგია.

უნივერსიტეტში კუნტრუში სწრაფად ჩაივლის და იწყება დიდი უსახსრობისა და უპერსპექტივობის წლები. უნუგეშობის, უსაშველობის ნაღველნარევი განცდა. ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში კარების ჯახუნი, უმიზნო ხეტიალი ჯერ საქართველოს კუთხე-კუნჭულებში, მერმე — მის ფარგლებს გარეთ: ბუხარა, სამარყანდი, კუმისი და ყაყაჩოსმიერი ჰალუცინაციები. ბალტიისპირეთი, ნევის პროსპექტი, კიევი, მოსკოვი, ტიუმენის ყინვა და ჭირხლი, ლუკმაპური ტყისმჭრელებთან და მებადურებთან.

ცოტაც და ჩემს არსებობას მიზანსწრაფულობა დაეზურგისქარება — მწერალთა კავშირი მშობლიურ კოლხეთში გამგზავნის შემოქმედებითი მივლინებით, იქ, განუმეორებელ ზუგდიდში, ქველმოქმედებიც გამომიჩნდებიან და ჩემი ცხოვრებაც მოჩხუბარიძის ყისმათს დაეტყუპისცალება გარკვეულწილად.

ბუნება, ხელუხლებელი სივრცეები, კეთილი მწყემსები: იპო ფაჟა, ნუგო ბიჭია, ვალიკო ფიფია, მოტორიანი ნავი, ლერწმოვანები და ნამდვილი ტყაჩუ — იროდი სართანია. ქაღალდი და საწერკალამი, ყურადღება, ენითუთქმელი ყურადღება.

ტრიადა გამიჯანჯლდება, დედა წუწუნს უხშირებს, ხელმოცარული შვილის თვალთვალს, ცხადია, როგორც უმეტეს მშობელს, სავარძლიანი, ბინიანი, დაწვრილშვილებული მემკვიდრის სუფევა ურჩევნია, ერთხელაც მკვახედ მომახლის:

— ეტყობა მწერლობის ნიჭი არ მოუმადლია შენთვის მამაზეციერს, გირჩევდი ექიმობას, მაგრამ არ ინებე! შენი წამების შემხედვარეს მეტის მოთმენა არ შემიძლია, წადი, დედაქალაქში და მუშაობა დაიწყეო, — წამში წყალში ჩავუყრი ამაგს ნაჯაფარ დედას, შევკრავ ხელნაწერებს, ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის თეატრის დირექტორის, ცხონებული ალექსანდრე საშა ეგუტიას ნაჩუქარ საბეჭდ მანქანას და თბილისს მოვაშურებ.

ოცი მანეთით გამოვესწრაფები შინიდან, ათი მანეთი გზაში დამეხარჯება, ხოლო მეორე ათით როგორ ვივაგლახებ სტუდქალაქში მთელი ასერგასი დღე, სხვა დროისათვის შემოვინახოთ სათქმელად: ორთქლზე დალბობილი პური და ჩაი, სტუდენტების მოსაკითხი, გულწრფელი ცნობისმოყვარეობა და თანადგომა, **"ცისკარში"** **"სიცოცხლემისჯილის"** პირველი წიგნის საჟურნალო ვარიანტის გამოქვეყნებაც უკიდურესი ხელმოკლეობის ნაყოფია, მაინც ვებრძვი სიტყვას, ჯიუტად მივუყვები ერთხელ არჩეულ გზას, რომლის კვალობაზე ჩემი კოლხეთის, ჩემი საფიცარი საქართველოს ორმოცსაუკუნოვანი ისტორიის ზნეობრივი მატიანეს განხორციელება დამისახავს მიზნად, ასე გაიყრება მერამდენედ ჩვენი ბილიკები, რათა კვლავ ვპოვოთ ერთმანეთი, მერამდენედ აღმოვაჩინოთ ერთურთში დანაღმული საგანძურები, უენგურობით მოძალებულ სევდას კი ვერაფერი გამინელებს, ვერც — მტკვრის დუდუნი, ვერც — მთაწმინდის მთვარე და ვეღარც — სულმნათ ადამიანებთან გაბაასება საქართველოს უმაღლეს პანთეონზე.

სიყრმისეული დიალოგი ისევ გრძელდება ჩემსა და ენგურ-მდინარეს შორის, ძილშია ეს თუ ღვიძილში, იკინძება ენგურჰესის კაშხალთან დაკავშირებული მასალები, უბრალო ინფორმაციასაც არ ვუშვებ ხელიდან, ამოვჭრი და სათუთად ვინახავ, ვიხელთებ მერმე დროს, მოხერხებულ ალაგას მოვკალათდები და შორიდან გავესაუბრები მშობელ-მდინარეს, ერთხელ მე ხომ იგი მთლად გადაქათქათებული მესიზმრება დედის რძით სავსე, წამოდუღებული თანაც, ნაპირებს რომ აწყდება, ჰოდა, მივძალებივართ ამ უკვდავ წყაროს ორივე ხაზოდან მე და ძუძუმტე: აბა, რომელი დავასწრებთ ამოხვრეპას, მაგრამ ჩვენი გულმოდგინე მეცადინეობაჯიბრი უსუსურია. რაც მეტს ეწაფები, უფრორე ბევრდება და ზავთდება ტირიფიანი უბეების ასაწიოკებლად.

დღითი დღე იზრდება ენგურჰესის დოსიე, როგორც ღვიძლი მდინარის სიკვდილში მამხილებელი უტყუარი საბუთი.

წელიწადში ორ-სამჯერ მშობლიური სოფლისაკენ გადმოხვეწილი, ბორნით გადავცურავ საყვარელ ენგურს, გავხედავ თვალსა და ხელს შუა მოღონიერებულ ოტობაიას.

— რაც აქ რკინა-ბეტონია, სულ კაშხალის მშენებლობიდანაა დაცინცლული, ხომ ხედავ სურამის ციხესავით როგორ ჭიანურდება შენი მოთოკვა? — ვეჩურჩულები მდინარეს ნოჩო თაკალანძეს სიტყვებით.

ხანდახან გამამართლებელ სამხილად წინამორბედი მწერლის, ნოდარ წულეისკირის მოქალაქეობრივ პოზიციასაც შემოვიშველიებ, რომელიც შრომის გრანდიოზულ რიტმს მსხვერპლად შესწირავს ორი უმწიკვლო ახალგაზრდის, ზესნახესა და ბუძგურიას უმანკო სიყვარულს და ამით მორალურ საფუძველს გამოაცლის ნებისმიერი რეზონანსის მშენებლობას, თუკი იგი ზოგადკაცობრიულ ინტერესებს უპირისპირდება.

**გური ოტობაია**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ილორი

# გარდაიცვალა ზურაბ ქაფიანიძე

სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”** და გაზეთი **“ილორი”** დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ 74 წლის ასაკში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საპატიო გენერალი, უკრაინის საპატიო მოქალაქე, ყველასათვის საყვარელი მსახიობი, ჩვენი დიდი მეგობარი და თანამოაზრე, ბატონი ზურაბ ქაფიანიძე და თანაუგრძნობენ როგორც ოჯახს, ისე მთელ ქართველ საზოგადოებას.

ქართულმა კულტურამ და ერმა დაკარგა კიდევ ერთი ბუმბერაზი მამულიშვილი, პატრიოტი, ნაღდი, წესიერი ქართველი კაცი. იგი მონაწილეობდა ფილმებში: **„ხევსურული ბალადა“, „დათა თუთაშხია“, „ივანე კოტორაშვილის ამბავი“, „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ღიმილის ბიჭები“, „ნეილონის ნაძვის ხე“, „ლონდრე“, „ფეოლა“, „ნერგები“** და სხვა.

სპეციალობით ფილოლოგმა დააარსა გაზეთი **„შუმერი“**, გამოსცა წიგნი **„შუმერების ანბანი – ქართული ასომთავრული“**, პლაკატები: **„კაცობრიობის ანბანური გავრცელების ახალი ცხრილი“** და **„კაცობრიობის პირველი ანბანი, ანბანური მზისა და მთვარის კალენდარი“;** დააარსა სამეცნიერო ცენტრი **„შუმერი“**. 40 წლის დაძაბული მუშაობის შედეგად ახსნა ძველი წელთაღრიცხვის V-III ათასწლეულების შუმერული თიხის ფირფიტები და ბეჭდები, თიხის შუმერული ჭურჭლის მოხატულობა და სარკოფაგთა წარწერების ხაზობრივი სისტემა; აღმოაჩინა ანბანის რიცხვიერი ხაზობრივი და კოსმიური სისტემის ფორმულა, რითაც ცხადი გახადა უძველესი ქართული ასომთავრულის შუმერული წარმომავლობა; ჩამოაყალიბა კაცობრიობის პირველი ანბანური დამწერლობის სისტემები და აღადგინა ძველი წელთაღრიცხვის 5604 წლის შუმერული კალენდარი, რომელშიც ყველაფერი წამების სიზუსტითაა განსაზღვრული.

სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში, ხელისუფლებისადმი მისი განსხვავებული აზრის გამო, ბატონ ზურაბ ქაფიანიძეს ჯეროვანი დაფასება არ ხვდა წილად. ზურაბ ქაფიანიძეც, სხვათა მსგავსად, ხელისუფლების მიერ **„ჩარეცხილი“** ინტელიგენციის ერთ-ერთი წარმომადგენელი გახლდათ; ადამიანი, რომელიც თავისი სიცოცხლის ბოლო პერიოდში მისივე კინოგმირის – ივანე კოტორაშვილისეული შემართებითა რიხით **„ასავალ-დასავალის“** ფურცლებიდან ებრძოდა არსებულ რეჟიმს. ხელისუფლებას მიყიდულ ვითომ ინტელიგენციის მსაგავსად, მას ვერც ვარსკვლავის გახსნის შეთავაზებას და ვერც ღირსების ორდენის დაკიდებას შეჰბედავდა ვინმე. მართალი და სწორი პოზიციისთვის ბატონი ზურაბი **„ნაციონალური ხელისუფლებისგან“**, ისევე, როგორც არაერთი მათი მხარდამჭერი გაზეთისგან, გარიყულ შემოქმედად იქცა, თუმცა თავისი ნაშრომების სახით უდიდესი მეცნიერული და მამულიშვილური მემკვიდრეობა დაუტოვა მომავალ თაობებს.

სახალხო მოძრაობა **“სამეგრელო”** და გაზეთი **“ილორი”** კიდევ ერთხელ თანაუგრძნობენ **ზურაბ ქაფიანიძის** ოჯახსა და ახლობლებს.

**სახალხო მოძრაობა “სამეგრელო”,**
**გაზეთი “ილორი”**



საბავშვო კუთხე

# ერის მამა

იყო და არა იყო რა, მართლაც ასე იყო. თბილისში ცხოვრობდა მართლიანი, მოწყალე და სულით მდიდარი ერის მამა. დღე და ღამე ძილი არ ჰქონდა, სულ იმაზე ფიქრობდა, რომ გარეთ მშიერი არავინ დარჩენილიყო. მოწყალებას უხვად გასცემდა, მტერს და მოყვარეს შეარიგებდა, ობლებს მოიკითხავდა. ხელში კვერთხი ეჭირა და უფლის სიყვარულის მარცვლებს თესავდა. ებრალებოდა დაჩაგრული ხალხი. იმ ხანებში მთავრობისგან განაწყენებული ლტოლვილები თავის ჭერქვეშ შეიფარა, საჭმელს და სასმელს არ აკლებდა. ამ ლტოლვილებში ორი და ძმა ერია. უჭირდა ოჯახს, რადგან ისინი მამამ მიატოვა. იდგნენ ყოველდღე პატარები კარებთან და უფალს ევედრებოდნენ შეგვახვედრე ერის მამასო, მაგრამ მათ ვერავინ ამჩნევდა. ერთ მშვენიერ დღეს გოგონამ გადაწყვიტა ერის მამისთვის პატარა მოთხრობები მიეძღვნა. დღეში 7-გზის ლოცვებს კითხულობდა, რომ უწმინდესს ის შეემჩნია. ერთხელაც გოგონას წიგნი გულში ჩაეხუტებინა და ელოდა როდის გამოჩნდებოდა ერის მამა. მათთან ერთად კეთილი ზაირა ბებო ცხოვრობდა. ხედავდა და-ძმა როგორ ელოდა უწმინდესის გამოჩენას. ჩაავლო გოგონას ხელი და ერის მამის წინ აღმოჩნდნენ. რა თქმა უნდა, ერის მამამ გულში ჩაიკრა, მოეფერა და ჰკითხა: პატარავ, რა გაგჭირვებიაო. და-ძმას კი ერთი თხოვნა ჰქონდათ, წმინდა გიორგის სახელობის სასწავლებელში უნდოდათ სწავლა. როგორც კი თხოვნა მოისმინა უწმინდესმა, შეჰპირდა პატარებს დაგეხმარებითო. და-ძმა მთელი ღამე ლოცულობდნენ; ერის მამას დღეგრძელობა და ჯანმრთელობა უსურვეს. და-ძმა ბედნიერები იყვნენ, რომ XXI საუკუნეში ერის მამის მადლიანი კალთა ჰფარავდათ. ნეტავი ბავშვებო, თქვენც აგიხდინოთ უფალმა ოცნებები.

**თამთა ცაგურია,**
**თბილისის მე-60 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლე.**

## იუმორი

* * *

კაცი უყვება მეგობარს:
– მივლინებიდან ვადაზე ადრე ვბრუნდები, კარადის კარს ვაღებ და იქ ცოლის საყვარელი მხვდება.
– მერე?
– რა მერე. მერამდენედ ვუმეორებ, იდიოტო, გავშორდი ცოლს და დიდი ხანია სხვაგან ცხოვრობს-მეთქი.

* * *

ქმარი ტელევიზორში კაშპიროვსკის სეანსს უყურებს და ამბობს:
– რა ვქნა, მაგის არ მჯერა!
– და ეკრანს ცერა თითს უჩვენებს. თითი სამჯერ გაეზრდება. კაცი შოკშია, ქალი კი მშვიდად ეუბნება:
– ჯობდა, რამე სხვა გეჩვენებინა!

* * *

თებრო და მარო ჭორაობენ:
– ჩემი მეზობელი მიტუაი კაბის ქვეშ ხელს შემიყოფს ხოლმე და რაღაცას ფათურობს...
– ფრთხილად იყავი, ქა, ფულს ჩულქის ყელში ნუ ინახამ!

* * *

მეგრელი კაფეში შევიდა.
– სუპი მომიტანეთ.
ცოტა ხანში ოფიციანტს ეძახის:
– ეგი სუპია თუ ჩაი? თუ სუპია, მარილი მომიტანე, თუ ჩაია – შაქარი!

* * *

ქუთაისელი ლუვრს ათვალიერებს.
– ნახატებს ხელით ნუ ეხებით! – აფრთხილებს თანამშრომელი.
– რა უჭირს, დაია, აქედან რომ გავალ, ხელს დევიბან...

# ილია მეორე რელიგიური ორგანიზაციებისთვის კანონში ცვლილებების შეტანის პროცედურის შეწყვეტას ითხოვდა

**(როგორც იქნა, ეკლესიამაც ამოიღო ხმა ამ უწმინდურთა წინააღმდეგ, თუმცა, დიდი დაგვიანებით)**

როგორც ამბობენ, **“დანტონის შემდეგ რობესპიერის ჯერი დგება”!**

სამოქალაქო საზოგადოებას რომ ბოლო მოუღო და სასიკვდილოდ დააშინა, ახლა სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი გარემოცვა ქართულ ეკლესიას მიადგა!

ვიდრე საქართველოს უჯიშო ხელისუფალი ეროვნულ ტრადიციებსა და კულტურის საგანძურებს ანადგურებდა, ეკლესიას რატომღაც ასე ხმამაღლა თავისი პროტესტი არ გამოუთქვამს. ახლა კი, როცა გათავხედებული **“ნაციონალები”**, რომელთა ძირითად მიზანს ქართველობისა და ქრისტიანობის ამოგდება წარმოადგენს, ეკლესიებს მოადგნენ და მართლმადიდებლობის ფეხქვეშ გათელვას ლამობენ, წმინდა სინოდმა, როგორც იქნა, დააფიქსირა თავისი პროტესტი, თუმცა გვიან, რადგან პარლამენტმა და სომეხმა პრეზიდენტმა უკვე დაამტკიცეს თავისი ანტიქართული და ანტირელიგიური კანონი. თუ რატომ – არარელიგიური, ამას ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში მოგახსენებთ!

როგორც ცნობილია, საქართველოსთან მჭიდრო ურთიერთობაში მყოფი რელიგიური გაერთიანებები საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად ჩაითვლებიან. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ შედის. კანონპროექტის ინიციატორები დეპუტატები ლაშა თორდია, ჩიორა თაქთაქიშვილი და ნუგზარ წიკლაური არიან. უმრავლესობის ამ გადაწყვეტილებას უკვე მოჰყვა საკმაოდ ნეგატიური შეფასებები როგორც პოლიტიკოსების, ისე საზოგადოების დიდი ნაწილის მხრიდან, თუმცა ცვლილებების მიღების პროცედურა პარლამენტში მაინც გრძელდება (თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამარცხვინო და ანტიქრისტიანული კანონის მიღებას ყველა **„ნაციონალმაც“** კი არ დაუჭირა მხარი).

აღნიშნულ კანონში ცვლილებების შეტანის პროცედურის შეწყვეტის მოთხოვნით ამჯერად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე გამოდის.

საპატრიარქო ილია მეორეს განცხადებას ავრცელებს, რომელსაც საქინფორმი უცვლელად გთავაზობთ:

**„ჩვენი ეკლესიისთვისაც და, საერთოდ, ხალხისთვისაც სრულიად მოულოდნელად საქართველოს პარლამენტმა 1 ივლისს პირველი მოსმენით მიიღო კანონი რამდენიმე რელიგიური ორგანიზაციისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ.**

**საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი და კონსტიტუციური შეთანხმება წლების განმავლობაში იყო ფართო განხილვის საგანი და მას საერთაშორისო ექსპერტიზაც ჩაუტარდა. თავის მხრივ, ეკლესია არასოდეს წასულა წინააღმდეგი და ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოში არსებული სხვა რელიგიებისადმი სტატუსის მინიჭებას და მათი უფლებების განხორციელებას, მაგრამ ამ პროცესს სათანადო გაგრძელება არ მოჰყოლია, ანუ ხელისუფლების მხრიდან არ შექმნილა მრავალმხრივი სახელმწიფო კომისია, სადაც საკითხი იქნებოდა შესწავლილი და შეჯერებული.**

**უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა სახელმწიფოებში არც ქართული მართლმადიდებლური ტაძრების საკუთრებისა და მოვლა-პატრონობის საკითხი არ დასმულა დღემდე და არც ჩვენი ეკლესიის სტატუსის განხილვა არ დაწყებულა.**

**ამის ფონზე სრულიად გაუგებარია ჩვენი ქვეყნის პარლამენტის მიერ ესოდენ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღება საჯარო განხილვის გარეშე და ასეთი დაჩქარებული წესით.**

**მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, შეჩერდეს კანონის მიღების პროცედურა (მეორე და მესამე მოსმენა) და აღნიშნულ საკითხზე გაიმართოს საჯარო დებატები (თუნდაც ტელევიზიის პირდაპირ ეთერში), რათა ჩამოყალიბდეს საერთო-საზოგადოებრივი აზრი და მოხდეს კონსენსუსი მართლმადიდებელ ეკლესიასთანაც, რადგან ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია.**

**ჩვენს მოქალაქეებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ეს საკითხი არის უმნიშვნელოვანესი, რადგან იგი არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფოს მოწყობის ძირითად პრინციპებს“.**

ეს პროტესტი პირველი მერცხალი გახლავთ და ვიმედოვნებთ, რომ უწმინდესი და უნეტარესი ბევრად უფრო მკაცრად დააყენებს არა მხოლოდ საეკლესიო სიწმინდეების ხელმყოფ, არამედ სრულიად საქართველოს განადგურების მოსურნე ნაციონალთა პარპაშის აღკვეთის საკითხს და მტრის წინააღმდეგ ერთსულოვნად ბრძოლისაკენ მოუწოდებს ქართველ ერს!.

ქართული ეკლესია ხომ ყოველთვის იქ იდგა, სადაც ქართველ ადამიანს უჭირდა!

ამაზე მეტი რაღა უნდა გაგვიჭირდეს – სომხები ჯერ ეკლესიას წაგვართმევენ **„კანონის“** ძალით, შემდეგ კი ტერიტორიებს!



ISSN 1987-8966 ილორი
9771987896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია:
თბილისი,
ბაქრაძის ქუჩა №6
მე-4 სართული
სარეგ. №01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ.რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

WWW ilori.ge
e-mail: elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
34-32-95 893-51-01-71
899-34-37-27